

F-260
1925

თ-20.

გამოცემის წელი მეორე.



თანამდერნოვე

გერის ისტორია

ყოველთვიური საგურენალო დამუშიერო უნივერსი

№ 6-7

036060-034060

1925



ფლილისა უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა

ტფილისი



გრძელდება ხელის მოწერა

1925 წლისათვის

ერგელთვიურ სამქურნალო სამეცნიერო ჟურნალზე

„თანამედროვე მეცნიერება“

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორი-
თაც გამოდიოდა 1924 წ. განმავლობაში.

ჟურნალში შემდეგი განხოფილებებია:
თაორიული და კლინიკური მედიცინა, საზოგადოებრი-
ვი მედიცინა, მიმოხილვები, კორესპონდენციები, რევ-
აუტები, ბიბლიოგრაფია და შრომიკა.

ჟურნალში მუდმივად თანამშრომლობენ ტფილისის
სახელმწ. უნივერსიტეტის პროფესორები, ასისტენტები და,
გარდა ამისა, პროფინციელი ექიმებიც.

შურცელის ფასი:	1 წლით 10 ბაზ.
	$1/2$ წლით 5 ბაზ.
	ცალკა ნოტი 1 ბაზ.

გამოვიდა გასასყიდვად

პროფ. ალ. ალაზარისის

ახალი წიგნი

„კლინიკური რეცეპტები“.

სტუდენტთა და ექიმთათვების

აუგრძნელ „თანამედროვე მეცნიერება“ გამოცემა.

ფასი 1 ბ. 30 კ.

F 260
1925

61(05)
07-20.



გამოცემის წელი მეორე.

თანამედროვე

გერის ინა

ყოველთვიური სამკურნალო სამაზნისრო უკანასი

F 1540

№ 6-7

036060-038060

1925



ცდილისის უნივერსიტეტის უმცროს მისწმლებრივ კალიგრაფია გამოცემა

ტფილი



შ ი ნ ა რ ს ი

1. 3. ქავთარაძე, პროფესორი შარქო (ბიოგრაფიული ცნობა) 88-
V

I. ოქონიული და კლინიკური მედიცინა.

2. მ. კოკოჩავა შვილი, კენტი ვენების იშვიათი ვარიანტი	349
3. შ. მიქელაძე, დიაბეტის პათოგენეზი და მისი ინსულინით მკურნალობის პრინციპები	354
4. ი. პარმა, დიაბეტის ინსულინით მკურნალობისათვის	372
5. 6. მჭედლიძე, ცოომილი ელექტოს შემთხვევა	384
6. გ. პროფ. მუხაძე, ძვლის შედუღების და მისი დაგრძელების საკითხისათვის	397
7. ე. ზაქარაია, ადგილობრივი ანესტეზიის შესახებ	400
8. ე. თოდაძე, შარდსალინარის შევიწროების წამლობის საკითხის შესახებ	412
9. გ. ფხალაძე, Epididymitis gonorrhœica-ს gonovaccine-თი წამლობის შესახებ	419
10. 3. კანდელაძე, რუდიმენტალურ რქაში ორსულობის ორი შემთხვევა	433
II. რევერატები	438
III. ბიბლიოგრაფია	447
IV. კორესპონდენციები	448
V. ქრონიკა	472

Thanamedrové medecina

Sommaire:

1. P. Kavtaradzé. La biographie de Charcot	V
2. M. Kokotchachvili. La rare variante d'une veine impaire	349
3. Ch. Mikeladzé. La pathogénèse du diabète sucré et les principes de son traitement par insulin	354
4. J. Parma. Traitment du diabète sucré par insulin	372
5. N. Mtchedlidzé. Un cas de la rate flottante (ou mobile)	384
6. Prof. G. Mouchadzé. Etude sur l'ossification et l'allongement d'os	397
7. E. Zakaraïa. Etude sur l'anesthésie locale	400
8. E. Todadzé. Traitment de la stricture urethrale	412
9. G. Pchaladzé. Traitment de l'epididymite par gonovaccine	419
10. V. Kandelaki. Deux cas de grossesse dans la corne rudimentaire de l'utérus	433
II Revue des Journaux	438
III Bibliographie	447
IV Correspondances	448
V Chronique	472



ଶ୍ରୀ ବି. ପାତ୍ରମହାନ୍ତିର.

1825—1893

ଦାଶାଲେଖିଲାଙ୍କ 100 ଫିଲୋସ ଶ୍ରେଷ୍ଠମୁଖୀଙ୍କ ଗାମଳ

პოლიოიდი გარემო

(ბიოგრაფიული ცნობა).

მე-XIX საუკუნის მშვენება, საფრანგეთის სიამაყე, გამოჩენილი მეცნიერი უან მარტენი შარკო, რომლის დაბადების ასი წლის თავი 26 მაისს ღირსეულად იდლესასწაულა მისმა მადლიერმა სამშობლომ, დაიბადა ქ. პარიზში, ხელოსნის ოჯახში 29 ნოემბერს 1825 წ. მამა მისმა, უსახსრობის გამო, სამ შვილში მხოლოდ უნიჭიერესს უან მარტენს მიაღებია უმაღლესი განათლება. უან მარტენი Saint Louis ლიცეის გათავებისას 1844 წ. შედის პარიზის საექიმო ფაკულტეტში, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1848 წ. და ღებულობს ინტერნის ადგილს Salpêtrière-ში 1853 წ. დისერტაციის დაცვის შემდეგ „სახსრების დაზიანება ქრონიკული რევმატიზმისა და პადაგრის დროს“ მიიღო მედიცინის დოქტორის ხარისხი და საექიმო ფაკულტეტმა შინაგან სნეულებათა კათედრასთან დატოვა. 1860 წ. ხელმეორედ პარიზის შემდეგ, რომლის საგანი იყო „ფილტვების ქრონიკული დაავადება“ იგი დაამტკიცეს პროფესორ aggregé-ს წოდებაში. 1862 წ. შარკო ისევ უბრუნდება Salpêtrière-ს, რომელსაც ის სიკვდილამდი არ მოშორებია და 30 წლის განმავლობაში ამლიდრებდა მეცნიერებას ძვირფასი აღმოჩენებით.

1872 წ. პარიზის საექიმო ფაკულტეტმა შარკო აირჩია პათოლოგიური ანატომიის კათედრის პროფესორად. მხოლოდ 1882 წ. ფაკულტეტმა გადასწყვიტა და მთავრობამ დაამტკიცა მისთვის დამოუკიდებელი კათედრა ნევრ-პათოლოგიის, იმავე წელს Salpêtrière-ში გახსნეს სპეციალური კლინიკა ნერვების სნეულებათა კაცების განყოფილებით.

პროფ. შარკოს პირველი შრომები ეხებიან შინაგან სნეულებებს: ავაღმყოფობა ფილტვის, თირკმელის, ღვიძლის, გულის, ძელების და სახსრების, მაგრამ განსაკუთრებულად აღსანიშნავია უკანასკნელი წლების ნაშრომი ნევრო-პათოლოგიაში. მისი უამრავი აღმოჩენებიდან ჩვენ მხოლოდ უმთავრეს დავასახელებთ; შარკომ აღმოაჩინა ზურგის ტვინის დაავადება Sclerosis lateralis amyotroph. Tabes dorsalis-ის დროს მან დაამტკიცა სახსრების და ძვლების ტროფიული დაავადება, აგრეთვე crilses კუჭის, ყელის, თირკმელის და სხ. ამავე დაავადების დროს აღწერა ენის კუნთების ცალმხრივი ატროფია, მან შეისწავლა ზურგის ტვინის წინა რქების ორგანიული დაზიანება Polio myelitis-ის დროს და პროგრესიული ატროფია კუნთების. მანვე ვრცლად და საუკეთესოდ ასწერა ნერვული სისტემის ავაღმყოფობანი Sclerosis dessiminata, Paralysis agitans და morbus Basedowi.

ხოლო თავისი გამოკვლევებით ისტურიის შესახებ და მათი წარმომაზრი
ჰიპნოტიზმის საშვალებით პროფ. შარკომ სრულიად განსაკუთრებული აღგილი
დაიკავა მსოფლიო მეცნიერებაში. მას ეკუთვნის ისტურიის ნიშნების დაწვრი-
ლებით აღწერა და მათი გარჩევა ორგანიული დაზიანებისაგან. მის ლექციებს
Salpêtriére-ში 800 მეტი მსმენელი ესწრებოდა.

პროფ. შარკო იყო ერთი დამაარსებელი პერიოდული ჟურნალების: „Archives de physiologie normale et pathologie“, „Le progrés medical“, Archives de neurologie, „Nouvelle iconographie de la Salpêtriére“ და სხ. აგრეთვე ის
იყო ხელმძღვანელი ენციკლოპედიური გამოცემის: „Traité de médecine“ და
„Bibliothèque médicale“.

პროფ. შარკო გარდაიცვალა დეპარტამენტ Niévre-ში Angina pectoris-
ისგან 16 აგვისტოს 1893 წ.

12. VI .25.

3. ქავთარაძე.

I

თეორიული და კლინიკური გედიცინა

8. კოკოჩაშვილი

ანატომიის კათედრის ასისტენტი

პეტი ვენების იჯვიათი ვარიაცი

(ტფილისის უნივერსიტეტის ანატომიური ინსტიტუტიდან.

გამგე—პროფ. ა. ნათიშვილი)

ცნობილია, რომ სისხლძარღვთა სისტემაში ვარიანტები ვენების მოწყობილობის მხრივ უფრო ხშირია, ვინემ არტერიებისა, ამას ადასტურებს ბევრი ავტორი, მხოლოდ Mekkel-ს შეაქვს ამ საკითხში თავისებური აზრი.

მართლადაც, თუ ჩვენ მოუყრით თავს ვენური ძარღვების ყველა ალმოჩენილ ვარიანტებს, მაშინ სწორი გამოდგება აზრი უმრავლეს ავტორებისა. პირიქით, თუ ჩვენ ამ ჯგუფიდან გამოვრიცხავთ წვრილმან, მცირე და უმნიშვნელო ვარიანტებს, მაშინ Mekkel-ის აზრი დასაბუთებული იქნება.

ვენური ძარღვების ასეთ მნიშვნელოვან და იშვიათ შემთხვევებს, რომელიც ეხება მსხვილ ტოტების დატოტიანებას, ეკუთვნის ჩვენ მიერ ალმოჩენილი, ვარიანტი სტუდენტებთან ვარჯიშობის დროს გვამებზედ, სახელმწიფო უნივერსიტეტის ანატომიურ ინსტიტუტში 1925 წლის გაზაფხულის სემესტრში.


გვიმი დედაცაცია NN, დაბლოვებით ვა წლის, ტომით სომხი. გულმეცერდის ღრუს მარცხნიანი მხარეზე სისხლძარღვების დამუშავებისას აღმოჩნდა შემდეგი ვარიანტი გულმეცერდის უკანა კედლის ვენებისა: ზემო ნახევრად კინტი ვენა (v. hemiazygos sup. იხ. სურ. № 6). შეიქმნება შემდეგნაირად: ზეკნთაშუა ვენებს I და II (14-15) არა აქვთ ჩვეულებრივი კავშირი ნეკნების ღრუს დეროს ვენებთან (truncus costo-cervicalis), არამედ შეერთდებიან ერთ ტოტად (ჩ), რომელიც ეშვება ძველი და ერთვის ზემო ნახევრად კინტი ვენას (6). ზემო ნახევრად კინტი ვენა წარმოადგენს III-IX ნეკნთაშუა ვენების კოლექტორს.

ქვემოთ ნახევრად კინტი ვენა (13) ამოდის ზევით და შესდგება X, XI და XII ნეკნთაშუა ვენების შეერთებით. XII ნეკნთაშუა ვენას აქვს დამატებითი ვენური ტოტი შუასაძგიდიდან.

ზემო და ქვემო ნახევრად კინტი ვენები შეერთდებიან მეცხრე და მეათე მალის დონეზე და ჰემინან ფართე და განიერ სანათურის ვენურ წრეს (7). აღნიშნულ წრეს შუაში ხერელი აქვს, რომელშიც გაივლის აორტიდან (8) გამოსული მეცხრე ნეკნთაშუა არტერია (9). უკანასკნელი ვენური წრის კედლთან მტკიდროდ შეკავშირებულია შემაერთებელი ქსოვილით.

აღნიშნული ვენური წრის მარჯვენა ნახევარი დაუკარებულია წინიდან აორტით და აორტის მოშორებამდის არ საჩინს. ვენური წრის მარჯვენა ნაწილიდან წარიდინება განიერი ტოტი, რომელიც კინტ ვენას (3) ერთვის.

ზემო ნახევრადყენტი ვენა (6) შეერთებულია მარცხნა უსახელო ვენასთან (2) მარცხნის საშუალებით (4). ეს იშვიათი ანასტომოტიური ტოტი ზემო ნახევრადყენტ ვენას შორდება მეხუთე და მეოქვესე ნეკნაშუა ვენების შეერთების შორის. ანასტომოტიური ტოტი მიღმართება



სურათის ახსნა.

1. V. cava superior.
2. V. anonyma sinistra.
3. V. azygos.
4. Ramus anastomoticus.
(ანომალიური ანასტომოტ. ტოტი).
5. Ramus communicans v. intercostalis I et II cum vena hemiazygos sup. (შემაერთებელი ტოტი I და II ნეკნთაშუა ვენებისა ზემო ნახევრათკენტ ვენასთან).
6. V. hemiazygos superior.
7. ანასტომოტიური ვენური წრე კენტ ვენასთან შემაერთებელი.
8. Aorta thoracalis.
9. Art. intercostalis IX.
10. V. cava inferior.
11. V. intercostalis IX.
12. V. intercostalis X.
13. V. hemiazygos infer.
14. V. intercostalis I.
15. V. intercostalis II.

სურათი.

ზევით და შეიჭრება მარცხნა უსახელო ვენაში (2) მახვილი კუთხის ქვეშ. ამ ტოტის სანათური იმავე ოდენობისაა, როგორც ზემო ნახევრადყენტი ვენის ქვემო ნაწილი (6).



ამ რიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი აღწერილობა გვიჩვენებს, ჩვენი ვარიანტი ეხება თვალსაჩინო ანატომიურ ცვლილებას ნახევრადკენტი ვენების დატოტიანებას და კავშირს.

ამ საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურა გვიჩვენებს; რომ არის იშვიათი შემთხვევები, როდესაც კენტი და ნახევრადკენტი ვენები იცვლიან თავიანთ როლებს. ასეთ შემთხვევაში ნახევრადკენტი ვენა არის მარჯვენა და მთავრი, ხოლო თვით კენტი ვენა მის ტოტს წარმოადგენს. ასეთი შემთხვევები აღწერილი აქვთ Theile, Gruber და Howden-ს.

Howden-ს შეხვდა შემთხვევა, როდესაც ზემო ღრუ ვენა იერთებდა მარცხენა კენტ ვენას მარცხენა ფილტვის ფესვის ქვეშ. მარჯვენა კენტი ვენა კი, ან და უფრო სწორედ რომ ითქვას, მარჯვენა ნახევრადკენტი ვენა, სუსტად იყო გამოხატული და უერთდებოდა მარცხენა კენტ ვენას მერვე მალის დონეზე.

აღწერილია შემთხვევები ორმაგი კენტი ვენებისა (v. v. azygos duplex). ასეთი ვარიანტის დროს ხერხემლის გვერდებზე დაიიოდა ორი სიმეტრიული ვენა: მარჯვენა და მარცხენა კენტი ვენები. მარჯვენა კენტი ვენა ჩადიოდა ზემო ღრუ ვენაში, ხოლო მარცხენა კენტი ვენა—მარცხენა უსახელო ვენაში (Cerruti—ორი შემთხვევა, Collins—ერთი შემთხვევა), ან და მარცხენა ლავიწქვეშა ვენაში (Weber).

ასეთ შემთხვევაში ორი სიმეტრიულად განვითარებული კენტი ვენა შესაძლებელია შეუერთდეს ერთი მეორეს გარდიგარდმო ანასტომოზებით.

ორმაგი კენტი ვენების დროს აღწერილია შემთხვევა მათი ცალკ-ცალკე შეერთებისა ზემო ღრუ ვენასთან (Jandifordt) ან და მათი ჯერ ერთ ტოტად შეერთება და შემდეგ ზემო ღრუ ვენაში გადასვლა (Vilde). კენტი და ნახევრადკენტი ვენების შეერთების ადგილი სპეციალურად გამოკვლეულია Brunton-ის და Morisson-ის მიერ.

Brunton-მა 54 გვამზე დახა შეერთების შემდეგი ვარიანტები: ქვემო ნახევრადკენტი ვენა კენტ ვენასთან შეერთებისათვის გადადინდა ერთხელ მეექსე გულმკერდის მალის წინ, სამჯერ მან ნახა ასეთივე გადასვლა მეშვიდე მალაზე, რვაჯერ—მერვე მალის დონეზე, თორმეტჯერ—მეტერ მალის წინ, 17-ჯერ—მეათე მალაზე, მეათე და მეთერთმეტე მალების საზღვარზე—ოთხჯერ, მეთერთმეტე მალის დონეზე—ექვსჯერ. ასეთი შემთხვევებიდან, Brunton-ის აზრით, ყველაზე და მეტად მალის დონეზე ნახევრადკენტი ვენის გადასვლა კენტ ვენაში და არა მერვე, როგორც ამას ხშირად აღნიშნავთ ანატომის სახელმძღვანელოებში. Morisson-ი თავის გამოკვლევებიდან სულ სხვა აზრს ადგია (მან გამოიკვლია ეს საკითხი 23 გვამზე): მისი აზრით, ქვევითა ნახევრადკენტი ვენა უერთდება კენტ ვენას უფრო ხშირად მეტერ მალის დონეზე (12 შემთხვევა), შემდეგ მერვე მალის დონეზედ (8 შემთხვევა) და ბოლოს შესაძლებელია შეერთება მეშვიდე მალის დონეზედაც მოხვდეს (3 შემთხვევა).

შესაძლებელია ნახევრადკენტი ვენას კენტ ვენასთან შეერთებამდის გაიაროს, როგორც აორტის უკან ისე მის წინაც (Theile).

Morisson-ი თავის 11 გამოკვლევაში შეხვდა ოთხჯერ შეერთებას და გადასვლას I ნეკნთაშუა ვენის—მარცხენა უსახელო ვენაში, ორჯერ ხერხემლის ვე-



ნახი, ერთხელ კისრის ასწვრივ ვენაში. ოთხ შემთხვევაში მან აღნიშნა, რომ მაგრამ მისი დაბოლოება ვერ ნახა.

დანარჩენი ნექნთაშუა ვენები მარცხენა მხარეზე, როგორც ვიცით, შეერთდება ორ ტოტად: ზემო დასწვრივი (v. hemiazygos sup.) და ქვემო ასწვრივი (v. hemiazygos inf.). ეს ორი ტოტი, ზემო და ქვემო, შესაძლებელია შეერთდეს ერთ მთლიან ტოტად და გადავიდეს კენტ ვენაში.

Brunn-მა 54 გვამზედ ექვსჯერ ნახა ასეთი შემთხვევა ე. ი. ზემო და ქვემო ნახევრადკენტი ვენები უერთდებოდენ ერთი მეორეს და შემდეგ გადადიოდენ მარჯვნივ კენტ ვენაში; ორ ტოტს ე. ი. დამოუკიდებელ შეერთებას ზემო და ქვემო ნახევრადკენტ ვენებისა იგი შეხვდა 18-ჯერ; სამ ტოტს—14-ჯერ; ოთხ ტოტს—12-ჯერ და 5 ტოტს—4-ჯერ. Morisson-მა უფრო ხშირად ნახა შეერთება ზემო და ქვემო ნახევრადკენტ ვენებისა ერთ ტოტად კენტ ვენასთან (7-ჯერ—23 გვამზე).

Brunn-ის და Morisson-ის დაკვირვებიდან და შემთხვევებიდან სჩანს, ორმ შეერთება ნახევრადკენტ ვენების ზემო და ქვემო ტოტებისა კენტ ვენაში გადასვლისათვის უფრო იშვიათია, ვინემ მათი ცალკ-ცალკ შეერთება კენტ ვენა სთან.

აღწერილია შემთხვევები, როდესაც ზემო და ქვემო ნახევრადკენტი ვენებს შორის არის ანასტომოზები, როდესაც ისინი ცალკ-ცალკ შეუერთდებიან კენტ ვენას. ანასტომოზები მოთავსებულია ზემო ვენის ქვემო ნაწილსა და ქვემო ვენის ზემო ნაწილ შორი. ამ ანასტომოზებს უერთდება ერთი ან ორი ნეკნთაშუა ვენები.

ასეთი შემთხვევა Morisson-მა სამჯერ 28 გვამზედ.

გარდა ყოველივე ამისა, Bastin-ს აღწერილი აქვს შემთხვევა, როდესაც ქვემო ნახევრადკენტ ვენას უერთდებოდენ: შუასაძგიდის ქვემო ვენები, შიგნითა მარცხენა სათესლე ვენა, მარცხენა თირკმელის და მარცხენა თირკმლის ზედა-ჯირკვლის ვენები.

ლიტერატურული ცნობების განხილვიდან და ჩვენი შემთხვევის მათთან შედარება აშკარად გვიჩვენებს, რომ ჩვენ შემთხვევაში საქმე გვაქვს კენტი ვენების მეტად მნიშვნელოვანი, საყურადღებო და იშვიათი შემთხვევის ვარიაციისთან.

ასეთი იშვიათი ვარიაცია გამოიხატება შემდეგში:

1. I და II ნეკნთაშუა ვენები (14-15) არ უერთდებიან ნეკნ-კისრის ღეროს, არამედ მონაწილეობას იღებენ ზემო ნახევრადკენტი ვენის (6) შექმნაში.

2. ზემო ნახევრადკენტი ვენა (6) შეკავშირებულია მარცხენა უსახელო ვენასთან (2) მეტად იშვიათი ანასტომოზით (4).

3. ანასტომოტიური ტოტი მეტად გრძელი, ფართეა და ზემო ნახევრადკენტი ვენის გაგრძელებას წარმოადგენს.

4. ზემო (6) და ქვემო (13) ნახევრადკენტი ვენები შეერთდებიან მეცხრე და მეათე მალის დონეზე კენტ ვენაში გადასვლისათვის.

5. შეერთების ადგილას ნახევრადკენტი ვენები ჰქმნიან ფართე და განიერ სანათურის ვენურ ჭრეს (7).

მ. ეს ფართე ვენური წრე გარს ეხვევა და მჭიდროთაა შეკავშირებული მეცნერე ნეკნა-შუა ორტერიასთან (9), რომელიც იქვე აორტიდან ვამოდის.

7. ჩვენი ვარიაციის მორფოლოგიური თავისებურობა შეიძლება სხვანაირ ფორმაში ჩამოყალიბდეს.

სახელდობრ: ამ შემთხვევაში არსებობდა ორი კენტი ვენა (v. v. azygos duplex). მათ აქვთ ურთიერთ კავშირი ვენური წრით, რომელიც დაახლოვებით ნორმალურ ადგილს მდებარეობს. მარცხენა კენტი ვენა იერთებს I და II ნეკნაშუა ვენებს და ოვითონ შედის მარცხენა უსახელო ვენაში. ასეთი გაშუქებით ჩვენი შემთხვევა შეესაბამება ნაწილობრივ Cerutti და Collins-ის შემთხვევებს.

საზოგადოდ ცნობილია, რომ კენტ ვენებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც ზემო და ქვემო ღრუ ვენათა შორის შემაკავშირებელს, დამატებითი კოლლატერალურ გზებს.

კენტი ვენების ვარიანტის ჩვენ შემთხვევას აღნიშნულ კოლლატერალური გზებისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა.

- 1) Тихомиров. Варианты артерий и вен человеческого тела в связи с морфологией кровеносной системы. 1900 წ. Киев. გვერდი 319-324.
- 2) Rauber—Kopsch. Lehrbuch der Anatomie des Menschen III Abt. 1911 წ. 83. 433-435. 3) Dr. Mekkei. Handbuch der Topographischen Anatomie B. II. 2. გვ. 383-384.

ჰ. გიგელ აჭა

კლინიკის უფროსი ასისტენტი

დიაბეტის პათოგენეზი და მისი ინსულინით გაურჩალობის პრიციპები *).

(ტფილისის უნივერსიტ. ორაპიული კლინიკიდან. გამგე--პროფ.

ა. ალაძა შვილი).

დიაბეტი უკვე უძველესი დროიდან იყო აღამიანის მიერ ცნობილი. პირველი მოვლენა, რომელმაც მიიპყრო ექიმების ყურადღება ამ სნეულების დროს, იყო შარდის რაოდენობის ძლიერი მომატება. აქედან შარმოსდგა დიაბეტის სახელიც, რომელიც პირველად უწოდა ამ სნეულებას მეორე საუკუნის გამოჩენილმა ბერძენმა მკურნალმა არ ეტევს მა (მცავასთა ვამიდინარეობ). მაგრამ საჭირო იყო, კადევ დიდხანს გაევლო, რომ პირველად მე 17-ე საუკუნეში Thomas Willis-ს შეენაშნა დიაბეტიანი ივალმყოფის შარდის ტებილი გემო და მე-18-ე საუკუნეში Dawson-ს მიელო შარდიდან შაქარი. მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა დიაბეტის ორი ფორმის გარჩევა—Diabetes mellitus და Diabetes insipidus. მოუხედავად ამისა შეიძლება ითქვას, რომ დიაბეტის არსებითი შესწავლა მხოლოდ მას შემდეგ დადგა მკვიდრ საფუძველზე, რაც გამოჩენილმა ფრანგმა ფიზიოლოგოსმა Claude Bernard-მა მე 19-ე საუკუნის ნახევარში ჯერ აღმოაჩინა ლვიძლში გლიკოგენი, გამოარკვია ლვიძლის გლიკოგენური ფუნქცია, შემდეგ თავისი ცნობილი ჩხვლეტით (piqûre) ტვინის მეოთხე პარკუჭის ფსკერში მიიღო გლიკოზურია და ასეთივე გლიკოზურია მიიღო ცხოველის ყურარეთი მოწამლვის შედეგად. ამ გვარიდ Claude Bernard-მა გამოარკვია ნახშირწყლოფან ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის ძირითადი მომენტები და მის მიერ აღმოჩენილი ფაქტები მკვიდრ საფუძვლად დაედო დიაბეტის შესწავლას.

დიაბეტი—გაცვლა-გამოცვლის სნეულებაა. დიაბეტის ტუდმივი და აუცილებელი სიმპტომია სისხლში ჰიპერგლიკემია და შარდში გლიკოზურია. ცხადია, რომ დიაბეტი ნახშირწყლოფან ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის რაღაც დარღვევის შედეგია.

ამიტომ საჭიროა იმისათვის, რომ გავერკვიოთ დიაბეტის პათოლოგიაში, მოვლეთ მოვიგონოთ, თუ როგორ სწარმოებს ადამიანის ორგანიზმში ნახშირწყლოფან ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა, და აგრეთვე გამოვარკვიოთ, თუ საიდან შეიძლება წარმოიშოს ის შაქარი, რომელიც დიაბეტიანი ავადმყოფის სისხლში და შარდში ასე ჭარბად არის.

*) წაკითხულ იქნა შემოკლებულად, როგორც სრულდებოდა, სამკურნალო ფაქტორიში 6/IV 1925 წ. პრივატ-დოკუმენტის წოდების მოსაპოვებლად.

პირველი და უმთავრესი წყარო, საიდანაც ადამიანის ორგანიზმი შაქარს იღებს, არის საჭმელში მიღებული ნახშირწყლები. ეს ნახშირწყლები საჭმლის მომნელებელ ორგანოებში განიცდიან მთელ რიგს ცვლილებებს. საჭმელში ჩვენ უმთავრესად ვღებულობთ პოლისახარიდებს და დისახარიდებს და ნაწილობრივ მონისახარიდებს. პოლისახარიდები (სახამებელი, გლიკოგენი) და დისახარიდები (ლერწმის შაქარი, ლაქტოზა, მალტოზა) ადამიანის საჭმლის მომნელებელ ორგანოებში განიცდიან ჰიდროლიტიურ დაშლას სპეციალური ფერმენტების ზეგავლენით. ამ ფერმენტებს საერთო სახელს — კარბოჰიდრაზებს უწოდებენ. ასეთი ფერმენტებია ნერწყვში (პტიალინი, მალტოზა), პანკრეასის წვენში (დიასტაზა, მალტაზა) და ნაწლავების წვენში (დიასტაზა, მალტაზა, ინვერტინი, ლაქტაზა). მე არ განვიძარტავ აქ, თუ რომელი ფერმენტი რა ადგილას იწვევს ამა თუ იმ ნახშირწყლოვანი ნივთიერების დაშლას და რა პროცესტია ხოლმე ასეთი დაშლის შედეგი, ვიტყვი მხოლოდ, რომ საჭმლის მომნელებელ ორგანოებში ყველა რთული ნახშირწყლოვანი ნივთიერება (პოლი და დისახარიდები) სხვადასხვა კარბოჰიდრაზის ზეგავლენით და სხვადასხვა ადგილს იქცევა დაბოლოს უმთავრესდ გლიკოზად (დექსტროზად) და მხოლოდ ნაწილობრივ ფრუქტოზად (ლევულოზად) და გალაქტოზად. რთული ნახშირწყლების ასეთს დაშლას ღრმა ფიზიოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ვინაუდან რთული ნივთიერების ნაწლავებში შეწურვა შეუძლებელია, და არც პოლისახარიდები და არც დისახარიდები ნაწლავებიდან სისხლში არ გადაღის. ნაწლავებში შეწურვა მხოლოდ მონისახარიდებს შეუძლია. ნაწლავების კედლის ვენებში ჩვენ ყოველთვის თითქმის მხოლოდ გლიკოზას ვხვდებით და მცირედად მხოლოდ ფრუქტოზას.

ადამიანის სისხლში გლიკოზის რაოდენობა მუდმივ ერთი და იგივეა (დახლოვებით $0,1\% - 0,15\%$) და განიცდის ძლიერ მცირეოდენს ქანაობას. კარის ვენაში კი გლიკოზის რაოდენობა ძლიერ ცვალებადია და დამოკიდებულია იმისაგან, თუ რა დროს იქნება კარის ვენის სისხლი გასინჯული. საჭმლის მიღების დროს და მის შემდეგ კარის ვენის სისხლში გლიკოზის რაოდენობა ბევრია, კამის წინ კი გაცილებით ნაკლები. ამავე დროს კი ღვიძლის ვენაში და საერთოდ სისხლის მიმოქცევის სხვა ძარღვებში გლიკოზის რაოდენობა მუდმივ ერთი და იგივეა. აქედან ცხადია, რომ ღვიძლი ერთგვარ ბარიერს წარმოადგენს, სადაც გლიკოზა ან ნაწილობრივ იშლება ან და იქ რჩება და გროვდება.

Claude Bernard-ი იყო პირველი, რომელმაც წარსული საუკუნის 50 წ. წ. აღმოაჩინა ღვიძლში ერთგვარი ნივთიერება, რომლიდანაც გლიკოზა წარმოიშობა ხოლმე და რომელსაც მან ამის გამო გლიკოგენი უწოდა. დღეს უკვე გამორჩეულია ღვიძლის გლიკოგენური ფუნქცია. ნაწლავებიდან მიღებული გლიკოზა კარის ვენის საშუალებით შედის ღვიძლში. თუ გლიკოზის რაოდენობა სისხლში მცირეა, მხოლოდ იმდენი, რომდენიც ორგანიზმს სჭირია, მაშინ გლიკოზა პირდაპირ გადაღის ღვიძლის ვენაში და სისხლის მიმოქცევაში. მაგრამ, თუ მისი რაოდენობა ორგანიზმის საჭიროებაზე მეტია, მაშინ იგი ღვიძლში გარდაიქმნება პოლისახარიდ გლიკოგენად და მასში რჩება მანამდის, ვიდრე ორგანიზმს გლიკოზა არ დასჭირდება. როგორც კი სისხლში გლიკოზის რაოდენობა ნორმაზე დაბლა ჩამოვა, გლიკოგენი ღვიძლის უჯრედებშივე იშლება, გარდიქმნება გლი-



კონად და ამ სახით გადადის სისხლში. ეს დაშლა სწარმოებს ღვიძლშივე არსებული დიასტატიური ფერმენტის საშუალებით. ეს პირველად აღნიშნა 1875 წ. Wittich-მა და შემდეგ დაადასტურა Salkowski-მ.

ამ გვარად ღვიძლში გლიკოგენი გლიკოზის მარაგს წარმოადგენს. გამორკვეულია, რომ ადამიანის ღვიძლში გლიკოგენის ასეთი მარაგი შესაძლებელია 150.0 ალწევდებს. შემდეგ გლიკოგენი შეიძლება სხვა უჯრედებშიც დალაგდეს და ამათში უმთავრესად კუნთებში. როდესაც ღვიძლიც, კუნთებიც და უჯრედებიც გლიკოგენით უკვე ჭირბად მდიდარი იქნებიან, მაშინ გლიკოზა ადამიანის ორგანიზმში უკვე ცხიმად გარდაიქმნება და ამ ცხიმის სახით დალაგდება კანქვეშა ქსოვილში და სხვადასხვა ორგანოში.

კუნთების მუშაობის დროს გლიკოგენის რაოდენობა კუნთებში და ღვიძლში კლებულობს. ესეც პირველად Claude Bernard-მა აღნიშნა.

მან აღმოაჩინა, რომ ცხოველებს, რომელთაც ზამთარში სძინავთ, ძილის დროს დიდად და გლიკოგენი აქვთ, მაგრამ, როგორც კი ასეთი ცხოველი გამოიღიძებს და მოძრაობას დაიწყებს, გლიკოგენის რაოდენობა მის სხეულში საგრძნობლად კლებულობს. მანვე მოახდინა ამ საპრტის გამოსარკვევად შემდეგი სანიტერესაც ცდა: ფრინველს ერთს მხარეს გადაუჭრა ნერვები, რის გამო ამ მხარის კუნთები უკვე აღარ მუშაობდა; როდესაც მან ამის შემდეგ გამოიკვლია გლიკოგენის რაოდენობა ასეთი ფრინველის ორთავე მხარეს, აღმოჩნდა, რომ იმ მხარეს, სადაც ნერვები გადაჭრილი იყო და კუნთები აღარ იკუმშებოდა, გლიკოგენი ბლომად იყო და იქ კი, სადაც ნერვები იყო და კუნთები მუშაობდა, გლიკოგენის რაოდენობა ძლიერ შემცირებული იყო. Claude Bernard-ის ეს გამოკვლევები შემდეგ დაადასტურა მკვლევართა მოელმა რიგმა (Weiss, Chandelier, Kutz), რომელთაც ამ საკითხის გამოსარკვევად სხვადასხვა გვარი ცდა გააკეთეს.

დღეს უკვე გამორკვეულია, რომ კუნთები მუშაობენ გლიკოზის, გლიკოგენის და მაზასადამე უმთავრესად ნახშირწყლების ხარჯზე. კუნთები გლიკოზას ღებულობენ სისხლიდან ან და შლიან მათში დალაგებულს გლიკოგენს გლიკოზად, გლიკოზი უანგაბადის საშუალებით უანგდება და საბოლოოდ წყლიადა და ნახშირწყლენგად იქცევა. გლიკოზის განსაზღვრული რაოდენობის დასაწვავად საჭიროა უანგბადის განსაზღვრული რაოდენობა და ასეთი დაწვის შედეგად ჩვენ მივიღებთ ნახშირწყლენგის განსაზღვრულს რაოდენობას. თუ გლიკოზა ადამიანის ორგანიზმში საესებით იწვის, მაშინ ფილტვებით გამოყოფილი ნახშირწყლენგის (CO_2) რაოდენობა უდრის შესუნთქული უანგბადის (O_2) რაოდენობას, რის გამოც კოეფიციენტი $\frac{\text{CO}_2}{\text{O}_2}$, რომელსაც სუნთქვით კოეფიციენტის უწოდებენ.

უდრის 1.

ასეთია ნორმალურად ნახშირწყლების გაცვლა-გამოცვლა ადამიანის ორგანიზმში.

გარდა ნახშირწყლებისა, ადამიანის ორგანიზმში შაქარი შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე ცილოვანი ნივთიერებიდან, რაც პარ ველად აღნიშნა Claude Bernard-მა. ერთს ხანს ამ საკითხის შესახებ დიდი დავა იყო და განსაკუთრებით Pflüger-ი უარყოფდა ასეთს შესაძლებლობას, მაგრამ შემდეგ პრაქტიკულად დამტკიცდა, რომ მხოლოდ ცილოვანი ნივთიერებით კვების დროს, არა მარტო დიაბეტიანი ავადმყოფის ორგანიზმში ჩნდება შაქარი, არამედ საღი ადამიანის ორგანიზმშიც (Lithje). ცილებიდან შაქრის წარმოშობის მხრივ აღსანიშნავია ცი-

ლის დაშლის პროცესზე — გლიკოზამინები და ამინომჟავები. გლიკოზამინები არსებითად ამინოჟავებს წარმოადგენს და ისინი შეიძლება აზოტიან ნახშირ-წყლებად ჩავთვალოთ. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ გლიკოზამინების რაოდენობა ცილებში შედარებით მცირეა. გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ამინომჟავებს, რომელიც ცილის მოლეკულის საგრძნობს ნაწილს წარმოადგენს. ამინომჟავები და მათ შორის უმთავრესად ლეიცინი, ალანინი და გლიკოზოლი, როგორც დღეს გამორკვეულია, შაქრის წარმოშობაში საგრძნობს როლს ასრულებენ. ისინი ჯერ ჰქარგავენ თავისი აზოტიანს ნაწილს და შემდეგ წარმოშობებს შაქარს. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ გარდამავალს საფეხურს ამ პროცესში რძის შეავა წარმოადგენს. ყველა ცილოვანი ნივთიერება ერთგვარად არ წარმოშობს ხოლმე შაქარს. ამ მხრივ პირველი ადგილი მიოზინსა და კაზეინს უკავია, შემდეგ მცენარეულ ცილას, ყველაზე ნაკლებად წარმოშობს შაქარს კვერცხის ცილა.

ავტორთა მთელი რიგი (Marcel Labbé, Brugsch) ჰაფიქრობს, რომ შაქარი ცხიმებიდანაც წარმოიშობა. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ გლიცერინი, რომელიც ცხიმების ერთ-ერთს ნაწილს შეადგენს, შეიძლება გლიცერიზად გარდაიქმნეს და ეს უკანასკნელი კი გლიკოზად. მაგრამ ცხიმში მხოლოდ 9% გლიცერინია და გლიკოზის ერთი მოლეკულის ($C_6H_{12}O_6$) წარმოსაშობად გლიცერინის — $C_6H_5(OH)_3$ — ორი მოლეკულაა საჭირო. აქედან ცხადია, რომ ცხიმის მნიშვნელობა შაქრის წარმოშობაში შედარებით მცირეა. მაგრამ ზოგი კიდევ ჰაფიქრობს, რომ შაქარი შეიძლება წარმოიშვას თავისუფალი ცხიმოვანი მჟავებიდანაც (Brugsch). ეს უკანასკნელი აზრი ჯერ დამტკიცებულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

სრულიად გამოურკვეველია საკითხი, თუ ადამიანის ორგანიზმის რომელ ნაწილში სწარმოებს ცილებიდან და ცხიმებიდან შაქრის წარმოშობა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვიფიქროთ, რომ ეს პროცესი მეტად ინტიმური, პროცესია და უფრო სხეულის ქსოვილებისა და უჯრედებში უნდა ხდებოდეს, ვიდრე ადამიანის საჭმლის მომნელებელ ორგანოებში.

სისხლში გლიკოზის მუდმივ ერთი და იგივე რაოდენობაა ($0.1\% - 0.15\%$). გლიკოზის სისხლში მუდმივ ერთსა და იმავე რაოდენობის დაცვას ხელს უწყობს ლვიძლის გლიკოგენზრი ფუნქცია. ეს ფუნქცია შესაძლებლად ხდის გლიკოზის ზედმეტი რაოდენობის ლვიძლში გლიკოგენის სახით დალაგებას და შემდგე საკიროების დროს მისი კვლავ გლიკოზად გარდაქმნას და სისხლში გაგზავნას კუნთების მუშაობის დროს დახარჯული გლიკოზის ასანაზღაურებლად.

როდესაც სისხლში გლიკოზის მხოლოდ ნორმალური რაოდენობაა, მაშინ იგი შარდში არ გადადის ანდა, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, გადადის ისეთი მცირედი რაოდენობით, რომ მისი ჩვეულებრივი რეაქციებით აღმოჩენა შეუძლებელია. ეს ხდება იმიტომ, რომ თირქმელებს აქვთ გლიკოზის გამოყოფის უნარის ერთგვარი საზღვარი (ფრანგ ავტორების *seuil* — ზღურბლი).

მაგრამ თუ სისხლში შაქრის რაოდენობამ მოიმატა და ამგვარად გაჩნდა ე. წ. ჰიპერგლიკემია ან და თუ თირქმელების ფუნქცია რამენაირად დაზიანდა

და მასში შაქრის გამოყოფის საზღვარი დაქვეითდა, მაშინ შარდში ჩნდება შაქარი და ჩვენ მივიღებთ გლიკოზურის.

უველაზე წინეთ ალსანიშავია ე. წ. ალიმენტალური გლიკოზური, პირველად აღნიშნული Hofmeister-ის მიერ.

ღვიძლის გლიკოგენურს ფუნქციას აქვს ერთგვარი საზღვარი (ე. წ. ასიმილაციის საზღვარი Hofmeister-ისა). თუ ღვიძლს ერთბაშად ძლიერ ბევრი შაქარი მივაწოდეთ, მაშინ იგი ვეღარ ასწრობს მის გლიკოგენად გარდაქმნას და ამის გამო სისხლში გლიკოზის რაოდენობა ძლიერდება. ამ გვარად ჩნდება ჰიპერ-გლიკემია, რასაც შედეგად მოჰყვება ხოლმე შარდში გლიკოზის გამოყოფა— გლიკოზურია (glycosuria e sacharo Naunyn-ისა). გამოირკვა, რომ შარდში შაქარი ჩნდება, თუ ადამიანმა ერთბაშად გლიკოზის ან ფრუქტოზის 100 გრამზე მეტი მიიღო ანდა გალაქტოზის 40 გრამზე მეტი. ასეთს გლიკოზურის უწოდებენ ალიმენტალურ გლიკოზურის, კინაიდან იგი ისპობა, როგორც კი კვება ნორმალური შეიქნება. საინტერესოა, რომ ალიმენტალურ გლიკოზურის ჩვენ არ მივიღებთ, თუ მონისახარიდების ნაცელად ადამიანს პოლისახარიდებს მივცემთ, კინაიდან მათი დარღვევა და გარდაქმნა ადამიანის საჭმლის მონელებელ ორგანოებში ხდება თანდათანობით და ასევე თანდათანობით ხდება მათი მონელების შედეგად მიღებული გლიკოზის შეწურვა. ამთს გამო ღვიძლში ერთბაშად არ მოჰყვება ხოლმე შაქრის დიდი რაოდენობა და იგი ასწრობს ამ შაქრის გლიკოგენად გარდაქმნას.

სულ სხვა თვისებისა გლიკოზურია, რომელიც პირველად მიიღო Mering-მა გლიკოზიდ ფლორიდინის ძალლების შეშხაპუნების შედეგად. ეს გლიკოზიდი ზოგიერთი ხეხილის (ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ქლიავი) ფესვების კანშია. Mering-მა ფლორიდინი შეუშხაპუნა ისეთ ძალლებს, რომელიც დიდი ხანი შიმშილობდება და რომელთაც ამის გამო, უნდა ვიფიქროთ, ორგანიზმში ნახშირწყლები არ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, მან მიიღო შარდში შაქარი, რაც, Mering-ის აზრით, ერთი ზედმეტი საბუთია იმისა, რომ შაქარი შეიძლება ცილებიდან წარმოიშვას. ფლორიდინის მიერ გამოწვეული გლიკოზურის დროს სისხლში არა თუ არ არის ჰიპერგლიკემია, არამედ შაქრის რაოდენობა შესაძლებელია ნორმაზე ნაკლებიც იქნეს. ამიტომ ცხადია, ფლორიდინის გლიკოზურია გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ თირკმელები შაქრისათვის უფრო გამავალი ხდება, მათი შაქრის გამოყოფის საზღვარი ქვეითდება. სხვათა შორის, ამ უამაღლეს ფლორიდინის ამ თვისებით სარგებლობენ კლინიკაში თირკმელების ფუნქციური დიაგნოსტიკისათვის.

შემდეგ ალსანიშავია პირველად Claude Bernard-ის მიერ აღმოჩენილი მოვლენა. 1849 წ. მან ძალის ტვინის მეოთხე პარკუჭის ფსკერში ჩხვლეტით (pituitre) გამოიწვია გლიკოზურია, რომელიც იწყებოდა ჩხვლეტის 1 საათის შემდეგ და გრძელდებოდა დაახლოვებით 5-6 საათი. მანვე გამოარკვია, რომ ასეთი გლიკოზურია გამოწვეულია ჰიპერგლიკემიის გამო და ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღვიძლში გლიკოგენი არის. თუ ცხოველი შიმშილობდა და მას ღვიძლში გლიკოგენის მარაგი არ ჰქონდა, ასეთი ჩხვლეტის შემდგებ გლიკოზურია არ ჩნდება. აქედან ცხადი შეიქნა, რომ Claude Bernard-ის ჩხვლეტა იწვევ-

და ოვიძოლში გლიკოგენის გლიკოზუდ გარდაქმნას. ცხადი შეიქნა, რომ ტვინში არსებობს ჟაქრის სპეციალური ცენტრი. შემდეგი გამოკვლევებით გამოიიჩვენ ისიც, რომ ტვინიდან ოვიძოლში გაღიზიანება მიღის სიმპათიური ნერვის მარცხენა შტრისა და n. splanchnicus-ის საშუალებით. თუ მათ გადავჭრით, მაშინ Claude Bernard-ის ჩხვლეტის შემდეგ ჩვენ გლიკოზურის უკვე აღარ მივიღებთ.

შემდევი ფაქტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნახშირწყლების გაცვლა-გამოცვლის გაგებისათვის და რომელიც პირველად 1902 წ. Blum-ის მიერ იყო აღმოჩენილი, — ეს არის გლიკოზურიის გამოწვევა ადრენალინის შეშხაპუნების ზეგავლენით. ეს გლიკოზურია შესაძლებელია 24 საათიდან 48 საათამდეც კი გაგრძელდეს. იმავე Blum-მა დაამტკიცა, რომ ეს გლიკოზურია შედევია ჰიპერგლიკემიის ე. ი. ადრენალინის ზეგავლენით სისხლში შაქრის რაოდენობის გაძლიერებით. დღეს უკვე მთელ რიგ აცტორთა გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ Claude Bernard-ის ჩხვლეტა და ადრენალინის მიერ გამოწვეული გლიკოზურია მჭიდროთ არის დაკავშირებული ერთი ერთმანეთთან. ჩვენ რომ ორივე თირკმლის ზედა ჯირკვლი ცხოველს ამოკვეთოთ და შემდევ Claude Bernard-ის ჩხვლეტა მოვახდინოთ, — ჰიპერგლიკემია ძლიერ მცირე იქნება და მას შესაძლებელია გლიკოზურია არც კი მოჰყეს. მაგრამ თუ ასეთს ცხოველს ჩვენ ადრენალინს შეუშხაპუნებთ ე. ი. ღლუდებით იმას, რაც მას თირკმლის ზედა ჯირკვლების ამოკვეთის გამო აკლია, მაშინ ჩვენ მივიღებთ ჩვეულებრივს ჰიპერგლიკემიას და გლიკოზურიას. Claude Bernard-ის ჩხვლეტისა და ადრენალინის ურთიერთ შროის დამოკიდებულობას ამ უამაღ შემდევნირად ხსნიან: ჩხვლეტის დროს ტვინიდან გაღიზიანება მიღის ლეიძლში და იწვევს გლიკოგენის დაშლას; ამავე დროს სიმპათიური ნერვების საშუალებით გაღიზიანება მიღის აგრეთვე თირკმლის ზედა ჯირკვლებამდე და იწვევს ექ ადრენალინის ზემდეტ სეკრეციას; ადრენალინის ზედმეტი სეკრუცია კი თავისითავგად იწვევს ლეიძლში სიმპათიური ნერვების დაბოლოვებათა გაღიზიანებას და ამას მოსდევს გლიკოგენის კიდევ უფრო მეტი დაშლა. ჰიფიქრობენ აგრეთვე, რომ ადრენალინი თირკმლებსაც შაქრისათვის უფრო გამავალად ხდის.

შემდეგ გამოირკვა იგრეთვე, რომ გლიკოზურია შეიძლება გაჩნდეს ზოგიერთი ნივთიერებების მიერ მოწამლვის შემდეგ. ასეთ ნივთიერებებს წარმოადგენენ: კურარე, ეთერი, ქლოროფორომი, ამილ-ნიტრიტი, ნახშირეანგი (Co), მორფიუმი და სხვა. გლიკოზურიას ვხვდებით იგრეთვე ასფიქსიის დროსაც. გამოირკვა, რომ ამ შემთხვევაში ღვიძლის გლიკოგენი ძლიერ სწრაფად ირლვე-ვა და გარდიქმნება გლიკოზად. ამის გამო ასეთს ტოქსიურ გლიკოზურიას აძეამად ხსნიან ან ადრენალინის გაძლიერებული სეკრეციით ანუა შაქრის კენტრის გაღიზიანებით.

მაგრამ ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პანკრეასის როლის გამორკვევას ნახშირწყლოვან ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლისათვის და განსაკუთრებით დაამეტრის პათოგენზისათვის.

1877 წ. ე. ი. თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ გამოჩენილმა ფრანგმა კლინიკუსტმა Lancereaux-მ კლინიკური და პათოლოგიურ-ანატომიური დაკვირვებების მიხედვით გამოჰყო დიაბეტის ერთი ფორმა, რომელსაც მან პანკრეატული დიაბეტი უწოდა.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პანკრეასის როლის გამორკვევაში ნახშირწყლების გაცვლა-გამოცვლაში და დიაბეტის წარმოშობაში Mering-ისა და Minkowski-ს ექსპერიმენტებს.

1889 წ. მათ ძალლებს პანკრეასი მთლიანად ამოუკვეთეს და შემდეგად მიიღეს 24 საათვის განმავლობაში ძლიერი გლიკოზურია (10%), რომელ შემდეგ დაერთო მძიმე დიაბეტის ტიპიური მოვლენები: გაუმაძლრობა, ძლიერი წყლერილი, გლიკოზურია, ნახშირწყლების სრული აკვეთისა და შიმშილების შემდეგაც, აცეტონურია ძლიერი პროგრესიული სიგამხდრე და რამდენიმე კვირის განმაღლობაში ცხოველის სიკვდილი. ეს უკვე უტყუარი საბუთი იყო, რომ დიაბეტის წარმოშობაში პანკრეასის მნიშვნელობა ძირითადია. საჭირო იყო მხოლოდ იმის გამორკვევა, თუ როგორ მოქმედობს პანკრეასი ამ შემთხვევაში.

1891 წ. Lépine-მა ძალლს ამოუკვეთა პანკრეასი და შემდეგ იგი იმავე ძალლს კანქევეშ ჩაუკვერა. ასეთს ძალლს დიაბეტი არ გაუჩნდა. აქედან ცხადი შეიქნა, რომ დიაბეტის წარმოშობაში პანკრეასის გარეგან სეკრეციას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ესვე დაადასტურა Laguesse-მა, რომელმაც პანკრეასის სადინარი მილი გადასკვნა და ამგვარი მოსპონ პანკრეასის გარეგანი სეკრეტის ნაწლავებში გადასცლა და დიაბეტი არ მიიღო. ფრიად საინტერესო ცდები მოხდინა ამ საკითხის გამოსარგევად ცნობილმა ფრანგმა ფაზიოლოგოსმა Hédon-მა. მან პანკრეასის ერთი ნაწილი (process. uncinatus) გამოკვეთა და ჩააკერა კანზი. შემდეგ ამისა პანკრეასის დარჩენილი ნაწილი სულ ამოკვეთა, მაგრამ დიაბეტი არ მიიღო. როგორც კი მან პანკრეასის კანზი ჩაკერებული ნაწილიც ამოკვეთა, ძალლს ტიპიური დიაბეტი გაუჩნდა.

იმავე Hédon-მა შეორე ფრიად საინტერესო ცდა მოახდინა. მან ორი ძალლის სისხლის მიმოქცევის ორგანოები ერთმანეთს შეუერთა საძილე არტერიების საშუალებით. შემდეგ ერთს მათგანს პანკრეასი ამოუკვეთა, მაგრამ ამ ძალლს გლიკოზურია არ გაუჩნდა. როგორც კი მან ამ ძალლის სისხლის მიმოქცევა მრთელი ძალლის სისხლის მიმოქცევისაგან გამოაცალევა, ძალლები ერთმანეთს დააშორა და ამგვარად მოსპონ საშუალება, რომ მრთელი ძალლის სისხლი მოჰყვეს პანკრეასამოკვეთილი ძალლის სისხლში, პანკრეასამოკვეთილს ძალლს ტიპიური დიაბეტი გაუჩნდა და ცოტა ხნის შემდეგ იგი კიდევც მოკვდა. ანალოგიური ცდები მოახდინა Minkowski-ს კლინიკაში Förschbach-მა და მიიღო ისეთივე შედეგები.

შედარებით ბოლო ხანს (1911 წ.) საინტერესო ექსპერიმენტი მოახდინეს Carlson-მა და Drenann-მა. მათ მაკე ძალლს უკანასკნელს თვეში ამოუკვეთეს პანკრეასი. ძალლი არ გახდა ავად დიაბეტით, მაგრამ, როდესაც ამ ძალლმა შობა, მას გაუჩნდა ტიპიური დიაბეტი. აქედან, რა თქმა უნდა, ნათელი იყო, რომ ძალლის ნაყოფის პანკრეასში მუშავდებოდა იმოდენი შინაგანი სეკრეტი (პორ-

მონი, ინკრეტი), რომ იგი საყოფი იყო პანკრეასამოქვეთოლი დედა-ძალლის ორგანიზმისათვისაც.

ყველა ზემოსქენებულმა ცდებმა ნათლად დაამტკიცეს, რომ ნახშირწყლოვან ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლაში და დიაბეტის წარმოშობაში მნიშვნელობა აქვს პანკრეასის შინაგანს სეკრეციას და არა მის გარეგანს სეკრეციას. საჭირო იყო მხოლოდ იმის გამორკვევა, თუ პანკრეასის რა ადგილსა და რა ნაწილში ხდება ეს შინაგანი სეკრეცია.

1869 წ. Langerhans-მა პანკრეასში ოლმოაჩინა ერთგვარი უჯრედები ან, უკეთ რომ ვთქვათ, უჯრედების გროვები, რომელიც მდიდარია სისხლის კაპი-ლარებით და გარშემორტყმული სუსტად განვითარებული შემაერთებელი ქსოვილით. თვით უჯრედები ეპითელიუმის უჯრედებს წარმოადგენენ, პანკრეასის სხვა უჯრედებზე უფრო პატარანია და უფრო გამსჭვირვალე. ხშირად მათში ძლიერ დიდი (თითქმის გიგანტიური) გულგული გვხვდება და, გარდა ამისა, საქმოად ცხიმი, გაცილებით მეტი, ვიდრე პანკრეასის სხვა უჯრედებში. ამ უჯრედების გროვებს მათი ოლმომჩენის პატივსაცემლად Langerhans-ის კუნძულები უწოდეს (*Insulae Langerhansii*).

1893 წ. Lagusse-მა ჰისტოლოგიურისა და ემბრიოლოგიური დაკვირვებების მიხედვით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პანკრეასში შინაგანი სეკრეცია სწორედ ამ Langerhans-ის კუნძულებში სწარმოებს. ამის შემდეგ მკლევართა მთელი რიგი დაინტერესდა ამ საკითხით და სცდილობდა გამოქრცვია Langerhans-ის კუნძულებსა და ღიაბეტს ზორის დამოკიდებულება (Lubarsch, Соболев, Opie, Heiberg, Sauerbeck, Russel Cecil, Weichselbaum და სხვები). მე შევჩერდები მხოლოდ ზოგიერთ შრომებზე.

Heiberg-მა გაკვეთა 35 დიაბეტიანის გვამი და გამოარკვია, რომ დიაბეტის დროს პანკრეასში Langerhans-ის კუნძულების რიცხვი კლებულობს: 35 დიაბეტიანიდან მხოლოდ 9 ჰქონდა ამ კუნძულების ნორმალური რიცხვი. როდესაც ჯანსაღ ადამიანს პანკრეასის ელექტოსკოპი მიმართულ ნაწილში საშუალოდ 130-მდე Langerhans-ის კუნძული აღმოაჩნდა, დიაბეტიანებს ჰქონდათ მხოლოდ 30—40. იმ 9 შემთხვევაში, როდესაც ამ კუნძულების რიცხვი არ იყო შემცირებული, მათში აღმოჩნდა საგრძნობი სკლეროტიზმი (კლიონები).

Cecil-მაც 90 დიაბეტიანი ოვალმყოფიდან 78 ომოუჩინა Langerhans-ის კუნძულებში სხვადასხვა ცვლილება (სკლეროზი, ატროფია, ჰიპერტროფია, გია-ლინური გადაგვარება და სხვა).

კველაზე შეტი მასალა Weichselbaum-მა შეაგროვა. მან გაკვეთა 183 დია-
ბეტიანის გვამი. მაკროსკოპიულად მან აღმოაჩინა მხოლოდ პანკრეასის ერთგვა-
რი საერთო ატროფია და წონის ხანდახან ძლიერ საგრძნობი მოკლება (25—30
გრამი ნაცვლად ნორმალური 100 გრამისა), ოუქცა ზოგიერთ შემთხვევაში პან-
კრეასი წონაში მომატებულიც—კი იყო. სამაგიეროთ მიკროსკოპიული ცვლილებები
კველა შემთხვევაში ფრიად საგრძნობი და მნიშვნელოვანი იყო: 53%—ში Wei-
chselbaum-მა აღმოაჩინა Langerhans-ის კუნძულების უჯრედების ჰიდროკოული-
გადაგვარება ზედღართული ატროფიით და კუნძულების საერთო რიცხვის შემ-
ცირებით და დანარჩენ შემთხვევებში კი—კუნძულების უჯრედების სკლეროზი,
გიალინური გადაგვარება და ატროფია.

ამგვარად დამტკიცდა, რომ დიაბეტის წარმოშობაზე უდიდესს გავლენას ახდენს პანკრეასის შინაგანი სეკრეცია და რომ ეს შინაგანი სეკრეცია სწარმობს პანკრეასის იმ ნაწილში, რომელსაც Langerhans-ის კუნძულებს უწოდებენ.

თუ როგორია პანკრეასის შინაგანი სეკრეციის მოქმედების მექანიზმი ნახშირწყლოვან ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლაზე და დიაბეტის წარმოშობაზე, ჯერ სავსებით გამორკვებული არ არის. დამტკიცებულია, რომ პანკრეატიული დიაბეტის დროს სისხლში შაქრის რაოდენობა მომატებულია ე. ი. არსებობს ჰიპერგლიკემია, რომელმაც შეიძლება 1% -ს მიაღწიოს ნაცვლად ნორმალური $0.1\% - 0.15\%$ -სა.

ჰიპერგლიკემია შეიძლება წარმოშვეს მაშინ,

1) თუ ავადმყოფი ადამიანის ორგანიზმში შაქარი ნორმალურზე ნაკლებად იწვის,

2) თუ მის ორგანიზმში ნორმაზე მეტი შაქარი წარმოიშობა,

ანდა 3) თუ ორივე ამ მომენტს აქვს ადგილი ე. ი. თუ ორგანიზმში ნორმაზე მეტი შაქარი წარმოიშობა და ამავე დროს შაქრის დაწვის უნარიც არგანიზმს ნაკლები აქვს.

ავტორთა მთელი რიგი (Bouchardat, Labbé, Wilke, Lépine, Hédon, Harley და სხვები) იმ აზრისაა, რომ დიაბეტიან ავადმყოფს ძლიერ შემცირებული აქვს გლიკოზის მოლექულის დაშლის უნარი, თუმცა მის ორგანიზმში თავისუფლად იწვის შაქრის დაშლის პროცესტები, მაგალითად, გლიკურონის მეტა, შაქრის მეტა და სხვა. აქედან შეიძლებოდა ის დასკვნა გამოგვეყვანა, რომ დიაბეტიანი ავადმყოფის ორგანიზმში დარღვეულია გლიკოზის დამშლელი ფერმენტის მოქმედება. Lépine-მა თითქოს კიდეც გამოჰყო სისხლში ასეთი ფერმენტი, მაგრამ სხვა ავტორებმა ეს არ დაადასტურეს და ამგვარად გლიკოლიტიური ფერმენტის არსებობა სისხლში ჯერ-ჯერობით დამტკიცებულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

შემდეგ გამოირკვა, რომ დიაბეტიანი ავადმყოფი არ ჰქარგავს სავსებით შაქრის დაწვის უნარს, რაც მტკიცდება იმ გარემოებით, რომ ფიზიკური მუშაობის დროს მისი სუნთქვითი კოეფიციენტი ძლიერდება.

ამგვარად თუმცა დიაბეტის დროს შაქრის დაწვის უნარი ორგანიზმში შემცირებულია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს დიაბეტიანი ავადმყოფის ჰიპერგლიკემიის მთავარი მიზეზი. უნდა ვითიქროთ, რომ ჰიპერგლიკემიის საგრძნობ მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ დიაბეტიანი ავადმყოფის სისხლში შაქარი ზედმეტად წარმოიშობა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ადრენალინი იწვევს ჰიპერგლიკემიას და ეს ხდება, ვინაიდან ლვიდლში გლიკოგენი სწრაფად გარდაიქმნება დიასტატიური ფერმენტის ზეაულენით გლიკოზად. შემდევ ჩვენ ვიცით, რომ დიაბეტის დროს ორგანიზმის უნარი შაქრის წარმოიშობისა აშეკრად გაძლიერებულია (Kraus), რაც მტკიცდება იმ გარემოებით, რომ ნახშირწყლების საჭირო აკვეთის შემდეგაც, შაქარი სისხლში და შარდში ხშირად ბლობად არის, კინადან იგი წარმოიშობა გარდა ნახშირწყლებისა ცილებიდან და ნაწილობრივ ცხიმებიდანც.

პანკრეასის შინაგანი სეკრეტი (პორმონი) იწვევს ადრენალინის ამ გამაღიზიანებული გავლენის შენელებას, იგი ანტაგონისტია თირკმლისზედა ჯირკვლის



დიაბეტის პათოგენეზი და მისი ინსულინით მკურნალობის პრინციპები. უცხოურული გარემონტის

ჰორმონისა, და ორგანიზმის ნორმალურს მდგომარეობაში პანკრეასისა და თირკელისჩედა ჯირკვლის შინაგანი სეკრეტების ურთიერთ შორის დამოკიდებულიბა იწვევს განსაზღვრულს წონასწორობას. ორდესაც პანკრეასის შინაგანი სეკრეტია მცირდება, მაშინ აღრენალინი უანტაკონისტოთ რჩება და ამას კი მოჰყვება ორგანიზმში ზედმეტი შაქრის შექმნა და ჰიპერგლიკემია.

ამგვარად აქნობამდე მეცნიერების შეხედულება ჰიპერგლიკემიის დროს იყო ასეთი: აღრენალინის ზეგავლენით პანკრეასის ჰორმონის შემცირების გამო ორგანიზმში ჩნდება შაქრის ზედმეტი რაოდენობა და ამავე დროს დიაბეტიანი ავადმყოფობის ორგანიზმში ამ შაქრის დაწვის უნარიც ნაწილობრივ შეფერხებულია.

ამ უამად, გარდა ამისა, გამორკვეულია იგრეთვე შინაგანი სეკრეტის სხვა ჯირკვლების დამოკიდებულობაც შაქრის გაცვლა-გამოცვლის პროცესზე.

ფარისებრი ჯირკვლი აძლიერებს აღრენალინის მოქმედებას და პანკრეასის ჰორმონის ანტაგონისტურ მოქმედებას იჩენს. სამაგიეროთ gl. parathyreoida აძლიერებს პანკრეასის მოქმედებას და ანტაგონიზმს უწევს აღრენალინს.

ტრინის დანამატის (hypophysis cerebri) დამოკიდებულება შაქრის გაცვლა-გამოცვლაში ჯერ კიდევ არ არის საკუთრივი გამორკვეული.

რადგან დიაბეტი და აკრომეგალია ერთად ძლიერ ზშირია და, Pierre Marie-ს დაკვირვებით, აკრომეგალის ყველა შემთხვევების ნახევარში თან ერთვის დიაბეტი, ხანდახან მსუბუქი მაგრამ ხანდახან ფრიად მძიმე, ამიტომ ავტორთა მთელი რიგი (Borchardt, Claude et Baudoin, Harvey, Cusching, Götsch, Jacobson) ფაქტობდა, რომ ჰიპოფიზისის ზედმეტი სეკრეტია იწვევს გლიკოზურის წარმოშობას. მაგრამ Loeb-ი იმ აზრისაა, რომ აკრომეგალის დროს წარმოშობილი გლიკოზურია სულ სხვა ხასიათისაა და გამოწვეულია იმ გარემობით, რომ ჰიპოფიზისის დაზენობის მომატება, რასაც ადგილი აქვს ამ სნეულების დროს, იწვევს ტრინის მეზობელი ადგილების გაღიზიანებას, მათ შორის შაქრის ცენტროს გაღიზიანებასაც და ამას კი, როგორც ვიცით, გლიკოზურია მომკვება. Camus-მა და Roussy-მ ექსპერიმენტალურად გამოიწვიეს ჰიპოფიზისის მეზობლიად ტრინის ფსკერის გაღიზიანება და შედეგად გლიკოზურია და პოლურია მიღებეს. ამგვარად, თითქოს ირკვევა, თუმცა ჯერ კიდევ საკუთრივი გადაწვეტილად არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ აკრომეგალიის დროს არსებული გლიკოზურია და დიაბეტი წარმოადგენს არა ჰიპოფიზის სეკრეტის მიერ წარმოშობილს დიაბეტს, არამედ არსებითად ნერვულ დიაბეტს, ანალოგიურს Claude Bernard-ის ჩხლევეტის (picinre) მიერ გამოწვეული გლიკოზურიისა.

მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ პანკრეასის შინაგანი სეკრეტია მოქმედობს შაქრისა და ნახშირწყლოვან ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლაზე აღამიანის ორგანიზმში, მკვლევართა მთელი რიგი (Zuelzer, Kleiner, Scott, Paulesco და სხვები) სცდილობდა მიერთ პანკრეასის ექსტრაქტები და შემდეგ ამ ექსტრაქტებით ეწამდა ძალების ექსპერიმენტული დიაბეტისა და ადამიანის დიაბეტის დროსაც. მათ მიერ მიღებული შედეგები არ იყო დამაქმაყოფილებელი. დიდს უმეტეს შემთხვევებში ასეთი ექსტრაქტები არ აძლენდა რაიმე გავლენას შაქრის რაოდენობაზე შარდში, ზოგჯერ კი მოქმედებდა, მაგრამ ძლიერ მცირდებად და ისიც მოკლე ჩნით და, რაც უმთავრესია, ეს ექსტრაქტები ყოველთვის იწვევდა ინტოქსიკაციის ძლიერ მოვლენებს შემცირებით, ტემპერატურის მომატებით, პირსაქმებით და ხანდახან კოლაპსითაც.

1920 წ. ტორონტოს (კანადა) უნივერსიტეტის პროფ. Macleod-ის ფიზიოლოგიურს ინსტიტუტში Banting-მა და სტუდ. Best-მა დაიწყეს სისტემატიური მუშაობის წარმოება. პანკრეასის შინაგანი სეკრეტის მიღებისათვის. ისინი სცდი-



ლობდენ, რომ პანკრეასის გარეგანი სეკრეციის ელემენტები არ ყოფილიყო მაგრამ მიერ მიღებულ ექსტრაქტებში, ვინაიდან, როგორც უკვე ცნობილი იყო (Craffon), ტრიპინი, ერთის მხრით, არღვევს და სპობს პანკრეასის შინაგან სეკრეტს და, მეორეს მხრით, იწვევს ტრიკსიურ მოვლენებს.

Banting-ი და Best-ი ჰქოიქრობდენ, რომ თუ პანკრეასის სადინარ მიღს გადასკვნიდენ, ამით ისინი გამოიწვევდენ პანკრეასის გარეგანი სეკრეციის უჯრედების ატროფიას და ამავე დროს შინაგანი სეკრეციის უჯრედებზე გავლენას არ მოახდენდენ. ამ მხრივ ისინი ეყრდნობოდენ, ერთის მხრით, Schulze-სა და Laguesse-ის ექსპერიმენტებს, რომელთაც პანკრეასის სადინარი მიღის გადასკვნით გამოიწვიეს ამ ჯირკვლის მხოლოდ გარეგანი სეკრეციის უჯრედების ატროფია და ამავე დროს Langerhans-ის კუნძულები მრთელი ოჩებოდა, და მეორეს მხრით, Steinach-ის ასეთსავე გამოკვლევებს, როდესაც იგი vas deferens-ის გადასკვნით იწვევდა კვერცხის გარეგანი სეკრეციის უჯრედების ატროფიას და ამავე დროს ამ ორგანოს შინაგანი სეკრეციის უჯრედები (ე. წ. Leidig-ის უჯრედები), პირიქით, უფრო კითარდებოდენ კიდეც.

პირველად Banting-მა და Best-მა გამოსჭრეს პანკრეასი ისეთს ძალლს, რომელსაც იმის წინეთ პანკრეასის სადინარი მიღი გადასკვნილი ჰქონდა; შემდეგ წვრილად დაჭრილი პანკრეასიდან გააკეთეს ექსტრაქტი Ringer-Locke-ის სითხის საშუალებით და ეს ექსტრაქტი შეუშხაპუნეს კანკვეშ ძალლებს, რომელთაც ექსპერიმენტალური პანკრეატიული დიაბეტი ჰქონდათ. ასეთი ექსტრაქტის შემთხვევაში შედეგად მათ ყოველთვის მიიღეს შარდში შაქრის რაოდენობის შემცირება, ჩვეულებრივი პანკრეასის ექსტრაქტი კი ასეთ შედეგს არ იძლეოდა. Banting-მა და Best-მა მათ მიერ მიღებულ ექსტრაქტს ინსულინი უწოდეს.

ამის შემდეგ მათი ცდა მიმართული იყო იმისაკენ, რომ გაედგილებიათ ინსულინის მიღების პროცესი და შესაძლებელად გაეხადათ ინსულინი მიეღოთ არა მარტო სადინარგადასკვნილი პანკრეასიდან, არამედ ნორმალურიდანაც. მთელ რიგ გამოკვლევათა შემდეგ მათ გამოარკვიეს, რომ ალკოჰოლის საშუალებით შეიძლება პანკრეასის ჰორმონის, ცილებისა და ფერმენტების ერთმანეთისაგან განცალკევება. განსაზღვრული კონცენტრაციის ალკოჰოლი, განსაკუთრებით თუ მას სუსტი შეავა აქვს მიმატებული, იწვევს ფერმენტებისა და ცოლოვან ნივთიერებათა დალექს და ამავე დროს ჰორმონს ხსნის. მე არ განვარტავ ინსულინის მომზადების მთელს როზულს პროცესს მით უმეტესს, რომ ამ უძად უკვე აღარ არსებობს ერთი რომელიმე ყველას მიერ მიღებული წესი, არამედ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა წესს ხმარობენ, ვიტყვი მხოლოდ, რომ დღეს როზული ქიმიური მეთოდების საშუალებით ინსულინი სრულად განთავისუფლებულია ფერმენტებიდან და ცილოვანი ნივთიერებებიდან და ამ გვარად მისი არასასურველი და მავნე გავლენა ორგანიზმზე აცილებულია. ჩვეულებრივად ინსულინს ამზადებენ ჩემსანი ცხოველების, ცხვრებისა და ღორების პანკრეასიდან. Macleod-მა კი მიიღო ინსულინი ზოგიერთი თევზებიდან, რომელთაც ინსულარული აპარატი პანკრეასში კი არა აქვთ, არამედ იგი, როგორც ცალკე თოვნი, მდებარეობს კანის ვენის ახლოს.

ინსულინი წარმოადგენს თეთოს ჰიგროსკოპიულ ფხვნილს, რომელიც ადვილად ისსნება წყალში და 80° ალკოჰოლში. მასში $50\%/_0$ -მდე არაორგანიზული შა-

რილებია (ქლორიდები და ფოსფატები). პეპსინი, ტრიპსინი და ოდულება 3 წუთის განვალობაში ინსულინს არღვევს და უმოქმედოდ ხდის.

თუ როგორია ინსულინის ქიმიური ბუნება, ჯერ გამორკვეული არ არის. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ წინეთ იგი იძლეოდა ცილების რეაქციას და დალექს დროს ილექტბოლა ალბუმინზებთან ერთად, მაგრამ ამ ბოლო ხანებში მიღებულია ინსულინი, რომელიც ცილების რეაქციებს უკვე იღარ იძლევა და ამავე დროს მას ინსულინის ყველა თვისება აქვს.

მიუხედავად მისია, რომ ინსულინის ქიმიური ბუნება გამორკვეული არ არის, მისი ფიზიოლოგიური გავლენის შესახებ დღეს უკვე საქმაო ცნობები მოიპოვება.

პირველად Banting-მა და Best-მა შეუშხაპუნეს ინსულინი ისეთს ძალლებს, რომელთაც ექსპერიმენტალური პანკრეატიული დიაბეტი ჰქონდათ. ჩვეულებრივად ასეთს ძალლებს აქვთ ძლიერი ჰიპერგლიკემია, გლიკოზურია და აცეტონურია და ისინი ძლიერ მაღლ იხოცებიან. ინსულინის ზეგავლენით ჰიპერგლიკემია და გლიკოზურია, ძლიერ კლებულობდა, აცეტონურია კი სრულიად ისპობოდა და ძალლები უკვე დიდის ხანის სცოცხლობდენ. შემდეგ გამოირკეა, რომ ინსულინი იწვევს არა მარტო პანკრეატიული ჰიპერგლიკემიისა და გლიკოზურიის შემცირებას, არამედ კარგად მოჭედობს სხვა გლიკოზურიების დროსაც, მაგალითად: ალიმენტარული გლიკოზურიის დროს, Claude Bernard-ის piqure-ის მიერ გამოწვეული გლიკოზურიისა, ტოქსიურსა და ადრენალინის მიერ გამოწვეული გლიკოზურიების დროსაც. გამოირკეა აგრეთვე ისიც, რომ ინსულინი ჯანმრთელი ცხოველების სისხლშიაც იწვევს შაქრის რაოდენობის შემცირებას.

პროფ. Macleod-მა აღმოაჩინა, რომ პანკრეატიული დიაბეტიანი ძალლის ლვიძლში ინსულინის ზეგავლენით გლიკოგენის რაოდენობა ძლიერ იყო მომატებული, ჩვეულებრივად კი ასეთს ძალლებს ლვიძლში გლიკოგენი თითქმის სრულიად არა აქვთ. Macleod-მა შემდეგი ექსპერიმენტი გააკეთა: დიაბეტიან ძალლს მან ერთსა და იმავე დროს მისცა შაქარი და შეუშხაპუნა ინსულინი, შემდეგ გაკვეთა ასეთი ძალლები და აღმოაჩინა მათ ლვიძლში გლიკოგენის შედარებით დიდი რაოდენობა.

იგივე დაამტკიცა Campbell-მა აღამიანებზე, რომელთაც დიაბეტი სჭირდათ, ინსულინით მკურნალობდენ და შემდეგ სხვა რამე შემთხვევითი სნეულებისაგან დაიხოცნენ.

აცილოზი და აცეტონურია ინსულინის ზეგავლენით კლებულობს და მაღლ სრულიად ჰქონდა და ეს ხდება ჰიპერგლიკემიისა და გლიკოზურიის მოსპობაზე უფრო აღრეც (Noorden, Widal).

სუნთქვითი კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ სწარმოებს ნახშირწყლების დაწვა დიაბეტიანი ძალლის ორგანიზმში, ინსულინის ზეგავლენით ძლიერდება, რაც ამტკიცებს, რომ შაქარი უფრო კარგად იწვის (Banting, Macleod, Delezenne). ასევე ძლიერდება ინსულინის ზეგავლენით დიაბეტიანი ადამიანის სუნთქვითი კოეფიციენტიც (Kellaway, Hughes).

შემდეგ ინსულინი იწვევს ცხიმისა და ცხიმოვან მუავათა შემცირებას როგორც დიაბეტიანი ძალლების სისხლში (Macleod, Banting), აგრეთვე დიაბეტით



დაავადებულ ავაღმყოფთა სისხლშიაც (Josslin). ღვიძლშიაც ინსულინის ზეგავ-ლენით ცხიმის რაოდენობა საგრძნობლად მცირდება.

შემდეგ გამოიტკიცა ერთი ფრიად საინტერესო მოვლენა — ეს ე. წ. ჰიპო-გლიკემიური რეაქცია. ეს რეაქცია იჩენს ხოლმე თავს მაშინ, როდესაც შაქრის რაოდენობა ცხოველის სისხლში ძლიერ დაჭვეოთდება (დაახლოვებით 0,045%⁰-მდე) და გამოიხატება იმაში, რომ ცხოველი თითქოს შემინტებულია, პერსინობს წყურ-ვილსა და შიმშილს, მოძრაობა მას ეზარება და ამის შემდეგ ეწყება კრუნჩხვა და, თუ სათანადო ზომები არ იქნა მიღებული, კვდება კიდეც სუნთქვითი ცენ-ტრის სიდამბლის გამო. ასეთს შემთხვევაში გლიკოზა, მიცემული შიგნით ანდა შეშაპუნებული კანქვეშ ან ინტრავენოზურად იმისდა მიხედვით, თუ რა სიძლი-ერისაა რეაქცია, უმაღვე სპობს ყველა მოვლენებს. ასევე სპობს ჰიპოგლიკემიუ-რი რეაქციის მოვლენებს ადრენალინის შეშაპუნება, რომელიც ინსულინისადმი ანტაგონისტურ მოქმედებას იჩენს. ასეთსავე ანტაგონისტურ მოქმედებას იჩენენ ინსულინისადმი, მხოლოდ უფრო სუსტს, თირეოიდინი და პიტუიტრინი. გან-საკუთრებით სუსტია პიტუიტრინის მოქმედება.

ფრიად საინტერესო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორაა ინსულინის მოქმედების მექანიზმი. საკითხი ეს საინტერესო არა მარტო თავისთავად, არა-მედ იმიტომაც, რომ გამორკვეულიყო უკვე დიდი ხნის არსებული დავა, თუ რა არის დიაბეტის დროს ჰიპერგლიკემიის მიზეზი — შაქრის დაწვის უნარის შემცი-რება, თუ გლიკოგენის მომარავების უნარის მოსპობა. საუბედუროთ, შიუხედა-ვად მოელ რიგ ავტორების დაკვირვებათა ინსულინის მოქმედების შესახებ, ეს საკითხი საბოლოოდ გამორკვეულად არ შეიძლება ჩაითვალოს. Macleod-ი, Umber-ი, Delezenne-ი და Strauss-ი იმ აზრისა არიან, რომ ინსულინი იწვევს ქსო-ვილებში შაქრის დაწვის გაძლიერებას, რაც მტკიცდება სუნთქვითი კოეფიცი-ენტის გაძლიერებით. მაგრამ ჰოგიერთები და მათ შორის Dudley, Kellaway, Staub-ი და Biedl-იც, თუმცა სუნთქვითი კოეფიციენტის გაძლიერებას ინსული-ნის ზეგავლენით არ უარჲყოფენ, მაგრამ მას სულ სხვა გარემოებით ხსნიან.

მეორეს მხრით დამტკიცებულია, რომ ინსულინი იწვევს ღვიძლში გლიკო-გენის რაოდენობის მომატებას (Macleod, Bickel). ამიტომ Noorden-ი, Isaak-ი და Biedl-ი იმ აზრისა არიან, რომ ინსულინის ზეგავლენით ღვიძლში მატულობს გლიკოგენის მარაგი.


ზოგი ავტორი და მათ შორის Delezenne-ი და Umber-ი ჰიფიერობენ, რომ ინსულინი, ერთის მხრით, აძლიერებს შაქრის დაწვის პროცესს ქსოვილებში, და, მეორეს მხრით, იწვევს ღვიძლში გლიკოგენის მარაგის მომატებას.

ყოველ შემთხვევაში საბოლოოდ ინსულინის მოქმედების მექანიზმი დიაბე-ტის დროს ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის.

როდის უნდა დავუნიშნოთ დიაბეტიან ავაღმყოფს ინსულინი?

ამ კითხვაზე რომ სწორი პასუხი გავსცეთ, საჭიროა მოვიგონოთ საერთოდ დიაბეტის ფორმები.

გერმანელი ავტორები დიაბეტს სამს ფორმად ჰყოფენ: 1) მსუბუქი ფორმა, როდესაც საჭმელში 4 დღით ნახშირწყლოვან ნივთიერებათა სრული აქვეთა იწვევს გლიკოზურის სრულს მოსპობას; 2) საშუალო ფორმა, როდესაც გლი-



კოზურია ჰქონება, თუ ავადმყოფს, ნახშირწყლების სრული აკვეთის გარდა, ცილოვან ნივთიერებათა მიცემასაც შევუმცირებთ და 3) მძიმე ფორმა, როდესაც გლიკოზურის სრული მოსპობა შეუძლებელია მიუხედავად ნახშირწყლების სრული აკვეთისა და ცილოვან ნივთიერებათა მიღების ძლიერი შემცირებისა. ასეთს ფორმას ხშირად თან ერთვის აცეტონურია და აციდოზი.

ფრანგი აცტორები დიაბეტის ფორმებს ორ დიდ ჯვუფად ჰყოფენ (Marcel Labb ).

1) დიაბეტი აზოტოვან ნივთიერებათა შეთვისების დაურღვეველად (sans dénutrition azotée). ამ ფორმის დროს გლიკოზურია გამოწვეულია მხოლოდ ნახშირწყლოვან ნივთიერებათა მიღებით; აზოტოვან ნივთიერებათა შეთვისების წონასწორობა ორგანიზმში შენარჩუნებულია; ავადმყოფი შარდში და განავალში გამოჰყოფს იმდენსაც აზოტს, რამდენსაც იღებს საჭმელში; მისი ქსოვილები არ ირღვევა; ავადმყოფს შერჩენილი აქცე უნარი ნახშირწყლების განსაზღვრული რაოდენობა შეითვისოს და დაწვას კიდეც და ამიტომ გლიკოზურია მიღებული ნახშირწყლების რაოდენობაზე უმცირესია.

2) დიაბეტი აზოტოვან ნივთიერებათა შეთვისების დარღვევით (avec dé-nutrition azotée). ამ ფორმის დროს გლიკოზურია დამოკიდებულია არა მარტო კვებისაგან, არამედ ავადმყოფის ქსოვილის დარღვევისაგანაც; აქ აზოტოვან ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის წონასწორობა დარღვეულია; ავადმყოფი ჰქარებას მეტს აზოტს, ვიღრე ლებულობს საჭმელში. მისი ქსოვილები თანდათან ირღვევა და იგი ხდება; ამავე დროს აზოტოვანი ნივთიერებანი საგსებით წესიერად კი არ იწვის, არამედ უწესოთ და ამის გამო შარდში ნაცვლად მხოლოდ შარდივანისა ჩვენ ვნახულობთ ამინომჟავებს, ამონიაკს და კოლოიდურ აზოტსაც. გლიკოზურია ნახშირწყლების სრული აკვეთით მცირდება, მაგრამ სავსებით არ ისპობა. ასეთს ფორმას, აღრე თუ გვიან, თან მოჰყება აციდოზი და დიაბეტის კომა.

ინსულინის შემოღებამდე დიაბეტის მჯურნალობა იყო ფიზიკურ-დიეტეტიური ინდივიდუალიზაციის მეაცრი გატარებით. აქ ყველაზე წინეთ საჭირო იყო სათანადო დიეტის დანიშვნით გამორჩევა იმისა, თუ დიაბეტის რა ფორმასთან გვაქვს საჭმე, შემდეგ გამორჩევა იმისა, თუ რაოდენი ნახშირწყლების მიღება შეუძლიან ავადმყოფს უგლიკოზურით, რაოდენი ცილების, და შემდეგ დანიშვნა საჭმლის იმდენი რაოდენობის, რაც აუცილებლივ საჭიროა ავადმყოფისათვის მისი წონის მიხედვით, მაგრამ იმ გვარად კი, რომ იგი იკვებებოდეს არა ზედმეტად, არამედ უფრო ნაკლულადაც. საჭიროება იმისა, რომ დიაბეტიანი ავადმყოფი სჭამდეს რაც შეიძლება ცოტას, პირველად აღნიშნა ცნობილმა ფრანგმა მკვლევარმა Bouchardat-მ თავისი ცნობილი გამოთქმით—manger le moins possible.

საინტერესოა, რომ ნაკლებად კვების საჭიროება დიაბეტისანებისათვის დამტკიცდა შემდეგი გარემოებით. როდესაც პარიზში 1870 წ. ალყა შემოარტყეს გერმანელებმა, პარიზში გაპქრა სრულად შაქარი, კვერცხი და ძლიერ შემცირდა ხორცი და პური. ამას მოჰყება დიაბეტიანი ავადმყოფთა რიცხვის შემცირებაც და დიაბეტიანი ავადმყოფთა მდგრმარეობის საგრძნობი გაუმჯობესება. იგივე მოხდა მსოფლიო მისი დროს გერმანიაში, სადაც ძლიერ შემცირდა საერ-



თოდ ხალხის კვება ბლოკადის გამო. აქაც ომიანობის დროს და მის შემდეგ, ეკონომიური კრიზისის გამო, დიაბეტიანები საგრძნობლად მომჯობინდებ და მათმა რიცხვება მოიკლო.

ამ უამაღ გამორკვეულია, რომ გაცვლა-გამოცვლის პროცესების საერთო გაძლიერება ხელს უწყობს ჰიპერგლიკემიას.

ყველა ზემოხსენებულიდან ნათელია, რომ დიაბეტის მქურნალობის დროს:

1) ნახშირწყლები უნდა მიეცეს ავადმყოფს იმდენი, რომ მათი სრული შეთვისება შეეძლოს ორგანიზმს უგლიკოზურით;

2) ცილოვან ნივთიერებათა რაოდენობა დიაბეტიანი ავადმყოფის საჭმელში უნდა შემცირებული იყოს (70—80 გრამმადე), ვინაიდან ცილები, ერთის მხრით, წარმოშობს შაქარს და, მეორეს მხრით, ხელს უწყობს ცხიმებიდან აცეტოშეერთებათა გაჩენას და ამგვარად შესაძლებლად ხდის აცილობს;


3) საჭმლის რაოდენობა უნდა იყოს სწორედ იმოდენი, რამდენიც აუცილებლივ საჭიროა ორგანიზმისათვის, რომ მან თავისი წონა შეინახოს.

ჩვეულებრივად დიაბეტიანი ავადმყოფისათვის კვების გამოანგარიშება სწარმოებს შემდეგ ნაირად: ვთქათ, ავადმყოფის წონა 60 კილოა; ვინაიდან დიაბეტიანს წონის თითო კილოზე სჭირდა 30 კალორია, ამიტომ მისი საჭმლის კალორიული ლირებულება უნდა იყოს 30 კალ. $\times 60 = 1800$ კალორია. ეს იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგა შარდში შაქარს არ გამოყოფდა. თუ მის შარდში შაქრის, ვთქათ, 2%-ია და შარდის რაოდენობა დღე-დღამეში კი უდრის 3000 კუბ. სანტ. მაშასადამე, იგი შარდში ჰარგავს 60.0 შაქარს დღე-დღამეში, ჰყარგავს ისეთს ნივთიერებას, რომელსაც განსაზღვრული კალორიული ლირებულება აქვს, ჩვენს შემთხვევაში იგი კარგავს 4 კალ. $\times 60 = 240$ კალორიას. ამიტომ ჩვენი ავადმყოფის წონისათვის საჭირო 1800 კალ. უნდა მიემატოს დაკარგული შაქრის კალორიული ლირებულება 1800 კალ. $+ 240$ კალ. $= 2040$ კალორია. ეს იქნება კალორიების ის რაოდენობა, რომელიც უნდა მიიღოს ჩვენმა ავადმყოფმა აუცილებლივ. მაგრამ ეს კალორიებიც ჩვენ უნდა გავარაწილოთ ისე, რომ ავადმყოფი დებულობდეს 70.0—80.0 გრამ ცილებს, 50.0—150.0 ნახშირწყლებს და დანარჩენს კი ცხიმების სახით. შემდეგ ყოველ ცალკე შემთხვევაშიც საჭიროა მოვაზდინოთ სასტიკი ინდივიდუალიზაცია, ვინაიდან სხვადასხვა ნივთიერებისაღმი გამძლეობის მიხედვით. ავადმყოფს უნდა დაენიშნოს ისეთი ზოეტა, რომ მისი წონა არ უნდა კლებულობდეს.

ყველა ეს დიეტეტიური პრინციპები ინსულინით მქურნალობის დროსაც საესხით შერჩენილია. ამიტომ, ვიდრე ინსულინით წამლობას დავიწყებდეთ, საჭიროა ყოველი დიაბეტიანი ავადმყოფის ინდივიდუალური შესწავლა, მისი დიაბეტის ფორმის გამორკვევა და მისი დიეტის გამომუშავება ავადმყოფის წონისა და სხვადასხვა ნივთიერებისაღმი გამძლეობის მიხედვით. ავადმყოფს უნდა დაენიშნოს ისეთი ზოეტა, რომ მისი წონა არ უნდა კლებულობდეს.

თუ ასეთს შემთხვევაში ავადმყოფი შაქარს არ გამოჰყოფს შარდში და მის სისხლშიაც არ არის ჰიპერგლიკემია ე. ი. თუ ავადმყოფს დიაბეტის მსუბუქი ფორმა აქვს (გერმანული კლასიფიკით), მაშინ ამ უამაღ გერმანიაში ინსულინს ასეთს ავადმყოფს არ უკეთებენ. ამერიკაში კი ასეთს შემთხვევაში ავადმყოფს უმატებენ საჭმელს კიდევ 500 კალორიით, რა თქმა უნდა, ინდივიდუალიზაციის გატარებით და, თუ ამ შემთხვევაშიაც ავადმყოფს არც ჰიპერგლიკემია აქვს და არც გლიკოზურია, მაშინ მას ინსულინს არ უკეთებენ.

თუ ავადმყოფი მიუხედავად დანიშნული დიეტისა მაინც გამოჰყოფს შაქარს, მაშინ უნდა გამორკვეული იქნეს გამოყოფილი შაქრის დღე ღამის რაოდენობა და ამის მიხედვით დაენიშნოს ივადმყოფს ინსულინი იმ ანგარიშით, რომ ინსულინის ერთი ერთეული უდრის შაქრის 2—5 გრამს.



დიაბეტის პათოგენეზი და მისი ინსულინით მკურნალობის პრინციპები. პრევენციული უზრუნველყოფა

პროფ. Macleod-მა ხანგრძლივი ექსპერიმენტებისა და გამოცდილების შემდეგ ინსულინის ერთგულად შემოილო ამ პრეპარატის იმდენი რაოდენობა, რამდენიც ჯანსაღ შინაურს კურდღლს წარით 2—2½ კილოს, რომელიც ერთი დღე შემშილობდა, დაუქვეითებს სისხლში შაქრის რაოდენობას 4 საათის განმავლობაში 0.045%—მდე ე. ი. წ. გამოიწვევს ე. წ. ჰიპოგლიკემიურს რეაქციას. შემდეგ გამოირკვა, რომ ეს ერთეული კლინიკისათვის შედარებით დიდია და 1924 წლიდან ერთგულად შემოაღნიშვლი დოზის ნახევარს ხმარობდენ.

ამ უადად ინსულინს ამზადებენ თითქმის ყველა სახელმწიფოში და მისი პრეპარატები მრავალია. ყველაზე უფრო ცნობილია ინსულინი Lilly-სა, რომელსაც ტურონტოს უნივერსიტეტის კომისია უწევს კონტროლს, შემდეგ ინგლისური ფირმების Allen and Hanbury-ს და Welcom-ის პრეპარატები, შევერარიული ინსულინი Hoffmann La-Roche-ის და გერმანული ინსულინი ცნობილი ფირმების Kahlbaum-ის, Bayer-ის და Hoechst-ის.

პრადად ჩვენ ხელთ გვქონდა Allen-ის და Welcom-ის პრეპარატები (ორივე წარმოადგენს ინსულინის სხნარს, უკვე დამზადებულს კანქვეშ შესახაუნებლად) და დანიური პრეპარატი „Leo“, რომელიც ტაბლეტებშია და საჭიროებს შეშაუნების წინ გახსნას და ამიტომ უფრო ნაკლებად ხელსაყრელია. ინგლისური ინსულინი კი, განსაკუთრებით Allen-ის ფირმის, ერთს საუკეთესო პრეპარატად ითვლება.

Noorden-ი გვირჩევს, რომ ინსულინი ავადმყოფს გავუკეთოთ დღეში ორჯერ-სამჯერ ჭამის წინ, ვინაიდან მისი მოქმედების მაქსიმუმი 3-4 საათის შემდეგ დგება ე. ი. იმ დროს, როდესაც ნაწლავებიდან სისხლში მონელებული ნახშირწყლების შედეგად მიღებული შაქარი შეიწურება. ინსულინის წამლობის ზეგავლენით მოკლე ხანში შაქარი სრულიად ჰქრება და ავადმყოფი უკეთ ხდება. ასეთი წამლობა უნდა გაგრძელდეს დაახლოებით 1-3 კვირა. ამის შემდეგ ამერიკელი ავტორები უმატებენ ავადმყოფს საჭმელში ნახშირწყლების რაოდენობას და ამასთანავე ერთად სათანადოთ ინსულინის რაოდენობასაც, რომ გამოიწვიონ ავადმყოფის წონაში მომატება, განსაკუთრებით, თუ იგი გამხდარია. გერმანიაში ჭამის ამ მომატებას საჭიროდ არ სთვლიან. როდესაც ავადმყოფი საკმაოდ მოშვერინდება, დიეტის სტოვებენ ისეთსაც, ინსულინის დოზას კი თანდათანობით ამცირებენ. წამლობა ინსულინით საერთოდ გრძელდება შემთხვევის მიხედვით რამდენიმე თვე.

ინსულინით წამლობის კურსის დამთავრების შემდეგ ავადმყოფს ენიშნება ისეთი დიეტი, რომ წონაში არ მოიკლოს, მაგრამ ნახშირწყლები ეძლევა იმაზე ნაკლები, რასაც ღებულობდა ინსულინით წამლობის დროს.

შემდეგ დრო-გამოშვებით, პერიოდულად, და, გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფს კვლავ გლიკოზურია გაუჩნდება, საჭიროა ინსულინით მკურნალობის განმეორება.

ავტორთა მთელი რიგი და მათ შორის თვით Banting-ი, Campbell-ი, Umber-ი, Staub-ი და სხვები იმ აზრისა არიან, რომ ავადმყოფმა კლინიკაში წამლობის კურსის გატარების შემდეგ, როდესაც შესწავლილია მისი ორგანიზმის გაცვლა-გამოცვლა, შემუშავებულია დიეტა და გამორკვეულია ინსულინის დოზა, სახლში განავრდოს ინსულინით წამლობა, მაგრამ პატარა დოზებით (დაახლოებით 10 ერთეული დღეში ორჯერ).

განსაკუთრებით შესამჩნევ შედეგებს იძლევა ინსულინით მკურნალობა დიაბეტის მიერ გამოწვეული კომის დროს. ინსულინის ინტრაენოზური შეშაბუნება საკმაო დიდი დოზებით (40—100 ერთეული დღეში რამდენიმეჯერ) ერთბაშად

აუმჯობესებს ავადმყოფის მდგომარეობას და სიკვდილისაგან იხსნის მას. ჰიპო-
გლიკემიური რეაქციის საცდენად საჭიროა ავადმყოფს დაენიშნოს გლიკოზი,
შემთხვევის შიხედვით, ან შიგნით, ან ინტრავენოზურად ($20,0-30,0$).

ინსულინით წამლობის წინააღმდეგ ჩენება არ არსებობს. დიაბეტის მსუ-
ბუქი ფორმების დროსაც, როდესაც ამ ქამად ინსულინს არ ხმარობენ, თავისუფ-
ლად შეიძლებოდა ინსულინით წამლობა, რომ იგი ეს ძვირი არ იყოს, ვინაი-
დან ინსულინის ხმარება მოამჯობინებდა საერთოდ ავადმყოფს და, გარდა ამისა,
დაასცენებდა მის ინსულარულს პარატს, რაც თავის თავად ძლიერ სასარგებ-
ლოა და ხელს უწყობს Langerhans-ის კუნძულების ფუნქციის აღდგენას.

უნდა ვუფროთხილდეთ მხოლოდ ე. წ. ჰიპოგლიკემიურ რეაქციას, რომელიც
ადამიანის მოსდის მაშინ, თუ სისხლში შაქრის რაოდენობა 0.07% -დე დაქვეით-
და, თუმცა აქაც ყოველი ორგანიზმი რეაქციას იძლევა ინდივიდუალურად, ზო-
გი უფრო ადრე, ზოთვი უფრო გვიან. საერთოდ კი მიღებულია, რომ ჰიპოგლი-
კემიის მსუბუქი მოვლენები—თავბრუსხევა, შფოთვა და შიშის გრძნობა, საერ-
თო სისუსტე, ძლიერი შიმშილის გრძნობა და წყურევილი ავადმყოფს ეწყობა.
თუ მის სისხლში შაქარი 0.07% -მდე დაქვეითდა. თუ შაქრის რაოდენობა სისხლ-
ში 0.05% -მდე ჩამოვიდა, მაშინ ავადმყოფს უკვე ძლიერი მოვლენები აქვს ჰიპო-
გლიკემიური რეაქციისა—პულსის გახშირება, ძლიერი ოფლი, სისხლის წნევის
დაქვეითება, გულის რევა, დიპლოპია და აფაზია. თუ შაქრის რაოდენობა სისხლ-
ში 0.032% -მდე დაქვეითდა—მაშინ ავადმყოფს უკვე კომა მოსდის.

ჰიპოგლიკემიური რეაქციის მსუბუქი მოვლენების დროს სრულიად საკმა-
რისია ავადმყოფს $20,0$ გლიკოზი მივსცეთ შიგნით, რომ ყველა მოვლენები გაპქ-
რეს. ნაცვლად გლიკოზისა, შეიძლება ავადმყოფს მურაბა მივსცეთ ან ჩვეულებ-
რივი შაქარი, მხოლოდ უფრო მეტი.

ჰიპოგლიკემიის ძლიერი მოვლენების დროს საჭიროა უკვე გლიკოზის ინ-
ტრავენოზური შეშხაბუნება ($200-300$ კუბ. სან. 10% , ხსნარისა) და ავადმყოფი
სწრაფად მომჯობინდება ხოლმე. გლიკოზის მოქმედების გასაძლიერებლად შეიძ-
ლება ავადმყოფს კანქვეშ აღრენლინი შეცვაბუნოთ, რომელიც, როგორც ვი-
ცით, ინსულინის ანტაგონისტია ($1/2-1$ კუბ. სანტ. $1:1,000$ ხსნარისა).

მეორე გართულება, რომელიც ხანდახან თანა სდევს ხოლმე ინსულინით
მყურნალობას, ეს შეშუპებებია, რომელიც ძლიერა პგავს თირკმლების შეშუპებას
ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი წამლობა (აქლორიდული დიეტა, რძე, დიურეტი-
ნი) მაღლე სპონს ამ შეშუპებებს. თუ რით არის ეს შეშუპებები გამოწვეული ჯერ
გამორკვეული არ არის. Widal-ის აზრით, ინსულინი მოქმედებს წყლის გაცვლა-
გამოცვლაზე, Umber-ი ფიქრობს, რომ ინსულინით წამლობის ზეგავლენით
პოლურიის მოსპონსი გამო წყალი რჩება ორგანიზმში და ეს იწვევს შეშუპებას.

დასასრულ, იბადება საკითხი, რა მოგვცა ინსულინის აღმოჩენამ და რას
უნდა მოველოდეთ მისგან მომავალში? რადგან ინსულინი არსებითად მხოლოდ
 2 წელია, რაც შემოლებულია, რა თქმა უნდა, საბოლოო დასკვნების გამოტანა ჯერ
ნაადრევი იქნებოდა. მართალია, უკვე გამოქვეყნებულია სხვადასხვა ქვეყანაში
დაკვირვებები ინსულინით წამლობის შესახებ რამოდენიმე ათასს ავადმყოფზე,
მაგრამ ამ წამლობის მოგვიანებითი შედეგების შესახებ ჯერ ვერას ვიტყვით.

ამისათვის საჭიროა კიდევ რამოდენიმე წელმა გაიაროს. ერთი კი ცხადია, არ გამართლდა ბევრის აზრი, რომ ინსულინის აღმოჩენის შემდეგ დიაბეტიანები უკვე მორჩილიერია არიან, არ გამართლდა არც თვით დიაბეტიანების სიხარული, რომ მათ ეხლა უკვე შეუძლიათ თავისი დიეტა დაარღვიონ. უველა ძეველი დებულება დიაბეტის მკურნალობის დროს კვლავ ძალაშია.

მიუხედავად ამისა, ინსულინის შემოღებას მაინც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ჰერინას დიაბეტიანის კომას, იგი სპობს აცეტონურიას, ამცირებს და სრულიად სპობს გლიკოზურიას, ამცირებს ჰიპერგლიკემიას ზოგჯერ ნორმა-მდე. ამავე დროს ავადმყოფს კარგი თვითგრძნობა აქვს, წყურვილი და შიმშილობის გრძნობა მას ეკარგება, ზარდის რაოდენობა ნორმამდე ჩამოდის, ავადმყოფს ემატება წონა და შრომის უნარიც ალუდგება ხოლმე. მაგრამ ყველა ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩვენ ინსულინს ვხმარობთ. შემდეგ შეიძლება ფრთხილად ისე-თი დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ინსულინით მკურნალობა ასვენებს პანკრეასის ინსულარულ აპარატს და ამით აძლიერებს დიაბეტიანის ნახშირწყლებისადმი გამძლეობას. მოკლედ რომ ვსთქვათ, ინსულინი ფიზიოლოგიური წამალია და ორა ეტიოლოგიური (Marcel Labb ), იგი აგრძელებს დიაბეტიანი ავადმყოფის სიცოცხლეს, მაგრამ საბოლოოდ ავადმყოფს ვერ ჰერინას, Joslin-ის თქმით, დიაბეტი მოთვინიერებულია, მაგრამ ჯერ კიდევ დამარცხებული არ არის (le diab te quoique dompt , n'est pas encore conquis).

მიუხედავად ამისა, ინსულინის აღმოჩენა დიაბეტის მკურნალობაში დიდი ფაქტია და სავსებით მართალია სტოქტოლმის აკადემია, რომელმაც ინსულინის აღმოჩენისათვის მანამდის სრულიად უცნობს ახალგაზდა კანადელ მეცნიერს Banting-ს ნობელის საერთაშორისო პრემია მიუსაჯა.

0. პ ა რ მ ა.

კლინიკის ორდინატორი.

დიაბეტის ინსულინით მკურნალობისათვის*).

(ტფილისის უნივერ. ფაკულტეტის თერაპიული კლინიკიდან.

გამგე—პროფ. ალ. ალაძაშვილი).

... but diabetes, though subdued,
is not yet conquered.

Joslin.

დიაბეტი, როგორც სწეულება, უკვე დიდი ხანია რაც ცნობილია, მაგრამ მისი პათოგენეზი მხოლოდ ბოლო ხანებში გამოირკვა. აზრი, რომ, დიაბეტის ზოგიერთი ფორმების დროს, პანკრეასის დაზიანებას უნდა ქონდეს ადგილი, პირველად Cowilly-მ გამოსთქვა თავისი პათოლოგ-ანატომიური მასალის მიხედვით. ცნობილმა ფრანგ კლინიცისტმა Lancereaux-მ გამოჰყო დიაბეტის „პანკრეატიული“ ფორმა კლინიცური მასალის მიხედვით. ექსპერიმენტალურად პანკრეატიულ დიაბეტზე ბევრი იმუშავა სხვადასხვა, ავტორმა და მათ შორის Mering-მა, Minkowski-მ, Hédon-მა და Carlson-მა. მე არ შევჩერდები ამ ექსპერიმენტების აღწერაზე. ვიტყვი მხოლოდ, რომ მათ სავსებით გაამართლეს კლინიკური და პათოლოგ-ანატომიური მასალის მიხედვით გამოთქმული აზრი და, მეორეს მხრივ, გვიჩვენეს, რომ პანკრეასი იმუშავებს ოალაც ნივთიერებას, რომელიც სისხლში გადადის და მოქმედობს ორგანიზმში შაქრის რეგულიაციაზე. საკითხი თუ პანკრეასის რომელი ჰისტოლოგიური ნაწილი იმუშავებს ამ ნივთიერებას დიდხანს რჩებოდა გამოურკვეველი. Сინილება, Schultze-მ და Laguess-მა გვიჩვენეს, რომ საექსკრუციო ნაწილს არა აქვს მნიშვნელობა, რაღაც ჯირკვლის მხოლოდ სალინარის გადასკვნით მათ დიაბეტის განვითარება ვერ მიიღეს. შემდეგში, როდესაც Langerhans-მა აღმოაჩინა პანკრეასში ის სპეციალური ელემენტები, რომელთაც შემდეგში მისი სახელობის კუნძულები ეწოდა და რომელთა შინაგანი სეკრეტორული ფუნქცია Laguesse-ის ჰისტოლოგიურმა და ემბრიონალურმა გამოკვლევებმა დაგვამტკაცეს, იყო შეტანილი იჭვი ამ ელემენტების მნიშვნელობის შესახებ. და მართლაც დიაბეტიანთა პანკრეასში, ავტორთა მთელმა რიგმა, მაგალ. Сინილება, Stangle-მა, Diamare-მა და შეტადრე Heiberg-მა და Weichselbaum-მა, ნახეს სწორეთ ამ კუნძულების ჰიალინური, ჰიდროპიულური გადაგვარება, ატროფია, სკლეროზი და სხვა. მას შემდევ ცხადი იყო, რომ ყველა ეს პროცესი იჭვევება რა Langerhans-ის კუნძულების დაზიანებას, ასუსტებენ ან სრულიად სპონქნ მათ შინაგან სეკრეტორულ ფუნქციას და აღარიბებენ ორგანიზმს იმ ნივთიერებით, რომელიც ნახშირ-წყალთა გაცვლა-გამოცვლას განაებს.

*) მოხსენებულია სრულიად საქართველოს ექიმთა მე-III კონგრესშე 1825 წ. 27/V.

სწორეთ ამის შემდეგ მკვლევართ დაებადათ აზრი არსებული ნაკლის ხელოვნურად შევსების შესახებ. ცხოველების პანკრეასის per os ხმარებამ არ მოიტანა სასურველი შედეგები და ამიტომ მკვლევართა მთელმა რიგმა, როგორც მაგალითად Kleiner-მა, Scott-მა, Forschbach-მა, Paulesco-მ და სხვებმა, შეეცადენ ეჭამლით დიაბეტი პანკრეასიდან მიღებული ექსტრაქტებით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ექსტრაქტები ან სულ არ მოქმედობდა ან იძლეოდა მცირე და ხანმოკლე ეფექტს. გარდა ამისა ეს ექსტრაქტები იჩენდა ისეთ შძლავრ შხამიანობას, რომ მათი ხმარება შეუძლებელი იყო.

ასე იდგა საკითხი 1920 წლამდე, როდესაც მით დაინტერესდნენ და დაიწყეს მუშაობა Banting-მა და Best-მა, პროფ. Macleod-ის ინსტიტუტში Toronto-ში. მათ შეეცადნენ უპირველეს ყოვლისა გაენთავისუფლებინათ ექსტრაქტი ტრიიპსინისაგან და ცილისაგან. ეს იყო აუცილებლივ საჭირო, რადგანაც ტრიიპსინი, ერთის მხრივ შლის პანკრეასის შინაგან სეკრეტს და მით აბათილებს მის ანტიდიაბეტიურ მოქმედებას, როგორც ეს უკვე 1910 წ. Croftan-მა გვიჩვენა, მეორეს მხრივ კი, იწვევს მოშაამდეს. ამ მიზნით Banting-მა და Best-მა ისეთ პანკრეასიდან მიღებს ექსტრაქტი, რომლის საღინარი იყო გადასკვნილი. ასეთ პირობებში ამ ჯირკვლის ექსპრეტორული ნაწილი განიცდის ატროფიას და აღარ იმუშავებს ტრიიპსინს, მაშინ როდესაც Langerhans-ის კუნძულები არ ზიანდებიან და განაგრძობენ ფუნქციის შესრულებას. როდესაც შემდეგ Banting-მა და Best-მა ასეთი ექსტრაქტის ფილტრატი პანკრეასმოკვეთილ ძაღლს შეუშავნეს, მათ ნახეს სითხეში შაქრის რაოდენობის ისეთი დაქვეითება, რომელსაც წინანდელი ექსტრაქტები არ იძლეოდა. ამგვარად Banting-ი და Best-ი დარწმუნდა, რომ მათ მიერ ამორჩეული გზა სწორია. მაგრამ იგი დიდ დროს მოითხოვდა და ამიტომ შემდეგში მათ ბევრი ცდის შემდეგ ისეთი წესი შეიმუშავეს, რომ ღებულობდნენ მომქმედ ექსტრაქტს არა მარტო საღინარგადასკვნილ, არამედ ჩვეულებრივ ჯირკვლიდანაც. ამ უამაღ პანკრეასის შინაგანი სეკრეტი მიღლება რქოვან ცხოველების ჯირკვლიდან აღკოვნილის საშუალებით. აღმოჩნდა, რომ განსაზღვრული კონცენტრაციის აღკოვნილი სინის პანკრეასის ჰორმონს და ამავე დროს ლექავს ცილას და ფერმენტებს, მეორეს მხრივ კინელს უშლის აქტიური ტრიიპსინის წარმოშობას მის ზიმოგვენიდან.

ამგვარად მიღებულ ნივთიერებას, მისი წარმოშობის ადგილის მიხედვით, Schaffer-ის წინადადებით, 1921 წელს „In situ lin“-ი ეწოდა.

ინსულინის სტრუქტურა ჯერ კიდევ არ არის გამორჩეული. იგი იძლევა ზოგიერთ რეაქციებს ცილებზე და დალექვისას იმავე ფრაქციაში მოყვება, სადაც ალბუმიზები. ამიტომ შეიძლება დაუშვათ, რომ იგი ცილის რომელიმე როზულ დერივატს წარმოადგენს. მაგრამ თუ პრეპარატს კარგად დაესწენდოთ, მაშინ იგი უკვე აღარ იძლევა რეაქციებს ცილებზე, რაც გვიმტკიცებს, რომ ინსულინი მხოლოდ ფიზიკურად, აბსორბციის სახითაა, შეკვეშირებული ცილასთან.

Banting-ის, Best-ის და Collip ის წესით მიღებული ინსულინი წარმოადგენს თეთრ ჰიგროსკოპიულ ფხვნილს, რომელიც აღვილად ისნება წყალში და 80% აღკოვნილში. ტრიიპსინი, პეპსინი და აღულება ვ. განმავლობაში შლის მას გათბოზა 30' განმავლობაში 60%-დე არ მოქმედობს მასზე.



ინსულინის სტრუქტურის გამოურკვევლობაშ ხელი არ შეუშალა მისი ფიზიოლოგიური გაცლენის შესწავლას. პირველი ცდები თვით Banting-მა და Best-მა პანკრეასამოკვეთილ ძალლებზე მოახდინეს. ასეთი ძალლები ჩვეულებრივ ავად ხდებიან მძიმე დიაბეტით და მაღვე იხოცებიან. ინსულინის შეყვანა კი იწვევდა ამ შემთხვევებში ჰიპერგლიკემიის და გლიკოზურის ძლიერ შემცირებას და სიცოცხლის გაგრძელებას.

შაქრის რაოდენობა სისხლში ინსულინის შეყვანისთანავე იწყობს თანდათა. ნობით დაედგას, აღწევს ერთგვარ მინიმუმს, ხოლო შემდეგ კი ისევ მატულობს და აღწევს პირვანდელ დონეს. ინსულინის მაქსიმალური მოქმედების დრო და-მოკიდებულია შეყვანის გზაზე და მის დოზაზე. დიდი დოზის ვენაში შეყვანისას მოქმედების მაქსიმუმი $\frac{1}{2}$ საათის შემდეგ მოდის, ხოლო საშუალო დოზის კან-ქვეშ შეყვანისას კი—მე-4·ხე, მე-6-სე საათზე.

შემდეგში მრავალ ავტორთა ცდებმა დაადასტურეს ინსულინის გავლენა ჰიპერგლიკემიაზე და გლიკოზურიაზე და გარდა ამისა გამოარკვიეს მოქმედების სხვა მხარეებიც.

M. Labbé-ს და კუდრავცევა-ს გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ დიაბეტიან ძალზე ინსულინი ამყარებს აზოტის წონასწორობას და ცილის დახარჯვას მინიმუმით განსაზღვრავს. იგივე M. Labbé გვიჩვენებს, რომ ჯანსაღ ძალლთა შორის ინსულინი იწვევს, პირიქით, ცილის ზედმეტ დაშლას და აზოტის წონასწორობის დარღვევას.

Fonseca-მა, Marrian-მა, Banting-მა, Best-მა, Collip-მა და Macleod-მა და-გვიმტკიცეს, რომ ინსულინი გავლენით ცხიმების რაოდენობა კლებულობს არა მარტო დიაბეტიან ძალლთა, არამედ ავრეთვე საღ ძალლთა სისხლშიც.

ყველა ავტორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ინსულინი იწვევს სუნთქვის კოეფიციენტის მომატებას, მაგრამ მიზეზს ამ მოვლენისა სხვადსხვაგვარად განმარტავენ. Banting-მა, Best-მა, Macleod-მა, Collip-მა და სხვებმა ნახეს, რომ პანკრეასამოკვეთილ ძალლებს ეს კოეფიციენტი აქვთ დაბალი, რადგანაც მათ ორგანიზმი ნახშირწყლები არ იწვის. ნახშირწყლების მიცემა არ იწვევს ასეთ ძალლთა შორის სუნთქვის კოეფიციენტის მომატებას, რაც ეს ჩვეულებრივია სალთა შორის. მაგრამ ინსულინის შეყვანა ნახშირწყლების მიცემასთან ერთად იწვეს სუნთქვის კოეფიციენტის მომატებას. აქედან აღნიშნულმა ავტორებმა დაასკვნე', რომ ინსულინის გავლენით ორგანიზმი ხდება ნახშირწყლების დაწვა, რაც სუნთქვის კოეფიციენტის მომატებას იწვევს. ამ დასკვნის წინააღმდეგ გაიღაუქრეს სხვა ავტორებმა. მაგალითად, Kelaway-მ და Hughes-მა ნახეს, რომ თუმცა ინსულინის გავლენით სუნთქვის კოეფიციენტი მატულობს, მაგრამ, მაშინ როდესაც CO_2 გამოიყოფა უფრო მეტი რაოდენობით, შესუნთქული O_2 , რაოდენობა ან არ მატულობს ან მატულობს ძალიან ცოტას. Straub-მაც, აღნიშნა რა საერთოდ სუნთქვის კოეფიციენტის და ავრეთვე ამოსუნთქული CO_2 -ის მომატება, ნახა, რომ შესუნთქული O_2 -ს რაოდენობა, პირიქით, კლებულობს. ამის გამო აღნიშნული ავტორები იმ აზრს ადგიან, რომ, თუმცა სუნთქვის კოეფიციენტი საერთოდ მატულობს, მაგრამ ეს მომატება არ არის დამკიდებული ორგანიზმი შაქრის დაწვაზე, მით უმეტეს, რომ ამ დროს არც ტერმოპროდუქცია მატუ-

ლობს. Biedl ი ფიქრობს, რომ ინსულინი იწვევს CO_2 -ის ამორეცხვას ქსოვილებიდან, რასაც სუნთქვის კოეფიციენტის მომატება მოყვება.

გლიკოგენის რაოდენობა პანკრეასამოკეთილ ძალთა ღვიძლში, როგორც ამას Macleod-ი, Marrian-ი, Straub-ი და სხვები აღნიშნავენ, ძალიან მატულობს.

აცეტონემია და აცეტონურია კლებულობს და ქრება და ხშირედ, როგორც ამას Widal-ი, Abrami-ი, Weill-ი, Laudat, M. Labbé აღნიშნავენ, უფრო ადრე ვიდრე ჰიპერგლიკემია და გლიკოზურია.

ამ უმაღ ავტორები, და მეტადრე ფრანგი ავტორები, იმ აზრს ადგიან, რომ დიაბეტის დროს აცეტონშენაერთთა მეტაბოლიზმი, ისევე როგორც ცილის და ცხიმის მეტაბოლიზმის დარღვევა, ნახშირწყალთა გაცვლა-გამოცვლის დარღვევაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ პანკრეასის შინაგანი სეკრეციის შესუსტება ან სრული მოსპობა იწვევს ერთდაიმავე დროს ცველა აღნიშნულ ნიუ-თიერებათა გაცვლა-გამოცვლის დარღვევას. მეტადრე ეს შექება აცეტონშენაერთთა და M. Labbé, Widal-ი და მათი მოწაფეები ჰირდაპირ სთვლიან რომ ინსულინი მეორედად ე. ი. ნახშირწყალთა გაცვლა-გამოცვლის გაუმჯობესობის გამო კი არ იწვევს აციდოზის დაკლებას და მოსპობას, არამედ იგი პირდაპირ, პირველად, მოქმედობს აღნიშნულ სხეულთა მეტაბოლიზმზე. M. Labbé-ს მოჰყავს შემთხვევა, როდესაც ინსულინის გაცვლით აცეტონურია სრულიად გაქრა, მაშინ როდესაც გლუკოზურიამ მხოლოდ დაიკლო. ანალოგიური შემთხვევები მოჰყავს Widal-ს, Abrami-ს, Weill-ს და Laudat-ს. მათ არაიშვიათად უნახავთ, რომ ინსულინიზაცია იწვევდა აცეტონურიის უფრო სწრაფ და ძლიერ დაწევას, ვიდრე გლიკოზურიისა, და ინსულინიზაციის შეწყვეტის შემდეგ კი აცეტონურია უფრო აჯრე ჩნდებოდა და სწრაფადაც მატულობდა, ვიდრე გლიკოზურია.

Harrop და Benedict-ი აღნიშნავენ, რომ ინსულინის გაცვლით არაორგანული ფოსფორის რაოდენობა შარდში და სისხლში კლებულობს Straub-იც აღნიშნავს ფოსფორის დაკლებას სისხლში.

ასეთია ინსულინის მოქმედების მთავარი მხარეები. როგორც ვხედავთ მას ბევრი რამ აქვს დადებითი დიაბეტის წამლობის თვალსაზრისით. მაგრამ შემდეგ გამოიჩინა, რომ იგი არ არის თავისუფალი ნაკლიდან. ამ ნაკლს ე. წ. „ჰიპოკლიკემიური რეაქცია“ წარმოადგენს, რომელიც პირველად Banting-მა, Best-მა, Collip-მა და Macleod-მა აღმოჩენის შემდეგ გამოიხატება, რომ ცხოველი ამ დროს ჰერნიობს შიმშილს და წყუქვილს, ზანტად მოძრაობს, ხდება მშიშარი და, თუ სათანადო ზომები არ მივიღეთ, მას ემართება კრუნჩხვა, კომა და იგი კვდება სუნთქვის ცენტრის სიდაბლის გამო. გლიკოზის ან აღრენალინის შეშხაპუნება სპობს ამ მოვლენებს. აღნიშნული მოვლენა თავს იჩენს მაშინ, როდესაც შაქრის რაოდენობა სისხლში ერთგვარ მინიმუმამდე, რომელიც დაახლოვებით 0,045% ს უდრის, ჩამოდის. აღსანიშნავია, რომ არა იშვიათად ავტორებს (Fletcher, Campbell, Hellion, Ledebt) უნახავთ ჰიპოგლიკემიური რეაქცია მაშინაც კი, როდესაც შაქრის რაოდენობა სისხლში იყო ორჯერ მეტი, ვიდრე ზევით-აღნიშნული ციფრი. ამიტომ მათი აზრით სისხლის გაღარიბებას შაქრით არა აქვს მთავარი პათოგენეტიური მნიშვნელობა ამ რეაქციისათვის.



ეხლა თავისითავად სდგება საკითხი ინსულინის მოქმედების შექანიზმის ბესახებ. რათ კლებულობს შაქარი სისხლში? რა ემართება მას? სად მიდის იგი? საუბედუროთ ეს საინტერესო საკითხია არ არას საბოლოოთ გამორკვეული და ამის შესახებ ბევრი სხვადასხვა აზრია გამოთქმულა.

პირველი ავტორები (Macleod), რომელნიც ინსულინზე მუშაობდნენ, ფიქრობდნენ, რომ მისი გავლენით დიაბეტიანის ქსოვილებს უბრუნდებათ შაქრის დაწვის უნარი და ინსულინი დიაბეტიანის ქსოვილებისათვის წარმოადგენს ერთგვარ გამაღიზიანებელს ამ მხრივ. თავის აზრს აღნიშნული ავტორები სუნთქვის კოეფიციენტის მომატებაზე ამყარებდნენ. მაგრამ ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ სუნთქვის კოეფიციენტის მომატების დამოკიდებულება შაქრის დაწვა ორგანიზმში, ჯერ კიდევ არ არის საბოლოოთ დამტკიცებული.

Winter-ი და Smith-ი შემდეგ აზრს ადგიან: ისინი ფიქრობენ, რომ ორგანიზმი გლიკოზა გვხვდება სამი სახით: α—, β—, და γ—გლიკოზა. მათი აზრით, დაწვის უნარი მხოლოდ γ—გლიკოზას აქვს; დიაბეტიანს კი სწორეთ გლიკოზის ეს სახე არ მოეპოვება. ინსულინის მოქმედების მექანიზმს ეს ავტორები სწორეთ იმაში ხედავენ, რომ ვითომდაც იგი α—და β—გლიკოზის γ—გლიკოზაში გადასვლას იწვევდეს. ამ თეორიის შესახებ იგივე უნდა ითქვას, რაც პირველი თეორიის შესახებ ვსთქვით.

საღ ძალს რომ ინსულინი შეუშხაპუნოთ, დავინახავთ რომ მის ღვიძლში გლიკოგენის რაოდენობა კლებულობს. პირიქით, დიაბეტიანთა და პანკრეას-ამოკვეთილ ძალთა ღვიძლში კი ჩვენ გლიკოგენის მომატებას ვნახულობთ. უკანასკნელი ფაქტი იყო დადასტურებული მრავალ მკვლევართა მიერ. აქედან ზოგმა ავტორმა დაასკვნა, რომ ინსულინი დიაბეტიანის ორგანიზმში იწვევს გლიკოზის გადასვლას გლიკოგენში, რის გამოც შაქრის რაოდენობა სისხლში კლებულობს. მაგრამ პირდაპირმა ცდებმა, ღვიძლში ერთდროულად შაქრის და ინსულინის გატარებით, ვერ აღმოჩინა ამ პირობებში გლიკოგენის მომატება.

ზოგნი (Umber) ფიქრობენ, რომ დიაბეტიანის ორგანიზმი ინსულინის გავლენით ადგილი აქვს, როგორც შაქრის დაწვას, ისე მის გლიკოგენში გადასვლას.

არსებობს ასეთი აზრიც, რომ დიაბეტის დროს შაქრის ნაწილი წარმოიშვის ცილებიდან და ცხიმებიდან. ინსულინი ხელს უშლის სწორეთ ამ პროცესს და შესაძლებელია აგრეთვე რომ იგი, პირიქით, იწვევდეს ნახშირწყლების გადასვლას ცილაში და ცხიმში.

Brugsch-ი, თავისი და Meyerhof-ის ცდების მიხედვით, ასე განმარტავს ინსულინის მოქმედებას ჰიპერგლიკემიაზე. მისი აზრით, ნახშირწყლების გაცვლა გამოცვლა ღვიძლში და კუნთებში ორ ფაზად მიმდინარეობს. პირველ, ანაერობულ ფაზაში გლიკოგენი იშლება გლიკოზე და რძის მევაზე, ხოლო მეორე, აერობულ ფაზაში კი გლიკოზა მეავბადის საშუალებით წყალზე და ნახშირწყლეანგზე იშლება, რძის მევა კი, სინთეზის საშუალებით, ისევ გლიკოზაში გადადის. როგორც საშუალო პროდუქტი ორივე ფაზის დროს ჩნდება გლიკოზის დიფოსფატი. დიაბეტიანთა შორის შეფერხებულია გლიკოგენის წარმოშობა. მათ ორგანიზმი გლიკოზის დიფოსფატი მეორე ფაზაში ისევ იშლება გლიკოზე და ფოსფორის მევაზე და ამგვარად გლიკოზის წარმოშობა უფრო მეტია, ვიდრე მისი დაშლა.



ინსულინი კი, Brugsch-ის აზრით, ეხმარება ორგანიზმს და გლიკოზა გლიკოგენ-ში გადაჰყავს, რის გამც პირველის რაოდენობა სისხლში კლებულობს.

ინსულინის ცხოველებზე საქმაოდ გამოცდის და მისი გავლენის გათვალისწინების შემდეგ, მკვლევარი ცხოველებიდან აღამიანზე გადავიდნენ. აქ მათ უპირველეს ყოვლის ინსულინის სტანდარტი იზად დასჭირდათ. ბევრი ცდების შემდეგ Toronto-ს მკვლევარებმა ინსულინის ერთეულად მისი ის რაოდენობა მიიღეს, რომელიც ჯანსაღ შინაურ კურდღლს, 2- $\frac{1}{2}$, კილო წონის და 24 საათის განვითარებაში უჭმელს, უქვეითებდა შაქრის რაოდენობას სისხლში 0,045%-დე 4 საათის განვითარებაში. რადგანაც კლინიკისათვის ეს დოზა დიდი აღმოჩნდა, ამიტომ იგი ჯერ $\frac{1}{3}$ -დე იყო ჩამოყვანილი, ხოლო 1924 წელს კი 40%-ით გადიდებული.

აღამიანზე ინსულინი პირველად Banting-მა და Best-მა იხმარეს დიაბეტის 7 შემთხვევაში. აქაც მათ მიიღეს ისეთივე კარგი შედეგები, როგორც ცხოველებზე გამოცდის დროს. მას შემდეგ სხვა ავტორებმაც გამოსცადეს იგი ისეთივე კარგი შედეგით. ნელ-ნელა ინსულინის ხმარება გავრცელდა და ამ უამად იგი უკვე ფართოდ იხმარება დიაბეტის დროს. თანდათანობით დაგროვდა მასალა, გამოირკვა ინსულინის ჩვენება და წინააღმდეგ ჩვენება, გამოირკვა მისი გართულებები და შემუშავდა წამლობის ტეხნიკა.

ინსულინი იხმარება როგორც შეუბუქი, ისე მძიმე დიაბეტის დროს. მეტად კარგ შედეგებს იძლევა იგი მაშინ, როდესაც ავადმყოფს უგლიკოზურიოთ ვერ აუტანია საჭირო დიეტა. აქ ინსულინი მაღლ სპობს ჰიპერგლიკემიას და აცილობს და ბევრად აუმჯობესებს ავადმყოფის კვებას.

განსაკუთრებით ნაჩვენებია ინსულინი აცილობის და დიაბეტური კომის დროს. მრავალი შემთხვევები გვიჩვენებენ, რომ ინსულინის დიდი დოზების გავლენით სასიკვდილოთ გადადებული ავადმყოფი ხშირად რჩება. მაგრამ ეს ხდება არა ყოველთვის. თუ კომა უკვე დიდიხინია რაც დაემართა ავადმყოფს, მაშინ ინსულინი საუბრებულოთ არაიშვიათად უკვე აღარ შველის და ავადმყოფი იღუპება. M. Labbé ფიქრობს, რომ ინსულინი შველის კომის დროს მაშინ, როდესაც ავადმყოფს დიაბეტის ის ფორმა აქვს, რომელსაც მან „le diabète sans denutrition azetée“ უწოდა. პირიქით, თუ კომა დაემართა ავადმყოფს, რომელსაც „le diabète avec denutrition azotée“ აქვს, მაშინ ინსულინი არაიშვიათად უმოქმედო რჩება.

ინსულინი იხმარება აგრეთვე მაშინ, როდესაც დიაბეტინი ხდება ავადრაიმე შემთხვევითი ავადმყოფობით ან როდესაც მას ოპერაცია მოელის. პირველ შემთხვევაში ინსულინი ხელს უშლის დიაბეტური პროცესის გაუარესებას და გამოკეთების ხანაში ავადმყოფს გაძლიერებული კვების ნებას აძლევს, ხოლო, მეორე შემთხვევაში კი გვიხსნის კომისაგან ნარკოზის დროს და ჭრილობის შეხორცებასაც აუმჯობესებს.

მეტად მნიშვნელოვანია ინსულინი დიაბეტის გართულებების დროს და აგრეთვე მაშინ, როდესაც დიაბეტიანს ტუბერკულოზი ემართება და მას გაძლიერებული კვება ესაჭიროება.

ინსულინის წინააღმდეგ ჩვენება არ არსებობს.

გართულებაში აღმოჩნდა არა არსებობა. ადამიანს იგი შემდეგში გამოეხატება.



პირველ პერიოდში ავადმყოფი ხდება ნერვიანი, მას ემწევა ძლიერი ნასუსტე, თავბრუსხვევა, ოფლის დენა, კანკალი, პულსის და სუნთქვის გახშირება და მოსდის ძლიერი შიმშილი.

მეორე პერიოდი კი გამოიხატება ატაქსით, აფაზით, გუგების გაფართოვებით და კრუნჩხვით.

ამ რეაქციის პირველი ნიშნები ადამიანს ჩვეულებრივ მაშინ მოსდის, როდესაც შაქრის რაოდენობა სისხლში $0,07\%_0$ -ზე ქვევით ჩამოდის. პირველ პერიოდში საჭიროა მაშინვე მივცეთ ავადმყოფს ნახშირწყალი (პური, შაქარი, მურაბა და სხვა), ხოლო მეორე პერიოდი კი გლიკოზის ინტრავენოზულად შეყვანას მოითხოვს. უკეთებენ ჩვეულებრივ $30,0$ გლიკოზას $5-10\%$ ხსნარის სახით.

წამლობის ტეხნიკაზე რომ გადავიდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ პირველი ადგილი დიეტას უკავია. დიეტას წინეთაც ჰქონდა პირველხარისხონი მნიშვნელობა დაიბეტის თერაპიაში და ინსულინმა ვერ მოსპო იგი. ეხლაც რაციონალურ დიეტას ისეთივე ადგილი უკავია როგორიც მას ჰქონდა ინსულინის შემოღებამდე და წინანდელი დიეტეტიური პრინციპები ავადმყოფის სასტრიკი ინდივიდუალიზაციით უნდა დაცული იყოს ინსულინიზაციის დროსაც. საერთოდ დაიბეტიანის დიეტა შემდეგ პრინციპებზე უნდა იყოს აგებული:

1) იგი უნდა იძლეოდეს კალორიათა საჭირო რიცხვს. ამ მიზნით ავადმყოფს აძლევენ ჩვეულებრივ $25-30$ კალორიას თითო კილო წონაზე. რასაკვირველია მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის კალორიებიც, რომელსაც ავადმყოფი შაქრის სახით ყოველდღიურად ჰქარებავს.

2) დიეტა არ უნდა იყოს საშიში აცილობის გაჩენის მხრივ.

3) ცილის რაოდენობა უნდა იყოს შემცირებული, რადგანაც ერთის მხრივ მას შეუძლია ნაწილობრივ გადავიდეს შაქარში და მეორეს მხრივ კი იგი ახდენს გლიკოგენის მობილიზაციას და ამით აძლიერებს ჰიპერგლიკემიას. ამერიკელი ავტორები (Banting, Best, Tretcher) ამ მიზნით აძლევენ არა უმეტეს $0,7$ ცილისა ავადმყოფის წონის თითო კილოზე. გერმანელი ავტორები კი (Umben) საკმარისად სთვლიან $1,0$ ცილის კილო წონაზე და მხოლოდ მძიმე შემთხვევებში დროებით $0,6-დღე$ ჩამოდიან.

4) ნახშირწყლების რაოდენობაც უნდა შემცირდეს და აცილობის თავიდან ასაცილებლად ავადმყოფს იმდენი ნახშირწყალი უნდა მიეცეს, რამდენსაც იგი უგლიკოზურით იტანს. ამისათვის გერმანელი ავტორების აზრით საჭიროა დახსლოვებით $35-60$ გრამი ნახშირწყლისა. ამერიკელი ავტორები კი ნახშირწყალის საჭირო რაოდენობას გამოიანგარიშებენ რთული ფორმულების საშუალებით კალორიების და ცილის მიხედვით.

5) ციმის რაოდენობაც არ უნდა იყოს დიდი, რადგანაც, როგორც ამას ზოგი (M. Labbé Brugsch) ფიქრობენ, მას შეუძლია გადავიდეს შაქარში. გარდა ამისა იგი წარმოადგენს აცეტონშენაერთთა წარმოშობის წყაროს. აქაც ამერიკელ ავტორებს საჭირო ცხიმის რაოდენობა გამოჰყავთ ფორმულების საშუალებით, ხოლო გერმანელი ავტორები კი აძლევენ იმდენ ცხიმს, რამდენიც ეს საჭირო კალორიების რიცხვის შესავსებლად.

როდესაც საჭირო დიეტა შემუშვებულია, მაშინ იშყობენ ინსულინიზაციას. ინსულინი იხმარება კანქვეშ, ჭამის ჭინ $\frac{1}{2}$ საათით. თუ მისი დოზა პა-

ტარაა, მაშინ მას უკეთებენ ერთ ჯერად, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დოხაორად ან სამად იყოფა. პირველი დოზის გამოანგარიშებისას იმით ხელმძღვანელობენ, რომ მისი ერთი ერთეული ახმარებს ორგანიზმს დაახლოვებით 2-4 გრამ შაქარს. ინსულინიზაციას აწარმოვებენ ვიდრე აციდოზი, ჰიპერგლიკემია და გლიკოზურია სრულიად არ გაქრება. შემდეგ ინსულინის დოზა და დიეტა 1—3 კვირის განმავლობაში უცვლელი რჩება. ამის შემდეგ ამერიკელი ავტორები უმატებენ ავაღმყოფს საჭმელში ნახშირშავალს და სათანადოთ ინსულინის დოზის, რათა ავაღმყოფმა წონაში მოიმატოს. როდესაც ეს მიღწეულია, მაშინ დიეტა რჩება უცვლელი, ხოლო ინსულინის დოზა კი თანდათანობით კლუბულობს.

როგორც მოგახსნეთ, საზღვარგარეთ ინსულინის ხმარებამ ფართო ხასიათი მიიღო და ლიტერატურაში ბევრი დაკვირვებებია გამოქვეყნებული. ჩვენში ასეთი დაკვირვებები ჯერ არ არის გამოქვეყნებული. მიმღინარე წლის ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში, ფაქულტეტის თერაპიულ კლინიკაში მე მომეცა საშუალება გამომეცად ინსულინი დიაბეტის სამ შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ მასალა ძალიან მცირება და შემთხვევებიც ჯერ არ არის საბოლოოთ დამთავრებული, საკითხის სიახლემ მაიძულა მე გამეზიარებინა თქვენთვის მიღებული შედეგები.

მომყავს მოკლედ ავაღმყოფთა ისტორიები *):

1. ავაღმყოფი, კ-ლია ელისაბედი, 48 წლისა, რომელიც ამბულატორიულად წამლობდა ავაღმყოფი უწივის საერთო სისუსტეს, გაძლიერებულ წყურვილს და პროგრესიულად წონაში დაკლებას. ავად არის $1\frac{1}{2}$ წელიწადია.

შრომის უნარი აქვს შემცირებული.

ობიექტიურად: კვება—დამაკმაყოფილებული. იწნის 3 ფ. 28 გირვ. შინაგანი ორგანოები თვალსაჩინაო ცვლილებებს არ განიცდიან. შარდი—2.200 კ. ს., ბაცი ყვითელი ფერის, ხვ. წონა—1021 შაქარი 24,0 (2.200+1.1). რეაქცია ალერგიულ სუსტი დადგებითი.

მშიერი დღე სპას შაქარს და აცეტომს. უნარშირწყლო დღეს ჩამოჰყავს შაქარი ნიშნებამდე.

დიაგნოზი: Diabetes mellitus.

14/V დაწყო ინსულინიზაცია. დაენიშნა დიეტა, რომელიც იძლეოდა: ცილას—62.0 ცხიმს—110,0, ნახშირწყლებს—55,0, სულ 1724 კალორიას.

ინსულინის პირველი დოზა უდრიდა 6 ერთეულს (0.3).

შემდეგში ინსულინიზაცია მიმდინარეობდა ასე:

ინსულინის დაზები პროგრესიულად მატულობდნენ 4—6 ერთეულით დღეში. დიეტა—უცვლელი.

წამლობის მე-5 დღეს აცეტონურია გაქრა.

„ მე-8 „ შაქარი შარდში ჩამოვიდა ნიშნებამდე.

„ მე-11 „ „ სრულიად გაქრა.

„ მე-20-ცე დღიუან ავაღმყოფი ლებულობდა იმავე დიეტას და 28 ერთ.

„ 28-ცე დღეს მუქატა 50,0 თეთრი პური და ინსულინის დოზა 8 ერთეულით (სულ 36 ერთეული).

33-ტე დღეს ინსულინიზაცია შესწყდა.

აღნიშნული წამლობის გაცლენით ავაღმყოფს საბოლოოთ დაეტყო შემდეგი:

*) ისტორიები ტეხნიკური პირობების გამო ძლიერ არის შემოკლებული.

1. ተጋበጥ-ግራኝናውን ገልጊዢናውን ማረጋገጫዎች.
 2. ሪሳዊውን ማረጋገጫዎች ማስተካከለሁ ይችላል.
 3. ተጋበጥ-ግራኝናውን ማረጋገጫዎች ማስተካከለሁ ይችላል.
 4. ተጋበጥ-ግራኝናውን ማረጋገጫዎች ማስተካከለሁ ይችላል.
 5. ተጋበጥ-ግራኝናውን ማረጋገጫዎች ማስተካከለሁ ይችላል.

ინსულინიზაციის შეწყვეტის მე-3 დღეს ავადმყოფს გამარჩნდა შავრის ნიშვნები, რომელიც მას ამ უამაღლაც (გასულია 19 დღე) აქვს. აცეტონი არ არის. დებულობს 100,0 ოთხრ პურს, თავს დაგარმაყოფილებლად ჰერქონბადს და აწარმოებებს საშუალ სიმძიმის მუშაობას.

2. ავადმყოფი ზ-ნი მიხეილი. 25 წლისა: უჩივის საერთო სისტემებს, შრომის უნარის. თითქმის სრულ დაკარგვას, შიძმილს და წყურევილს. ავად არის I წლილიწადა.

ობიექტიურად: ავადყოფის კედა დაჭვითებულია. იწნის 3 ფ. 12 გირვ. შინაგანი ორგანოების მხრივ თვალსაჩინო ცვლილებები არ ემჩნევა. ზრდა — 2400 კ. ს. ბაკი ყვითელი ფერის, ხვ. წონა — 1037. შაქარი — 49% ($2.100 \times 2\%$). რეაცია აცეტონზე მკაფიით დადგითო.

მშენები დღე სპობს შაქარს შარდში. უნაზირწყლო დღე მხოლოდ აქვთითებს 25,0-დღე (2,100×1,2%).

დიაგნოზი: Diabetes mellitus.

19/IV. დაეწყო ინსულინიზაცია. პირველი დღისა უდრიდა 10 ერთეულს (0.5) დაეწინა დიგტა, რომელიც იძლეოდა: ნახშირწყლებს -50.0 , ცილას -60.0 , ცხიმს -80.0 სულ 1375 კალორიას.

ინსულინიზაციის შიმდინარეობა იყო ასეთი: დიეტა არ ეცვლებოდა. ინსულინის დოზა კი მატულობდა 4-6 ერთეულით დღეში შავქრის და აცეტონის გაჭრისამდე.

წამლობის მე-8 დღეს აცეტონი შარდიდან გაქრა.

„ მე-11 „ შაქარი ნიშნებამდე ჩამოვიდა.

„ მე-18 „ შაქარი გაქრა.

” မြို-19 ” မိဂ္ဂမာတ် ၃၂.၀ ပွဲရှေ, ၂၅.၀ ကာရာချိ နှင့် ၈ ဤတေသူလီ
 (ပျော် အာဇာမြို့မြို့နယ် လွှာပျော်လုပ်စွာ) ၃၆ ဤတေသူလီ။

31-ტေ დღეს დაწყის ინსულინის დოზის დაკლება ყოველ დღე 2 ერთეულით.
დღიურა რჩებოდა უცვლელი.

„ 50-თვ დღიდან ავადმყოფი ლებულობდა 100,0 შავ პურს და ინსულინის 20 გროველს.

ამ უამად ავალებული განაგრძობს წამლობას ამბეჭდული ტორიულად. ღებულობს ინსულინის 20 ერთეულს და 50,0 ნ. წ. 100,0 ზავი პურის საჩით (55,0 ცოლას, 125,0 ცხიბს და 100,0 კონიაკს). ზაქარია არა აქვს თუ არ დაარღვა დიეტა. თავს შედარებით კარგად ჰგრძნობს. აწარმოებს მსუბუქ მუშაობას.

აღნიშნულმა წამლობამ დღევანდელ დღემდე მოგვცა შემდეგი:

1. ავადმყოფის თვით-გრძნობის გაუმჯობესება.

2. შრომის უნარის მომატება და სისუსტის ბევრად შემცირება

3. წონის მომატება ა გირვანქით.

4. წყურვილის, შიმშილის და პოლიურიის მოსპობა.

၏ შაქრის და აცეტონის მოსპობა შარდში.

3. ავადმყოფი კ-ლი საული, 29 წლისა. უჩივის გაძლიერებულ წყურვილს, მუდმივ განუსაზღვრელ შიძლილს, ძლიერ საერთო სისუსტეს, სიგამზღვეს, და შარლის სიუცვეს. ავად არის $\frac{1}{2}$ წლილიწადია.

ობიექტიურად: ძლიერი სიგამზდრა. წინა 2 ფ. 36 გირვ.; ადინამია; ამოსუნთქულ ჰაერს აქვს აცეტონის სუნი. შინაგანი ორგანოები თვალსაჩინო ცვლილებებს არ განიკვთან. შარდი 5.000 კ. ს.; ბაცი ყვითელი ფერის, ხვედრითი წონა—1042; შაქარი (მშექრი დღის შემდეგ) — 41,0 ($3.700 \times 1,0$) რეაცია აცეტონზე მცირდება დადგით.

მშერ დღს ჩამოჰყავს შაქრის რაოდენობა 120,0 გრ-დან 41,0-დე. დანიშნა დიეტა, რომელიც უდრიდა: ცილას -42,0 ცრიმს -60,0, ნაცშირულებს -55,0, სულ 1335 კალორიას.

დიაგნოზი: Diabetes mellitus.

3/V დაეჭირ ინსულინიზაცია. პირველი დოზა ინსულინისა უდრიდა 7 ერთეულს (0.35).

ინსულინის დაზები პროგრესიულად იზრდებოდება 4—6 ერთეულით. დიეტა—უცვლელი.

წამლობის მე-10 დღეს ამოსუნთქულმა ჰაერმა დაკარგა აცეტონის სუნი.

" მე-16 " წინეთ მკაფიოდ დადგებით რეაქცია აცეტონშე სუსტ დადგებითად გადაიცის.

" მე-18 " შაქრის რაოდენობა შარდში ნიშნებამდე ჩამოვიდა.

ეს შემთხვევა ჯერ არ არის დამთავრებული. წამლობის დასაწყისიდან დღევანდელ დღემდე განვდლა სულ 24 დღემ, მაგრამ უკვე ენდაც ჩევნ შეგვიძლია ესთქვათ, რომ:

1. ავადმყოფის თვით-გრძნობა გაიღოდებით გაუმჯობესდა.

2. მას საგრძნობლად მოემატა ძალ-ღიანე და ბერად შეუმცირდა უკიდურესი სისუსტე.

3. შიმშილი ბერად შემცირდა;

4. წყურვილმა იკლა (2.000). იკლა შარდის რაოდენობამაც (2.000).

5. წანაში მოიმატა 1:1 გირვანქა.

6. შაქარი და აცეტონი ჩამოვიდა ნიშნებამდე.

7. ამოსუნთქულმა ჰაერმა დაკარგა აცეტონის სუნი.

მოკლეთ რომ თავი მოუყაროთ ყველა იმას, რაც ჩევნ შემთხვევებში მივიღეთ, დავინახავთ, რომ ინსულინის გავლენით დიაბეტის მიმდინარეობა უმჯობესდება. ავადმყოფის თვითგრძნობა უმჯობესდება; მათ ემატებათ ძალ-ღიანე და შრომის უნარი, ხოლო სისუსტე კი კლებულობს. წყურვილი, შიმშილი, პოლიურია თანდათან კლებულობს და ქრება. წონა მატულობს. გლიკოზურია და აცეტონურია კლებულობს და ქრება. ყველა ეს ხდება თანდათანობით და ავადმყოფის გაუმჯობესობის სისწრაფეზე გავლენას ახდენს თვით დაავადების სიმძიმე. იქ, სადაც პროცესი იჩენს ერთგვარ შედარებით კეთილთვისებიანობას, ეფექტურ უფრო მაღალ მიღება. მაგალითად გლიკოზურია ჩევნს პირველ ავადმყოფს, სადაც დაავადება შედარებით უფრო მსუბუქია, გაუქრა 234 ერთეულის მიღების შემდეგ, ხოლო აცეტონურია კი—60 ერთეულის შემდეგ. მეორე, უფრო მძიმე, შემთხვევაში გლიკოზურიის გასაქრობად საჭირო იყო უკვე 528 ერთეული და აცეტონურიი—სავის—178; მესამე შემთხვევაში, რომელიც ყველაზე მძიმეა, აცეტონურია და გლიკოზურია მიუხედავათ 873 ერთეულის მიღებისა ჯერ კიდევ არის.

ორიოდე სიტყვა ინსულინის ადგილის შესახებ დიაბეტის თერაპიაში. ინსულინი არ ჰქონავს დიაბეტს, Langerhans-ის კუნძულების ღრმა ანატომიური ცვლილებების აღდეგნა, რასაკიორველია, ძალიან ძნელია და დიაბეტის მორჩენა შეუძლებელია. მორჩენაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც საჭმე ახალ და ადვილ დაზიანებასთან ან მწვავე ფუნქციონალურ ნაკლოვანობასთან გვპქს. აქ ინსულინის შეყვანა ორგანიზმში ასვენებს ავადმყოფის საკუთარ ინსულარულ აპარატს, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ შეიძლება აღდგეს და დაახლოვებით დამატებილ დაზიანებლად შეასრულოს მომავალში თავის ფუნქცია. ამ მხრივ ინსულინს შეიძლება როგორც კაუზალურ საშუალებას შეეხედოთ. მაგრამ ესეც რომ არ იყოს ინსულინი მაინც რჩება კარგ დამხმარე ფიზიოლოგიურ საშუალებად დიაბეტის თერაპიაში. იგი სპონს გლიკოზურიას და დიაბეტის ყველა მოვლენებს და იმდენად აუმჯობესებს ავადმყოფის მდგომარეობას, რომ მას შედარებით დამატებილ ცხოვრების საშუალება ეძლევა. მაგრამ ამისათვის საჭიროა მისი მუდმივი ან, ყოველ შემთხვევაში, ხანგრძლივი ხმარება. ჩევნი პირველი შემთხვევა არის ამის მომასწავებელი. მიუხედავად პროცესის შედარებითი კეთილთვითანამედროვე მედიცინა № 6—7—1925.

სებიანობისა და მიღებული 900 ერთეულისა მას ინსულინზაციის მე-3 დღეს შარდში შაქარი გამოაჩნდა. თვით ინსულინზაციის დროსაც გლიკოზურია არ იარსებებს მაშინ, როდესაც დიეტის და ინსულინის რაოდნობის შორის ერთ-გვარი მეთანმება არსებობს. საკმარისია რომ საჭმელმა იჭარბოს, როგორც ეს ხდება ხოლმე ამჟამად ჩვენს მე-11 შემთხვევაში, ან ინსულინმა იკლოს, რომ შაქარი შარდში გამოჩნდება.

ამგვარად ჩვენ ვხდეთ, რომ ინსულინი წარმოადგენს დროებითს სიპტომატიურ, მაგრამ კარგ საშუალებას. გარდა ამისა, ინსულინის დანიშნულება იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი აჩერებს პროცესის წინსვლას. ჩვენ თუ ამის დაუმატებთ მის დიდ ღირებულებას კომის დროს, მაშინ ადვილად გავიგებთ Joslin-ის აზრს: „დიაბეტი თუმც მოთვინიერებულია, მაგრამ დამარცხებული ჯერ კიდევ არ არის!“

ჩვენს შემთხვევებში ადგილი ჰქონდა შემდეგ გართულებებს:

1) 5 ჯერ (დაახლოვებით 250 ინიექტიაზე) ჩვენ მივიღეთ ჰიპოგლიკემიის პირველი ნიშნები. 2 ჯერ ეს დაემართა ჩვენს პირველ ავადმყოფს (სახლში) და 3 ჯერ მეორე ავადმყოფს (2. ჯერ კლინიკაში და 1 ჯერ სახლში) ყველა 5 შემთხვევაში მოვლენები მაღლ გაქრა შაქრის 2 ნაჭერის მიღების შემდეგ.

2) ქვედა კიდურების მცირეოდენი შეშუპება, რომელიც დაემართა მესამე ავადმყოფს წამლობის დასაწყისში და რომელიც 3 დღეში სრულიად გაქრა.

ჩემი მცირე მასალის მიხედვით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოყვანა.

1. ინსულინი წარმოადგენს კარგ დამხმარე საშუალებას პანკრეატიული დიაბეტის წარმოების დროს.

2. მისი გავლენით გლიკოზურია და აცეტონურია თანდათანობით მცირდება და შემდეგ სრულიად ქრება. ამ ეფექტისათვის საჭირო საერთო დოზა ინსულინისა ცვალებადობს შემთხვევის მიხედვით და დამოკიდებულია დიაბეტის სიმძიმეზე.

3. აცეტონურია ქრება უფრო ადრე, ვიდრე გლიკოზურია.

4. ინსულინის გავლენით დიაბეტის მიმდინარეობა უმჯობესდება; ავადმყოფს ეძლევა საშუალება რაციონალური და საკმარისი კვებისა; ავადმყოფის თვით-გრძნობა უმჯობესდება; ძალ-ლონე, შრომის უნარი და წონა მატულობს; სისუსტე, პოლურია, წყუპვილი და შიშილი კლებულობს და ქრება. აღნიშნულ გავლენას ინსულინი იჩენს წამლობის დასაწყისიდანვე.

5. როდესაც ინსულინზაცია არ არის საქმარისად ხანგრძლივი, მაშინ მის შეწყვეტას მაღლ მოყვება გლიკოზურიის განახლება.

6. ინსულინით წამლობა ზოგიერთ ავადმყოფებზე შეიძლება გატარდეს აშშულატორულად შარდის მუდმივი კონტროლით ექიმის მხრივ.

7. პრეპარატის ფრთხილი დოზიროვის დროს ჰიპოგლიკემიური რეაქცია არ წარმოადგენს დიდ საშიშროებას და ზოგიერთ შემთხვევებში ხელს არ უშლის აშშულატორულ წამლობას. საჭიროა შხოლოდ, რომ ავადმყოფშა კარგად

იცოდეს რეაქციის პირველი ნიშნები და ასეთ შემთხვევებში სახმარებელი ზომები.

დასასრულ მოვალეთ ვსოფლი ჩემს თავს გამოუცხადო დიდი მაღლობა ჩემს მასწავლებელს დიდად პატივუალმულ პროფ. ა. ლ. ა. ლ ა დ ა შ ვ ი ლ ს, რომელიც მუდამ ხელმძღვალელობას მიწევს, როგორც ყოველდღიურ კლინიკურ მუშაობაში, ისე ამ დაკვირვებების გატარების და მასალის დამუშავების დროს.

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აგრეთვე ვუძღვნა დიდი მაღლობა კლინიკის ასისტენტებს შ. მიქელ ა დ ე ს და ნ. მახვილ ა დ ე ს, წომელნიც ყოველთვის მიწევენ დახმარებას და ხელმძღვანელობას თავიანთი ცოდნით და გამოცდილებით.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

- 1) Коровицкий. О терапевтическом применении инсулина. Совр. мед. № 2—3 1924 г. 2) Перци. Введение в клинику внутренней секреции 1924 г.
ორმიცი წლის წინათ Reclus-მ პირველად წამოაყენა ღებულება: **სადაც ადგილობრივი ანესოებით შეიძლება ოპერაციის გატარება, იქ დაუშვებელია**



ზოგადი ნარკოზი. არ დავივიწყოთ, რომ მაშინ სწორედ ის დრო იყო, როდესაც კოკაინი და სიკვდილი თითქმის სინონიმები იყო. მოვიგონოთ, რომ ამ საკითხის გარშემო ატეხილ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ფართო საზოგადოებამ, თვით საფრანგეთის მაგისტრატურამ და პარლამენტმაც კი. საფრანგეთის სენატში კოკაინის ხმარებას veto-ც დაედო. საექიმო პრესაში ხშირია სასამართლოს ექიმების ოქმები. ამ დროს თერთმეტი ასეთი ოქმი იყო უკვე შედგენილი. ეს საფრანგეთში. რუსეთში კი გამოჩენილი დასტაქარი კილომინ-ი თავს იქლავს იმის შემდეგ, როცა მან 23 წლის ქალს შეუშაბუნა სწორ ნაწლავში 40,0—50% კოკაინის ხსნარი და როცა შემთხვევა სიკვდილით დამთავრდა.

იმავე სააფალმუფოფოში, სადაც Reclus მუშაობდა კიდევ ერთ უცცარ სიკვდილს ჰქონდა ადგილი, როცა ამერატორმა გახსნილ სათესლეს პარკში შეიყვანა კოკაინის 20%, ხსნარის 25,0.

ეს, რასაკვირველია, ცდის ხანა იყო. არც სიკვდილიანობის დიდი 0% იყო გასაკვირი და გაუგებარი, რადგან მაშინ ხშირად ხმარობდებ 10—20 და თითქმის 50% ხსნარებსაც კი. იმავე დროს პარალელურად Reclus-მ წამოაყენა თავისი პირადი ოპერაციების 2477 შემთხვევა. ამ ოპერაციათა რიცხვში, სხვათაშორის, შედიონდა რამოდენიმე ლაპაროტომია და კიდურების ამპუტაცია.

მოყვანილ ცნობებს აქვს, რასაკვირველია, მხოლოდ ისტორიული ინტერესი და არა მეცნიერული, ვინაიდან ეხლა არც ერთი დასტაქარი არ სარგებლობს წმინდა კოკაიზნით და მისი ოცი და ორმოც 0% ხსნარით; საინტერესოა აქ მხოლოდ ის გარემოება, რომ სულ მოკლე კლინიკური ცდების შემდგომ აღიარებული იყო სუსტ პროცენტიან ხსნარების აუცილებლობა.

თეთო Reclus სარგებლობა 1/2% ხსნარით. მის ხელში ხსნარი არაოდეს არ აღემატებოდა 1%.

გამოირკვა, რომ მცირე პროცენტიან ხსნარში ანესთეზიური ნივთიერების აპსოლუტური რაოდენობა მრავალჯერ ნაკლებ ტოქსიურია, ვიღრე იგივე რაოდენობა დიდ 0%-ან ხსნარში. ეს კანონია. ამის სწორი და ურყევი ექსპერიმენტალურ-ფარმაკოლოგიური ახსნა დღემდის არ არსებობს, გარდა იმ მოსაზრებისა, რომ შეშხაპუნებული ხსნარი ინფილტრაციის მაგვარ პირობებს ჰქმნის და წნევის მიხედვით სუსტდება შეწოვება.

აგრეთვე, აუცილებლად, უნდა ქონდეს დიდი მნიშვნელობა იმას, რომ გაჭრის და გაკვეთის შემდგომ ხსნარის დიდი ნაწილი ჭრილობის არებან გამოდის.

თუ მაშინ, წმინდა კოკაინის ხანაში, ზოგიერთი ქირურგის ხელში დიდი მიღწევა იყო,—უნდა გვეფიქრნა, სინთეტიურ, არატოქსიურად მომქმედი პრეპარატების აღმოჩენის შემდგომ და მით უმეტეს მას შემდგომ, როცა დამუშავდა ადგილობრივი ანესთეზიის წესი, გამოირკვა ფარმაკოლინამიკა, გავეცანით გართულებებს და საფრთხეს, ადგილობრივი ანესთეზია ყოველდღიურ კლინიკურ მუშაობაში დაიკავებდა კუთვნილ, ჯეროვან და საპატიო ადგილს.

ეს არ მოხდა და როგორც უკვე მოხსენებულია, საკითხი დღემდის გემოვნების და არჩევის საკითხად დარჩა, არც მეტი და არც ნაკლები.

ახლა, ჩვენ დროს ასეთი მდგომარეობაა: ზოგიერთი პრინციპიალურად ადგილობრივი ანესთეზიის მომხრეა და, სადაც შეიძლება ამ ანესთეზიას მიმარ-

თავს; ბევრი ცდასაც კი უნაყოფოთ სთვლის და თითქმის არ იჯერის, რომ სა-გრძნობრელი ნაწილი დიდი ოპერაციებისა, ადგილობრივი ანესთეზიის სარბიელს შეადგენს.

თვით Reclus-ს აზრით, მუცულის ღრუს ოპერაციები, თვისი მოულოდნელი გართულებებით, ადგილობრივი ანესთეზიის საგანს არ შეადგენენ. მიუხედავად ასეთი თითქმის იმპერატივობისა, Reclus-ს თავის პირვანდელ მისალაში უკვე ქონდა რამოდენიმე ლაპაროტომია და ერთი კუდუსუნთან შეზრდილი ჯორჯლის სარკმაც. Reclus შეუძლებლად სთვლიდა ადგილობრივი ანესთეზიის გაბატონებას მუცულის ღრუს ქირურგიაში.

იმავე აზრისათვის იყვნენ Heinicke და თვით Braun-იც, რომელმაც შემდეგ-ში დიდი შრომა, ცოდნა და უნარი შეიტანა ადგილობრივი ანესთეზიის მეთო-დიკის დაწუშავებაში.

ამათი აზრით ადგილობრივი ანესთეზიით საასპერაზო საგანს შეადგენს მარტივი და მსუბუქი დაავადებანი, წინასწარ და განსაზღვრულ ფარგლებში, ერთი სიტყვით ზეზეური, ტიპიური ოპერაციები და ისიც არა ანთებითი წარ-მოშობისა.

ამ შეხედულობას საფუძვლად ბევრგვარი მიზეზი ჰქონდა: 1) საზოგა-დოდ—მუცულის ღრუს ოპერაციების ხელსაქმობაში დიდი დასტაქრებიც დახე-ლოვნებული არ იყვნენ; 2) ამ ღრუს დაავადებათა დიაგნოსტიკას დღესაც ბევ-რი ნაკლი აქვს და მით უმტეტეს ოც-ოცდაათი წლის წინათ ექნებოდა ეს ნაკლი.

აქ, მართლადაც, შეიძლებოდა ისეთ მოულოდნელობასთან გვქონოდა და გვაქვს ხოლმე კიდევაც საქმე, რაც მოითხოვდა და მოითხოვს დამატებით განა-კვეთებს და ზეღმეტ როტულ ხელსაქმობას, ასე რომ 15,0 და 20,0 ხსნარისა, ეჭვი არის საკმარისი არც იქნებოდა და არც იქნება.

უკანასკნელ ხანში, Braun-მა გააფართოვა ადგილობრივი ანესთეზიის ჩვე-ნება არა თუ მუცულის ღრუში, არმედ სხვა ანატომიურ ღრუებშიაც. იგი ყოველ ოპერაციას, რომელსაც ასე თუ ისე ტიპიურად სთვლის, ხსნებული ანესთეზიით აწარმოებს.

როგორც იმ ხანებში, ისე დღესაც ამ მეთოდის წინააღმდეგ ბრალდებებია წამიყენებული: აგადმყოფის ინდივიდუალობა, მისი ნევრო-ფსიქიური ორგანიზა-ცია და ამისაგან მოსალოდნელი ზოგი, საფრთხე ზოგადი ნარკოზის საჭიროებისა, ბევრი თუ არა მცირე მტკიცნეულობა; გარდა ამისა საჭიროებისამებრ, მეორადად მიცემულ ზოგად ნარკოზს შეუძლია გამოიწვიოს ორმაგ ნარკოტიულ ნივთიერე-ბათა შეერთებული-კუმულიტური ზეგავლენა.

ინ, ამისდა მიხედვით, დიდი ოპერაციები, განსაკუთრებით მუცულის ღრუ-ში, დღესაც ზოგადი ნარკოზით ტარდება.

რაც შეეხება, ძვალოვან სისტემას, აქაც ქლოროფორმია გაბატონებული და, მიუხედავად იმისა, რომ კლინიკა, რომელსაც მომხსენებელი ეკუთვნის, ადგილო-ბრივი ანესთეზიის მომხრე და აპოლოგეტია, უკანასკნელ დრომდის ძვალზე ოპე-რაციებს, აღნიშნული მეთოდით, ერიდებოდა. ამ უამად კლინიკა ფიქრობს, რომ ეს მორიდება საკმაოთ დასაბუთებული აო იყო.

საკითხის შესწავლას ხელს უშლის ერთი გარემოება, სახელდობრ ისა, რომ უმეტეს დასტაქრების შიერ საკითხი უკვე გამორცვეულად, ნათლად და ყოველ-

მხრივ გაშუქებულად ირიცხება. უმეტესობა კმაყოფილდება მცირე, და მოკლედ ლი-ტერატურაში აქა-იქ გაფანტული ცნობებით. არსებული სახელმძღვანელოებიც სა-კითხს ამგვარადვე არკვევენ.

რომ შეიძლება დაგილობრივი ანგსთეზიის ჩვენების გაფართოვება, ეს აშ-კარაა და რომ მისი გავრცელება და, თუ გნებავთ, გაბატონება საჭირო, მიუცი-ლებელი და სასარგებლოა, ეს ჩვენთვის აგრეთვე ჭიშმარიტებაა.

მას შემდეგ, რაც ჩვენ დავშორდით წმინდა კოკაინს და ვსარგებლობთ სი-ნოეთიური პრეპარატებით, საფრთხე, თვით თეორიულადაც, თითქმის არ მო-გველის, რადგან ანგსთეზიური და ტრიქსიური საზღვრები საგრძობლად დაშო-რებულია ერთმანეთს. ეს თეორიული დებულება ყოველდღიურ მუშაობაში სა-გსებით მართლდება.

ყველაზე დიდი გართულება ისაა, რომ მეტად იშვიათად შესაძლებელია დაგვჭირდეს ზოგადი ნარკოზი მივიშველიოთ და სწორეთ აქ ირკვევა ერთი ყუ-რადსალები და მნიშვნელოვანი მხარე.

ყველა, ვისაც ასეთი შემთხვევა ჰქონია, დარწმუნებულა, თუ როგორ ადვი-ლად და რა სულ მცირე ზომით, ქლოროფორმის ან ეთერის რამდენიმე წვეთით ავადმყოფი იძინებს. ეს პირველად ემპირიულად შენიშვნული მხარე უკვე ახსნას ღებულობს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ დროს საზღვარგარეთ, მიღებულია ზოგადი ნარკოზის წინ საოპერაციო არეს ანგსთეზიური ნივთიერებით გაელენთვა. ამით სურთ შესწყიტონ შოკის დინა-მიკისათვის აუცილებელი გაღიზიანება პერიფერიული მგრძნობიარე ნერვებისა და მათი გამტარებლობაც მოსპონ. ანგსთეზიური ნივთიერების ბიოქიმიურ თვი-სებას შეადგენს ერთგვარი ნათესაობა სწორედ მგრძნობიარე ნერვებთან, განსა-კუთრებით მათ დაბოლოვებასთან.

რაც შეეხება თვით შოქს, პერიფერიული ხასიათის წმინდა შოქს, რასაც ბევრნი მოსალოდნელად სთვლიან, ადგილობრივი ანგსთეზიის დროს მას სრუ-ლებით ადგილი არა აქვს და აღარც უნდა ჰქონდეს, თუ შოკის დინამიკის ის თეორია, რომელიც მიღებულია, მართალია.

უნდა ვითიქროთ, ადგილობრივი ანგსთეზია მოახდენს დიდ ზეგავლენას ანგრატორის ხელსაჭმის სიცაქიზეზე, ვინაიდან ანგსთეზიური სივრცე მას მუდამ მოაგონებს, რომ ოპერაციის ობიექტს თუ არა სტკივა, არჩეული მგრძნობიარო-ბა მას შერჩენილი აქვს.

შეუძლებელია ქირურგის ტექნიკურ ინდივიდუალობაზე ამ ფაქტორმა გავ-ლენა არ იქონიოს. უნდა ვსთქვათ, რომ აქ ჩვენ შევეხებით ადგილობრივი ანგს-თეზიის ერთ სახეს, მხოლოთ ინფილტრაციულ ან გაელენთათო ანგსთეზიას. ჩვენს საგანს არ შეადგენს არც ვენურ-არტერიალური, არც რეგიონალური ანგსთეზია, გინაიდან ამ მხრივ კლინიკას, ჯერჯერობით, არ უმუშავნია და მასალის წარ-მოდგენა, ცხადია, არ ძალუდს.

შევეხოთ მოკლეთ და ზოგადად მგრძნობიარობის საკითხს, ან ორგანიზმ-ში მგრძნობიარობის სხვადასხვაობას და მრავალფეროვან ინტენსიუობას.

კერძოდ დაავადებული ქსოვილები იჩენენ, უმეტეს შემთხვევაში, გაღამეტე-ბულ და გაღაჭარბებულ მგრძნობიარობას, მაგრამ არსებობს აზრი, დაყრდნო-

ბილი ექსპერიმენტულ გამოცდილებაზე, რომ ასეთი თვისება აქვთ ქსოვილებს რომელიც ფიზიოლოგიურ პირობებშიაც მგრძნობიარეა.

ხანგრძლივი კვების დარღვევა და ქრონიკულად მიმდინარე შეშუცებანი-კი გამოიწვევენ მგრძნობიარობის შესუსტება-დაქვეითებას. ამ მოვლენის მიზეზები ალბათ იმაში მდგომარეობს, რომ შეშუცებითი სითხეს აქვს სულ სხვანაირი თვისება, ვიდრე ნორმალური მკვებაც სითხეებს, რაც ასე საჭიროა ნერვის სწორი ფუნქციისათვის.

მგრძნობიარობის საკითხი დღემდე გადაჭრილად ვერ ჩაითვლება. ამ საკითხის გარკვევას დიდი სამსახური გაუწიეს Beloch-მა და Lennander-მა. უკანასკნელის გამოკვლევანი, მიჩნეული თითქმის ურყევად, ბოლო ხანებში განიცდიან გადასინჯვას, მაგრამ მის მიერ მოცემული სქემა, განსაკუთრებით მუცლის ორუში, მაინც კლასიკურად ითვლება.

პრაქტიკულად საინტერესოა, რომ ქსოვილებს, მგრძნობიარობის მხრივ სულ სხვადასხვა უნარი აქვთ.

როგორც ეს შემჩნეულია, ყველაზე მგრძნობიარე კანია, განსაკუთრებით არჩეულ ადგილებზე, მაგალითად, თითქმის დაბოლოვებებზე. კანის ბევრი ადგილი კი ნაკლებ მტკიცნეულობის თვისებას იჩენს, თუნდა კისრის უკანა ნაწილი და ზურგის ტყავი.

კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი ფიზიოლოგიურ პირობებში მტკიცნეულია იმ ადგილებზე, სადაც გადის ნერვები და სისხლის ძარღვები. ფასციებს, მყესის ბუდეებს და ოპონენტოზებს მეტი გამოხატული მტკიცნეულობა აქვსთ, თვით მყესები კი ამ თვისებას მოკლებულია.

კუნთების მგრძნობიარობაც არ არის დიდი. პირობები აქ ისეთივეა, როგორიც კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილში. მტკიცნეულია მხოლოდ ის ადგილები, სადაც სისხლის ძარღვები და ნერვები გადის.

ძვლის აპეს მტკიცნეულობას სალ მდგომარეობაში უარყოფდენ Haller-ი, Piorry და Bloch-ი. მათი შეხედულება სავსებით არ გამართლდა: აპეს ზოგ ალგას ნაკლებ მგრძნობიარობას იჩენ (Braun), საზოგადოდ კი ძვლის აპეს უნდა ჩაითვალოს, მეტის მეტი მგრძნობიარე ორგანოდ.

შესახებ ძვლისა, მის კომპაქტური ნივთიერების, და ძვლის ტვინისა, აზრთა სხვადასხვაობაა. Meonfalcon-ი ძვალს მეტად მტკიცნეულად სთვლის. ამავე აზრის არიან Ried და Piorry. Bloch-ი და Bickat-ი ძვალს სთვლიან მტკიცნეულად მხოლოდ ნაწილობრივად. ძვალში არსებული ტკივილები, აპეს მოშორების შემდეგ, ბევრი მკვლევრების მხრივ აისხება ნერვიულ ანასტრომოზებით ძვლის ტვინიდან; ამ უკანასკნელს კი ანიჭებენ მომეტებულ მგრძნობიარობას და მტკიცნეულობას.

შეტიქეტ მგრძნობიარობას იჩენს ხრტილის აპეს და სახსრის მთელი აპარატი. იმავე დროს თვით ხრტილა მტკიცნეულობას მოკლებული უნდა იყოს.

რაც შეეხება ლორწოვან გარსს, არსებობს აზრი, რომ იმ დროს, როცა თვალის, ცენტრის, ყელის, ხორხის, აგრეთვე გარე სასქეს ორგანოების ეს გარსი იჩენენ გადამეტებულ მგრძნობიარობას, უკვე ფიზიოლოგიურ პირობებშიაც ჭი—კუჭი-ნაჭლავის ლორწოვანი გარსი, გარდა სწორი ნაწლავის ქვედა ნაწილისა, ძოკლებულია ამ თვისებას.

ასეთივე პირობებია საშვილოსნოში და საშარდე ბუშტში. მათი ლორწოვანი გარსი უგრძნობელია.

თავისტვინის მტკივნეულობას Bloch-ი და Schleichen-ი უარყოფენ. Berefeld-ი Jontana და Caldani ტვინის მაგარ გარს სცნობენ მტკივნეულად, Portal-ს და Kicherand-ს კი ის მგრძნობიარედ მიაჩინათ. ოდგანაც Dura mater ნაწილობრივად ინერვულის p. trigeminus-ისაგან ღებულობს, ამიტომ შესაძლებელია, რომ ის ნაწილობრივადაც მგრძნობიარე იყოს. საზოგადოდ კი შეიძლება ითქვას, რომ ოპერაციის დროს უმცირესი ხელსაქმობა ტვინზე და ტვინის გარსებზე თითქმის უმტკივნეულოდ ტარდება.

შუცლის ფარის შესახებ საკითხი დღესაც გადაუწყვეტელია; და სწორედ ეს საკითხია საცირბოროტო, ოადგანაც უკანასკნელ დროში ადგილობრივმა ანეს-თეზიამ აქ ჰქოვა ფართო სარბიელი. მიჩნეული იყო ვისცერალური ფარის უმტკივნეულობა, ამავე დროს კი პარიეტალურ ფარს დიდ მტკივნეულობის თვისებას ანიჭებდენ. აქამდის არსებული ცნობები ვერ სწყვეტენ საკითხს საბოლოოდ. ამით აისანება აზრთა ის სხვადასხვაობა, რომელიც დღემდის სუფევს. უნდა ვიფიქროთ. რომ საკითხის საბოლოოდ გადაუწყვეტა მხოლოდ მომავალს ეკუთვნის.

მგრძნობიარობის უარმყოფელნიც პერიტონეუმის ზოგიერთ ნაწილს მტკივნეულად სთვლიან: მაგალითად, ნაწილებს რომელნიც ფარავენ ნალვლის ბუშტს და ღვიძლის მთელ გასავალ პარატს.

მაგრამ უკვე ზეიძლება ითქვას, რომ შუცლის კედლის უკანა და წინა ნაწილი, შემდეგ diafragma, იმდენად, რამდენადაც ისინი ღებულობენ ცერებროსპინალურ ინერვაციას, მტკივნეულნი არიან.

Peritoneum viscerale-თი დაბურული ნაწილები (კუჭი, ნაწლავები, ბადექინი, ნალვლის ბუშტი და ღვიძლი) პათოლოგიურ პირობებშიც არ იჩენენ მკაფიოდ გამოხატულ მტკივნეულობის თვისებას.

ასებული აზრი იმის შესახებ, რომ მტკივნეულია გარჩეული მანიპულიაციები, გარჩეულ ადგილებზე (ჯორჯლის გაჭიმვა და კვნძნ-ნასკვნის დაფება) და აგრევე მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება შუცლის ფარის პათოლოგიურ ცვლილებებს, ხშირად საკმაო მკაფიობით არ მართლდება. ზოგან, თითქმის უცვლელი ფარი მეტისმეტად მგრძნობიარეა; ამავე დროს უკვე მაკროსკოპიულად შესამჩნევი ცვლილებანი მგრძნობიარობას არ იძლევა.

საზოგადოდ კანონად ითვლებოდა მტკივნეულობის ახსნა და დამოკიდებულობა ხერხემლის ტვინის ინერვაციასთან. ამავე უნარს და თვისებას თითქმის მოკლებული უნდა ყოფილიყო სიმპათიური ნერვიული სისტემა. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ნევრობათოლოგები ცდილობენ დაამტკიცონ, გარდა ცერებროსპინალური რეფლექტორული რეალისა, სამპათიური რეფლექტორული რეალის არსებობა. თუ ეს დამტკიცდა, მაშინ ბევრი უკვე აღიარებული და დამტკაცებულად მიჩნეული დებულება გადასინჯული უნდა იქნეს. სწორედ შუცლის ღრუსორგანობის უმტკივნეულობის საფუძველი დამყარებულია იმაზე, რომ აქ, მუცლის ღრუში, ცერებროსპინალური ნერვები არ მოქმედობს.

თუ კი სიმპათიურ სისტემას მიენიჭა რეფლექსის და მტკივნეულობის გატარების უნარი, მაშინ გამოგვეცლება ის ნიადაგიც, რომლის ზოგიერთი ნაწილი მაინც დღემდის ურყევად იყო მიჩნეული.

თვით ანესთეზიის მეთოდში აზრთა თანხმობა არ სუფეცს, ისე როგორც ანესთეზიური ნივთიერებათა ხმარებაშიც. Schleich-ის ხსნარით დღეს იშვიათად სარგებლობენ, ამ ხსნარს ძალა ჰქონდა კოკაინის ხანაში. ექლა, როდესაც ხელთა გვაჭვს ნაკლებ ტოქსიურად მომზედი ნივთიერებანი, Schleich-ის სუსტი ხსნარი არ იქნება მიზანშეწონილი, მით უმეტეს, რომ ამ ფამაც ადგილობრივ ანესთეზიას ფართო სიკრცეზე ეხმარობთ, ასე რომ დიდადი ხსნარის შეშხაპურება და-გვჭირდებოდა. ამჟამად ვხმარობთ ხსნარს ($0,5-1\%$), რომელიც არის Reclus-ს მიერ მოწოდებული. ცხადია, მეთოდსაც უნდა დაერქვას, თუ არა Reclus-ს, Reclus-Schleich-ის სახელი.

საოპერაციო არეს გაულენთვის მაგივრად Hackenbruch-ი უშხაპუნებს ამ არეს ირგვლივ ან რომბისებურად ან კიდევ რგოლისებურად—მგრძნობიარე ნერ-ვების გამტარებლობის შესაწყვეტად (ეს სწორედ ის მეთოდია, რომელსაც, თუ არ ვსცდები, უპარატესობას აძლევს პროფ. ალ. მაჭავარიანის კლინიკა).

ზემოხსენებული ორი უმთავრესი მეთოდის გარდა ასებობს აგრეთვე ბევრი შესწორებები, როგორიც არის Bier-ისა, Braun-ისა და Oberst-ისა.

ყურადღალებია ის გარმოებაც რომ დიდი სხვადასხვაობაა ანესთეზიურ ნივთიერებათა არჩევაში. ყოველ მათგანს თავისი მომხრეები ჰყავს. ხელმისაწვდომი ფარმაკოლოგიური ცნობების მიხედვით, ყველგან და ყოველთვის საუკეთესოდ უნდა ჩაიგვალოს ნოვოკაინი, რომელსაც საქართველოში ვხმარობთ. თვით ეკიანის აქვს დიდი ნაკლი: გაუყლენთილ არეში იგი გამოიწვევს სისხლის მილების დამბლა გაფართოვებას. ასეთივე თვისებისაა სტოვაინიც. გარდა ამისა სტოვაინი ნოვოკაინშე მეტად ტოქსიურია. სტოვაინის მიერ სისხლის მილების დამბლის გამომწვევი მოქმედება ჩვენს კლინიკაში ცხადად შემჩნეულია. არც ერთი ხსნებული პრეპარატი სტერილიზაციის გამო არ იშლება და 5 წუთით—130° სიცხე—ქიმიურად უცვლელად გადააქვთ.

პრაქტიკულად აღსანიშნავია, რომ ტუტოვანი ნივთიერებანი ანესთეზიურ პრეპარატებს არღვევენ, ასე რომ სათანადო იარაღებს ხსნებულ ნივთიერებას-თან კაშშირი არ უნდა ჰქონდეთ.

სკითხი ხსნარში აღრენალინის გარევის შესახებ დღემდის გადაუწყვეტელია. მას ბევრი მომხრეც და მოწინააღმდეგეც ჰყავს. მოწინააღმდეგენი უფრო ქირურგებში არიან, ხოლო მომხრენი—ოუტოლმოლოგები და რინო-ლარინგოლოგებია. აღრენალინი, რასაცირველია, სისხლის პერიფერიულ მილებში მოქმედებით, გამოიწვევს მათ შეკუმშვას და ანესთეზიური ხსნარი მეტს ხანსა რჩება საოპერაციო არეში; ცხადი და ურყევია, რომ აღრენალინი აძლიერებს და აგრძელებს ანესთეზიისათვის საჭირო დროს, მაგრამ აგრეთვე ურყევია ისიც, რომ ეს ნივთიერება, სისხლის მიმოქცევის შედუღების გამო, არტერიოლების და ვენების დასაწყისში თრომბოზის და ემბოლიის მიზეზიც შეიძლება იქნეს.

დასტაქრისთვის საინტერესოა, რომ აღრენალინს აგრეთვე მეორადი სისხლის დენის მიზეზად სთვლიან, რადგან აპერაციის დროს შეკუმშული სისხლის წვრილი მილები შეუმჩნევლად და მაშასადამე გადაუსკვნელ-გადაუკვანძლად ჩება.

ჩვენ მუშაობის დროს აღრენალინის ხმარება საჭიროდ არ მივეიჩნევია.

თუ აღრენალინის ხმარებას წმინდა კოკაინთან ერთად მნიშვნელობა ქონდა, ექლა სინთეზიურ პრეპარატებთან მას ასეთი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან.

წინად შიშობდენ, რომ კოკაინი, ერთბაშად და ბლომად შეწრუტული, შესძლებდა თვისი ტოქსიური ზოგადი მოქმედების გამოწვევას. კოკაინის ასეთი თვისება, სხვათა შორის, Braun-ის მიერ ექსპერიმენტულად დამტკიცებულია. ბევრი შემთხვევა, კოკაინის მიმართ იღიოსინკრაზიად მიჩნეული, მისი სწრაფი შეწრუტვით გასაგები გახდა.

უკვე დაუჭინებელ ლორწოვან გარსზე წაცემული კოკაინი, 20 წამის შემდეგ მგრძნობიარე ნერვებთან და მათს დაბოლოვებასთან მყიდროდ შეკავშირებული აღმოჩნდა. ადრენალინი სპობს კოკაინის სწრაფ შეწოვების თვისებას, ეს შეწრუტვა-შეწოვება ხანგრძლივი ხდება და კოკაინის რაოდენობა განსაზღვრულ — თანაბარ დროში იმდენივე იქნება, რომ სისხლი და ქსოვილები მის — გადამუშავებას მოასწრებენ, ვიდრე კოკაინი ტოქსიურ ზეგავლენის მოხდენას. 95% კოკაინისა ქსოვილებში და სისხლში იშლება და მხოლოდ 5% უცვლელად გამოიყოფა ნაწილობრივ თირკმლებისა, ნაწილობრივ-კი კუჭნაწლავის მეოხებით. ყოველივე ნათესავის შემდეგ, ვფიქრობთ შეიძლება მივიღოთ ის დებულება, რომ კოკაინთან ადრენალინ-სუპრარენინი მიუცილებელი და სავალდებულოა. რაც კი შეეხება ამ უამაღ ხმარებული პრეპარატების ხსნარებს, მათთან ერთად ადრენალინის ხმარება თუ ზედმეტი არა, ყოველს შემთხვევაში, სავალდებულო მაინც არ არის.

გამოთქმული დებულება უკანასკნელ წლების ლიტერატურის მიხედვით შესწორებას მოითხოვს. მართალია ჩვენ საუკეთესოდ მიგვჩინევია ნოვკაინი, მაგრამ ამ უამაღ დასავლეთ ევროპაში შემოლებულია არა ნოვკაინი არამედ სულ ახალი, კიდევ ნაკლებ ტოქსიური სინთეტიური პრეპარატები: Tutokain-ი და Psikain-ი; განსაკუთრებით ხმარება Tutocain-ის 1/4% ხსნარი, რომელმაც უროლოვიაში, როგორც გამოკვლევაში (ცისტოსკოპია კატეტერიზაციაში), ისე ოპერაციებში ფრთო სარბიელი მოიხვევა (Seiffert und Anthom. Deutsche med. Wochenschr. 1924 წ. № 7 და 17). აი სწორედ ამ ახალ პრეპარატებს იხმარებენ ადრენალინ-სუპრარენინის დამატებით. ჩვენ ხსნებული პრეპარატების შესახებ ვერას ვიტყვით, რადგან მოკლებული ვართ მათ ხმარების შესაძლებლობას.

ჩვენი კლინიკა თავის მოლვაწეობის დასაწყისშივე შეუდგა ადგილობრივი ანესთეზიით მუშაობას. წინასწარვე განზრახული იყო შეძლებისა დაგვარად ზოგადი ნარკოზის ხმარება შეგვეზღუდა, სულერთია, რასახისა იქნებოდა ეს: ნარკოზი წმინდა ქლოროფორმისა, წმინდა ეთერისა, თუ შერეული. მესამე წლის დასასრულს კლინიკას შეუძლია განაცხადოს, რომ ამ მხრივ მან საგრძნობ შედევს მიაღწია.

მუშაობის დაწყებისთანავე კლინიკას არ შეეძლო არ გაეწია ანგარიში იმ გარემოებისათვის, რომ იგი ახლად შემოსული სტუმარი იყო სხვის მიერ შექმნილ უცხო აზტესებულებაში. (მთავარი საავადმყოფო რკინის გზისა), ეს უკანასკნელი მოღვაწეობდა არა ერთსა და ორს წელს და, რასაკვირველია, როგორც ავაღმყოფები, ისე მოსამსახურენიც კლინიკას სათანადო და მოსალოდნელი ნდობით ვერ ეკიდებოდენ. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ კლინიკას მოუძღვნდა ან წინუძღვნდა ხმა: კლინიკა მოღვის ავაღმყოფებზე ცდების მოსახდენად.

და აი სწორეთ ამ გარემოებამ პირველ წელს სათანადო გავლენა მოახდინა, სხვა-
თა შორის, ნარკოზ-ანესთეზიის საკითხებზედაც.

თუ ოპერაციების სიას გადასინჯავთ, დავინახავთ, რომ პირველ წელს,
ადგილობრივ ანესთეზიით, გაკეთდა ოპერაციების 17% , მეორე წელს 42% ,
მესამეს 65% . ჯერჯერობით ასეა. ჩვენ ვიმედოვნებთ, ეს პროცენტი, მესამე
წლის დაბოლოვებამდის, კიდევ შესამჩნევად მოიმატებს. ეს მიღწევა მით უფრო
უურადსაღებია, რომ პირველისა და მესამე წლის მასალა საგრძნობლად გან-
სხვავდება ერთმანეთისაგან. თუ პირველ წელს მასალა საგვებით მარტივი და
ლარიბი იყო, ოპერაციები ჩვეულებრივი და ტიპიური, შეორე-მესამე წელს ეს
მასალა გადიდა და გართულდა, როგორც რაოდენობით, ისე სიძნელითა და
ატიპობით. თუ, ადგილობრივი ანესთეზიის მიხედვით, პირველ და უკანასკნელ
წლის ოპერაციებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ისეთივე მასალა, როგორიც
პირველ წელში გვქონდა, ახლა ტარდება ადგილობრივი ანესთეზიით არა
 17% -ში, არამედ 90% .

ამ მასალაში შედის მუცლის ლრუს ოპერაციები, ტიპიური და ატიპიური,
არის ხორცმეტები, ანთებითი პროცესები, პლასტიური ოპერაციებიც. მაშასადა-
მე, კლინიკამ შესძლო გაეფართოვებინა ადგილობრივი ანესთეზიის ჩვენება და
ესარგებლნა მით იმ შემთხვევებშიაც, როცა სხვათა გამოცდილება მას არ გვირ-
ჩევს და არც გვიყარნახებს.

თუ არ დავივიწყებთ, რომ კლინიკა, ჯერჯერობით, მხოლოდ ინფილტრა-
ციულ ანესთეზიას ხმარობს, თუ არ დავივიწყებთ, რომ მას არ უსარგებლნა,
გარდა ერთის შემთხვევისა, რეგიონალური ანესთეზიით, არც ვენუ-
რი და, მით უმეტეს, არტერიალური ანესთეზია, აგრეთვე არც ანესთეზია
splanchici, უნდა ვიტიქროთ, რომ შემდეგში, ამ მეთოდების საშვალებით და
მეოხებით, კლინიკამ შეიძლება სავსებით შეამციროს ზოგადი ნარკოზის აუცი-
ლებლობა.

თავისის მუშაობის დროს კლინიკა, უფრო ხშირად Reclus-Schleich-ის წესით
სარგებლობს, იშვალთად Hackenbruch-ის მეთოდით. განსაკუთრებულ უპირატე-
სობას იგი ამა თუ იმ მეთოდს არ აძლევს. დიდ უურადღებას იქცევს ტექნიკის
საკითხს. ამ მხრივ საინტერესოა, რომ, გარდა კლინიკის ხელმძღვანელისა დასაწ-
ყისში, თუ არ ვცდები, არავისა ჰქონდა გაწვრთნილი ტექნიკა. და პირველ
წელს სრულ გაცუდებას თუ ხშირად არ ვიღებდით, საოპერაციო არეში მგრძნო-
ბიარობას და მტკიცებულობას არა იშვიათად ადგილი ჰქონდა. შეიძლება ამ
შემთხვევაში ავადმყოფების მხრივ მნიშვნელობა ჰქონდა არაჩეულებრივად გა-
ტარებული ოპერაციისადმი ფსიქიურ მომენტს. დასაწყისში გაცუდება $10\text{--}15\%$
იყო. ავადმყოფებს, და კერძოდ ქართველებს, განსაკუთრებით კი ჩვენის ავად-
მყოფების კონტინგენტს—ოპერაცია, დაუძინებლად ვერ წარმოედგინათ.

გაცუდების 1% , მიუხედავად სიძნელე-სირთულისა, თანდათან კლებულობს
და ამჟამად კლინიკას შეუძლია სოჭვას, რომ, სადაც ოპერაცია წინასწარ გან-
ზრდაშულია ადგილობრივი ანესთეზიით, იქ ოპერაცია ჩატარდება საქმაოდ უმტკიც-
ნეულოთ. ჩვენ ველით, რომ ეს აზრი არ იქნება მიღებული აბსოლუტურად, ვი-
ნაიდან ოპერაციის დროს და განსაკუთრებით მუცლის ლრუს ოპერაციებთან



შესაძლებელია ისეთ მოულოდნელობას წავაწყდეთ, რომ არა თუ ანესთეზიის, თვით ოპერაციის გეგმაც ძირითადად შეიცვალოს.

ადგილობრივი ანესთეზიის მიერ გამოწვეულ გართულებებს კლინიკა არ იცნობს. ლიტერატურულ წყაროთა მიხედვით, შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ შემდგომში შევხვდებოდით საოპერაციო არეს მომეტებულ მგრძნობიარობას ან მტკიცნეულობას, მაგრამ ესეც არ გამართლდა. რაც შეეხება შოკს, როგორც უკვე მოხსენებულია ზემოდ, შოკს პერიფერიულს, ან კიდევ კოლაპსს, კლინიკის მუშაობაში არა ჰქონია ადგილი.

შთაბეჭდილება ასეთია, რომ ადგილობრივი ანესთეზია ჰქმნის ორგანიზმის ერთგვარ აქტივობას და ორგანიზმი იოლად უძლებს სისხლის და სითბოს დაკარგვას და აგრეთვე მიუენებულ ტრაგმასაც.

შევეხოთ კერძოთ მუცულის ლრუს თერაციებს. ამ თერაციათა რიცხვში შედის ლაპაროტომია ტუბერკულოზური პერიტონიტის დროს, თიაქრისკვეთა და appendocthomia, სხვადასხვა გართულებით, შეკოწიწებით და შენაზარდებით, სადაც ხშირად ბადექონის რეზექცია გვჭირდებოდა. თერაციები, რომელიც მოითხოვენ კუნძაწლავის განთავისუფლებას გავრცელებული ნაწიბურებისაგან, სადაც გვიხდება ხელსაჭმობა ფართედ მუცულის ლრუში, დიდ განაკვეთით და ოპერაციის ხანგრძლივობით (Separatio adhaessionem) და სადაც უკვე თეორიულადაც მოსალოდნელია დიდი ტკივილი, ჩვენის მასალის შიხედვით. საკმაო უმტკიცნეულოდ ტარდება.

შეიძლება აქაც ფსიქიურ მომენტს, ერთნაირ ნდობას, ადგილი ქონდეს, თაგრამ მდგომარეობა ამით უცვლელი რჩება.

მოსალოდნელი მტკიცნეულობის მხრივ, ესა თუ ის სახელმძღვანელო ნიშნები ჩვენ არ მოგვეპოვება. ვრცელი ნაწიბურები, მრავალ-შენაზარდები, არა რშვიათად, იძლევა სრულ ანალგეზიას, (არ ვეხები უსიამოვნობის გრძნობას, მუდამ ადგილობრივის ანესთეზიის დროს რომ არსებობს), მაშინ როდესაც თითქმის მაკროსკოპიულად შეუმჩნეველი ცვლილებანი ამ მტკიცნეულობას გამოიწვევენ ხოლმე.

თერაციები, რომლის სარბიელს შეადგენს მუცულის ლრუს უკანა კედელი და განსაკუთრებით თარკმლების ახლო, ადგილობრივი ანესთეზიისათვის, ზოგ შემთხვევაში, გამოუსადეგარი აღმოჩნდა, სახელდობრ — Kalbe-ს ოპერაცია, ლვიძლის ციროზით გამოწვეულ მუცულის წყალმანკის დროს, ხსენებული ანესთეზიის გზაშესით არ ხერხდება.

თავის ქალასი და ტვინის ოპერაციათა რიცხვში შედის: დეკომპრესიული ტრეპანაციები, ტრეპანაციები Jackson-ის ეპილეპსიის დროს, დიდი ტვინის ნაწიბურების და წყალბუშტების ამოკვეთა, რბილი და ძვლოვანი ქსოვილის გადანერგვით. ამრიგ თერაციებსავე ეკუთვნის ჩირქეროვა ტვინისა, თვით ტვინვან ნივთიერების განაკვეთით.

ჩვენ არსად არ მიგვიღია ისეთივე უმტკიცნეულობა როგორც ტვინში, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს მოგვიხენია ტვინის გარსების ანესთეზია.

ერთი შემთხვევა, როდესაც საჭირო იყო ძვლების დროებითი ფართო ტენიცია და დიდი ტვინის გადაწევა (Hypofhisis cerebri) ოპერაციის პირველი

Ե՞րածո շմէտյօննեղլող და ցայրտպղեղլոց ჩափարձա, մոյեղեցաց սայմառը դո-
ջո բրազմուս. თუ Շոշո մոսալողնեղլո ոյս, և վորեց այ ոյս մոսալողնեղլո.

Ցաշմէցեթից օջախական անցետենուս հիշեն ցերուղեծուտ. Շեոնդեց շնագուշվ-
լոց ոյս հիշեն յև սուրբտեղլու. արու մացալուտու (հիշեն մասալա՛շ) մեռլող 11 թլուս ցայսու թէրելց Haeimangyut-ու. ամ Շեմտեցցա՛շո Ծյօնուղեծու ոմք-
նաց ցամունքուղլու առ պոցուղ, համդենաց Շո՛շո մոսալողնեղլ Ծյօնուղեծուսագմու,
մաշրամ Շտաճեթուղեծու ուշուու հոմ անց Շեմտեցցա՛շո օջախական անցետե-
նուս շնճա մումարտուտ դուղու սուրբտեղլուտ.

თუ տացուս մուշառնա՛շո կլոնուց մոյուղուղնեղլո և կայուղուղ սառերացուու
մացուղանց առ Շեեցցուրու, շնճա ցուցույշուտ, հոմ անցետենուս մետուղմա այ տացու-
ս Շվալուու Շեութան. თუ ամ մետուղուտ Շեցեմլեցտ, համուցենում, մեռլող հա-
մուցենում սուրուցելց Շեցոնարիշնուտ, մանու պացուղու ուժա ամ մերու ցամարտ-
լուցուղու ոյնեծա.

Եցեած ցամլուց հիմն տացս ցամուցտէյզա մեռլող յրտու դեծուղեծա: օջա-
խական անցետենուս ցայրմուս ուշուու անցետենուս, հոմելուց և վորենուս մետուղուտ
նամարուս; և վորենաց եմարյեծ յո նեգմութէցնուտ Շելիցցալս մուտեղլուս (*).

Ցուղուուտադու մագլուն կլոնուց որդունաթունս յի. ալ. ուսուցես, հոմլուս
մեցուղեծուղլու դամարեծուտ ցարցեցուղմադու կլոնուց մասալուս մոյուցեծա՛շ.

Հ Ա Ծ Ե Ր Ա Ծ Մ Ւ Ր Ա.

- 1) Gottlieb und Meyer. Эксперимент. фармакология. հյ. տարշմ.
- 2) Бердяев. Местная анестезия, 1912 г. 3) Braun. Местная анестезия, ее научное обоснование и практическое применение. 1909 г. 4) Schleich, Smerzlose operationen. Berlin. 1884. 5) Reclus. Клинические лекции.
- 6) Chalamell A. Recueil de principaux Memoires conc. la Stovain,
- 7) Braun. Beiträge zur klin. Chirurgie. 1906. 8) Zentralblatt für Gynecologie. № 1—21, 1922. 9) Zentralblatt für Gynecologie 1915 № 17. 10) Seiffert und Anthom.—Deutsche medic. Wochenschrift № 7—17—1924. 11. Steichele München. med. Wochenschr № 40. 1924. 12) Русский врач. 1912. Брюссельский международ. с'езд.

(*) ՏՈՒ-ՆԻ ԹԵՇՏ ուղարկուու նու կոյբույշուրու նորմեյնու ցամու ցու օնցուայնա.

ვ. თოდაზე.

სავადმყოფოს ორგანიზაციის.

შარდსაღინარის ჟევიზროვების ზამლობის საკითხების შესახებ.

(რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილებიდან.

გამგე—პროფ. გ. მუხაძე).

ნორმალური შარდსაღინარის სიგრძე 18—20 სანტიმეტრს უდრის და ოთხ ნაწილად განიყოფება: I წინამდებარე ნაწილი (pars prostatica), II აბკისებრი ნაწილი (pars membranacea), III ბოლქვიანი (pars bulbosa) და მე-IV მღვიმოვანი (pars cavernosa). პირველი ნაწილის სიგრძე 2,5—3 სანტ. უდრის; მე-II-რე 1—2 სანტიმეტრს, მღვიმოვანი ნაწილი კი 14—17 სანტიმეტრს. შარდსაღინარის მესამე და მეოთხე ნაწილში არჩევენ 2 გაგანიერებულ ნაწილს; პირველი-მესამე ნაწილის დასაწყისშია და ბოლქვი ქვიან (pars bulbosa), მეორე—შარდსაღინარის ბოლოშია და ეწოდება ნავისებრი ფოსო (fossa navicularis).

შარდსაღინარის შევიწროება, გარდა თანდაყოლილი სიმახინჯისა, ხდება სხვადასხვა ანთებითი პროცესების გამო მაგალითად: სუსუნატის, ტუბერკულოზის, სიფილისის, ტრაუმის და სხვა. ამათგან თითქმის 90% ყველა სტრიკტურებისა ვითარდება სუსუნატის ნიადაგზე და ისიც 20—40 წლამდე. სტრიკტურა უმეტეს შემთხვევებში ბოლქვიან ნაწილში ვითარდება, უფრო ნაკლებად ნავისებრი ფოსოში და იშვიათად მღვიმოვან ნაწილში.

იმისდა მიხედვით ახალია თუ ძველი ან თუ რა ხასიათის და თვისების არის სტრიკტურა, წამლობა მისი სხვადასხვანარია: წამლობა ბუჟებით, ელექტრო ლიზით, urethrotomia int. urethrotomia externus, urethrotomia ex. cum resectio urethrae, urethrotomia ex. cum resection uretrae აუცილებლად შარდის ხელვნური გზით გადაყვანა. სათითაოდ ყველა მეთოდს აქვს თავისი დადებითი მხარეები, თუ ის იხმარება თავისი წესზე. მათ შორის ბუჟებით და ელექტროლიზით წამლობა კონსერვატიულია, დანარჩენი კი ოპერატიული. სტრიკტურების გასაფართოებლად ბუჟებს ხმარობენ ორგარად: პირველი წესით, ბუჟს უკვე შევიწროებულ შარდსაღინარში გატარებულს, სტოვებზე შიგ 1—2 დღე, მეორე წესით კი მარტო 10—20 წუთის განმავლობაში. წამლობის განმავლობაში ბუჟების კალიბრი თანდათანობით მატულობს, ვიდრე არ გატარდება Charrierel 22—26 ანუ Beniquel 44—52 ნომერი ბუჟი.

ასეთი წამლობა მართალია ხშირად კარგ შედეგებს იძლევა, მაგრამ როდესაც არის რეზილიუალური შევიწროება შარდსაღინარისა, ის კვლავ ახლად ვიწროვდება და ბუჟებით წამლობას სასურველი შედეგი არ მოჰყავს. შემდეგი

მეთოდი არის urethrotomia int. ეს მეთოდიც ორგვარად იხმარება, მაგალითად Thomsoni-ს სათანადო იარაღი გაჰყავს შევიწროებულ ადგილში და კვეთავს მას უკან გამოლების დროს, Maisonneuve კი პირიქით იარაღის შეყვანის დროსვე კვეთავს შარდსადინარის შევიწროებას. მეთოდის მომზრებების აზრით, შიგნითა ურეტროტომიის შემდეგ, შარდსადინარი ფართოვდება ვითომც იმ ნაწიბურებით, რომლებიც ვითარდებან განაკვეთ არეში და სოლისებრივად შეიქრებიან შარდსადინარის შევიწროებული ნაწილის განაკვეთს შორის. თუმცა ამ ოპერაციას დღესაც აწარმოებენ ზოგიერთი უროლოგები მაგალითად Albarran-ი, Mikhaylov-ი და სხვები მაგრამ ეს მეთოდი დასტაქართა უმრავლესობის მიერ არ არის ფართოდ მიღებული მისი უარყოფათ მხარეების გამო, როგორიც არის: სისხლის დენა, ინფექცია და მასთან შევიწროების ხშირი რეციდივი.

გარეთა ურეტროტომიის დროს (urethrotomia ext.) შარდსადინარის შევიწროება იკვეთება გარედან და შარდსადინარში ტარდება რეზინის კატეტერი a'demeure. ჭრილობის მდგომარეობის და ხასიათის მიხედვით კატეტერს სტოვებენ შარდსადინარში რამდენიმე დღე.

ასეთი ოპერატორული დახმარება თუმცა თავისუფალია იმ ურცყოფითი მხარეებიდან, რომელიც ზემოდ აღნიშნულია urethrotomia interni-ს შესახებ, მაგრამ არც ის იძლევა სრულ განკურნებას, ვინაიდან ძველი და ახალი ნაწიბურები სულ მოკლე დროს განმავლობაში კატეტერის ამოლების შემდეგ ახლად ვიწროვდება. ვინაიდან აღნიშნულ მეთოდების საშვალებით მიზანს არ იქნა მიღწეული, ზოგიერთ დასტაქებებმა მიმართეს სტრიკტურის ნაწარმოების შესაწრუტავად „ელექტროლიზზ“. მაგალითად Neumann-ს მოჰყავს სტრიკტურების 175 შემთხვევა, სადაც მას ასეთი წამლობა გაუტარებია და კარგი შედეგი მიუღია. რუსეთში ამ მეთოდს ხმარობდა Холццов-ი (1902 წელს). გან აღწერა 22 შემთხვევა და ზოგჯერ თუ წამლობა ბოლომდის ტარდებოდა, დროებით დამაკმაყოფილებელი შედეგსაც იღებდა. მაინც ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მეთოდმა საქმარისი ყურადღება ვერ დაიმსახურა და დღეს საცხებით მივიწყებულია. თუ მოვიგონებთ და გავითვალისწინებთ ყველა ზემო აღნიშნულ მეთოდებს, რობლებიც შემოლებულია შარდსადინარის შევიწროების გასაფაროთოებლად, სრულიად სამართლიანად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ნამდვილი რადიკალურ საშუალებად უნდა ჩაითვალოს ბოლოდ urethrotomia ex. cum resectio stricturae, რასაც თან უნდა დაერთოს შარდსადინარის დარჩენილ ნორმალურ ნაწილების ერთიმეორესთან პირდაპირი შეერთებაც.

1836 წელს Dugas-მა პირველად ამოკვეთა შარდსადინარის ნაწიბურები მხოლოდ მას შარდსადინარზე ნაკერი არ უხმარია. მის შემდეგ ასეთივე ცდები დააყენა Roux (1859 წელს), Bourguet (1851 წ.) Voillomier (1868 წ.) და სხვებმა. მხოლოდ მას შემდეგ რაც ქირურგიაში გამეფდა ჭრილობის წამლობის Lister-ის პრინციპი, საკითხიც შესახებ შევიწროების ამოკვეთის და შარდსადინარის ნაწილების ნაკერებით შეერთებისა ახალ გზაზე დადგა. König-მა, Molliere-მა და Heusner-მა პირველად იხმარეს სტრიკტურების ამოკვეთის შემდეგ შარდსადინარზე ნაკერის დადება. ამ დღიდან ამ მეთოდმა მიიღო მოქალაქობრივი უფლება. იქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის დამუშავებაში ყველაზე უმეტესი ლვაწანაშედროვე მედიცინა № 6-7. 1925.



ლი მიუძღვის ფრანგების დასტაქრებს და განსაკუთრებით Lyon-ის სკოლას. მიუხედავად იმისა რომ ეს საკითხი ამჟამად უკვე არის ფართოდ დამუშავებული, დღესაც ნახავთ ზოგიერთ არც ისე ძეველ სახელმძღვანელოებს, რომელთ ავტორები მეტად სკეპტიკურად უყურებენ ამ მეთოდს (Casper). ამის მიზეზია წშირი რეციდივები, რომელიც შემჩნეულია ამ ოპერაციის შემდეგაც, და რომლებიც გამოწვეულია სხვათაშორის დაჩირქებით ჭრილობაზე შარდის ზეგავლენის გამო. 1829 წელს Diffenbach-მა პირველმა გამოსთქვა აზრი, რომ შარდს, ოპერაციის დროს, საჭიროა მიეცეს სხვა გზა.

Ricord, Segalas, Goyrand, Lane, Stromeyer, Arlaud, Nélaton-მა და სხვებმა შრავალი ცდებით დამტკიცეს ეს აზრი. Segallas-მა, შემდეგ Dittel-მა წამოაყენეს საკითხი ამ მიზნით შარდის ბუშტის პუნქტის ხმარების შესახებ; მაგრამ ამ საკითხმა გამოიწვია დიდი წინააღმდეგობა და თითქმის დაცინვაც, სხვათა შორის Dittenbach-ისაგანაც.

Fuller-მა გამუქა ერთი შემთხვევა როდესაც შარდსაღინარის ფისტულით დაავადებას ქონდა იდგილი შორისის არეში. შორისის არე დიდი ინფილტრაციას განიცდილა, ასე რომ მან ეს სიმსივნე ავთვისებიან ხორციელი ჩათვალა. მან შარდს მისცა შარდის ბუშტილან ხელოვნური გზა და ავადმყოფი სახლში გაუშვა; სამი თვის შემდეგ კვლავ ინახული ის და ნახა, რომ „ავთვისების ხორციელი“ და ფისტულა სრულებით გამჭრალიყო და ავადმყოფი განკურნებულა.

ასეთი და სხვა ამგვარი მაგალითებით Rochet იმ დასკვნამდე მიერიდა, რომ აუცილებლაღ urethrotomi-ის დროს შარდისთვის ხელოვნური გზა მიეცა და ამგვრად ჭრილობა საუკეთესო პირობებში ჩაუყინა, ვიდრო ის არ შეხორცდებოდა; მან კარგად იცოდა, რომ შარდი აფერხებს ჭრილობის შეხორცებას. Rochet-მა პირველად მოიყვანა 2 შემთხვევა, როდესაც მას გაუკეთებია Urethrotomia extera, შარდისთვის მიუცია ხელოვნური გზა და ორივე შემთხვევაში კარგი შედეგი მიუღია. ეს პირველი Rochet-ის მოხსენება თითქმის უყურადღებოდ დარჩა. 1901 წელს ფრანგების დასტაქართა სხდომაზე მან ხელმეორედ გააკეთა მოხსენება, სადაც მას მოჰყავს 12 ასეთივე შემთხვევა და ხელის გამოაქვეყნა ფრიად იშვიათი და საუკეთესო შედეგები. ასეთივე მოხსენება მან გააკეთა 1905 წ. Lyon-ის დასტაქართა საზოგადოებაში და აღნიშნა შარდსაღინარის შევიწროების ამოკვეთის ტეხნიკური მხარეების გარდა, აუცილებლობა შარდისთვის ხელოვნური გზის მიცემისა. Rochet-მა ამნაირად პირველმა დაუკავშირა შარდსაღინარის ნაწიბურების ამოკვეთა და ჭრილობის per primam შეხორცება შარდის ღრმებით გზით გადაყვანას. შემდეგ Rochet-ის მოხსენებისა გამოქვეყნებული იქმნა ამგვარი შრომები Cobot-ის, Marion-ის, Heitz—Boyer-ის, Posquereau-ის, დეირე-სი ხოლციო-ის, და სხვების, სადაც აღნიშნული შარდსაღინარის პლასტიკის დროს შარდის ხელოვნური გზის გადაყვანა. აღნიშნული ავტორები დიდ ზნიშვნელობას აქუთვნებენ ამ შეერთებულ მეთოდს, ვინაიდან რეზინის კატეტერი a'deimeure და შარდი ხელს უშლის და აუერხებს შარდსაღინარის ჭრილობის შეხორცებას. მიუხედავად იმისა დღესაც შეხვდებით საუკეთესო სახელმძღვანელოებს, მაგალითად: Albaran, Barekhart, Legueu და სხვებს სადაც შარდსაღინარის დეფექტების ოპერატიული დახმარების დროს, შარდის ხელოვნური

გზით გადაყვანაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი; ასე რომ ყველასთვის ეს შეერთებული მეთოდი აუცილებელ საჭიროებას დღესაც არ წარმოადგენს. Albaran-i დღესაც ხმარობს კატეტერს a'demeure, რომელსაც ტოვებს შარდსალინარში 5—7 დღემდე და შემდეგ ბუჟების საშალებით წამლობს.

რუსების დასტატერებში ხოლცო-ი 1906 წლიდან ხმარობს აღნიშნული მეთოდს: მას შარდი გადაყვს $1\frac{1}{2}$ —2 სანტიმეტრის მანძილზე შევიწროების ზევით, ატარებს შიგ კატეტერს, უერთებს შარდის ბუშტს და ამაგრებს მას ნაკერით ჭრილობის ნაპირებზე, შემდეგ ამოკვეთს შარდსალინარის შემავიწროებელ ნაწილებს, აერთებს დანარჩენ ცენტრალურ და პერიფერიულ ნაწილებს "კეტ-გუტით" და სათანადო ნაკერით ხურავს ჭრილობას ყრუთ. შარდსალინარში რეზინის კატეტერს სრულიად არ ხმარობს, მხოლოდ სინჯავს კატეტერით შარდსალინარის ნაკერის არეს სამი ოთხი კვირის შემდეგ. ხოლცო-ი აგრეთვე ძლიერ იშვიათ შემთხვევებში მიმართავს პირდაპირ შარდის ბუშტიდან შარდის გადაყვანას.

მოვიყვანეთ რა მოკლედ ლიტერატურული ცნობები შარდსალინარის შევიწროების და მათი ოპერატიული დახმარების შესახებ, გადაუდივართ ჩვენი კლინიკის მასალებზე. ჩვენ კლინიკაში უკანასკენელ 5 წლის განმავლობაში 36 შემთხვევა იყო შარდსალინარის შევიწროების; მათში 7 შემთხვევა გატარდა მარტო ბუჟების საშუალებით, 27 შემთხვევაში გაკეთებული იყო urethrotomia ext. ნაწილურების ამოკვეთით; შარდსალინარში ამავე დროს ტარდებოდა რეზინის კატეტერი, იმის და მიხედვით თუ რა ხასიათს მიიღებდა ჭრილობა, რეზინის კატეტერი რჩებოდა შიგ 1—5 კვირამდე. 2 შემთხვევაში გატარებული იყო Rochet-ის მეთოდით, სადაც შარდს ქონდა მიცუმული ხელოვნური გზა პირდაპირ შარდის ბუშტიდან. ამ ორ შემთხვევაში ერთი იყო ფრიად რთული შემთხვევა: ავალმყოფს ქონდა ფისტულა შარდსალინარის დივერტიკული მღვიმოვან ნაწილში რის გამო მას 2 წლის განმავლობაში ქონდა გაკეთებული 10 ოპერაცია, მაგრამ ფისტულა მაინც არ დაიხურა ვიდრე არ დათანხმდა შარდისათვის ხელოვნური გზა მიგვეცა უშესალოდ შარდის ბუშტიდან, რის შემდეგ ავადმყოფი 3 კვირის განმავლობაში განკურნებული გაიწერა.

ჩვენი კლინიკის მასალა, ოოგორც ზევით აღვნიშნეთ, განისაზღვრება 36 შემთხვევით, მათში: 1) 29 შემთხვევა არის განვითარებული სუსუნატის ნიადაგზე, რომელიც უდრის 81% . 2) ტრაუმატიული 3 შემთხვევა ე. ი. 8% . 3) ოთხ შემთხვევაში ეთოოლოგია არ არის აღნიშნული, 4) შევიწროება ბოლქვიან ნაწილში 28 შემთხვევა, რომელიც შეადგენს 80% , 5) შევიწროება აბკისებრი ნაწილისა 5 შემთხვევა, ე. ი. 16% , 6) მღვიმოვან ნაწილში 3 შემთხვევა ე. ი. 8% , 7) ოციდივი — 11 შემთხვევაში, რომელიც შეადგენს 40% . აქედან აშეარად სჩანს, რომ რეციდივების პროცენტი დიდია და უნდა მივაწეროთ იმ მეთოდს, რომელსაც ჩვენ ვხმარობდით დღემდის ე. ი. urethrotomia ext.-ის დროს კატეტერი a'demeure შარდსალინარში გატარებას, როგორც წინეთ გაკვრით აღვჩიშნეთ, კატეტერი a'demeure თითქმის ხშირად აღიზიანებს შარდსალინარს და უმეტეს ნაწილად იმ მიზამოს, სადაც ნაკერი არის დადებული. ასეთი გაღიზიადინარის ხეკროზიც ჭრილობის არეში.

ՀԱՅ	ՏՐԱՆԳՐԱԿԱ	ՑԵՎՈՐԻՇՐՈՅՔԸ ՈՒ ԳԱՄՈՆՑՎԵՐՈ ՑՈՒՑԵՐԻ	ՀԱ ԲԱՇԻԼԾԻՆ ՑԵՎ ՈՐԻՇՐՈՅՔԸ	ՑԵՎԸ ԱՎ ՏՐԱՆԳՐԱԿԱ	ՕՖԵՐԱԿՐԱ	Ց Ե Վ Ե Ց Ց Ե Ծ Ը	
						ՑԱԽԸՆԸ	ՐԱՄՈՆՑՎԵՐԸ ՑԵՎԸ
8 թ.	Թոշակց	Ծրացեա Սլսունարո	ծողվյան նախոլո	Կարմի. հաշ. a'dem.	urethrotomia ext.	ՑՀՀ № 30 Benique	—
28 "	Թոշակց	Սլսունարո	"	Կարմի. —	ծցցցօն	№ № 42—46	—
37 "	Թոշակց	Սլսունարո	"	Կարմի. հաշ. a'dem.	urethrotomia ext.	№ № 45—50	2 թ. ՑԵ. № 48
32 "	Թոշակց	Սլսունարո	ավաստից նախոլո	"	բայցընոն ամոֆա	№ 50	—
60 "	Թոշակց	Սլսունարո	ավաստից նախոլո	հաշ. Կարմի. a'dem.	urethrotomia ext.	ցուսրուն	—
17 "	Թոշակց	Սլսունարո	մլզոմոցանո	"	ծցցցօն	№ № 40	—
60 "	Թոշակց	Սլսունարո	մլզոմոցանո	հաշ. Կարմի. a'dem.	urethrotomia ext.	№ 42	—
60 "	Թոշակց	Սլսունարո	գուսլուն	"	ծցցցօն	№ 48	6 տաս ՑԵ. հացուղ.
34 "	—	—	—	—	abs.	ցուսրուն	—
45 "	—	—	—	—	—	№ 56	6 տ. ՑԵ. № 48—52
30 "	Թոշակց	Սլսունարո	—	հաշ. Կարմի. a'dem.	urethrotomia ext.	№ 50	—
60 "	Թոշակց	Սլսունարո	—	—	—	ցուսրուն	—
59 "	—	—	—	—	—	№ 52	—
40 "	Թոշակց	—	—	—	—	ցուսրուն	—
42 "	Թանընարո	—	մլզոմոցանո	—	—	№ 50	—
օգոստ	—	—	—	սեղող. քնա sec. alta	—	№ 48	7 տաս ՑԵ. № 48
60 թ.	—	—	ծողվյա	—	ծցցօն	ցուսրուն № 50	1 թ. ՑԵմազ օգոստ
46 "	Թոշակց	Սլսունարո	ավաստից նախոլո	հաշ. Կար. a'dem.	urethrotomia ext.	№ 38	—
50 "	?	—	ավաստից նախոլո	—	ծցցցօն	№ 40	—
11 "	—	—	ծողվյանո	հաշ. Կար. a'dem.	urethrotomia ext.	ցուսրուն	—
27 "	Թոշակց	Սլսունարո	—	—	ծցցօն	№ № 40—42	—
65 "	—	—	—	—	—	№ 48—50	! թ. ՑԵ. հացուղու
52 "	—	—	—	—	—	ցուսրուն	—
26 "	Թոշակց	Ծրացեա	ավաստից նախոլո	Կարմի. a'demeure	urethrotomia ext.	№ 50	2 թ. ՑԵմազ № 26
70 "	Գայուն	Սլսունարո	ծողվյանո	"	—	ցուսրուն	—
45 "	Թոշակց	Սլսունարո	—	—	—	№ 52	—
60 "	Թոշակց	Սլսունարո	—	շ. սեղ քնա sec. alta	urethrotomia ext.	№ № 48—50	—
26 "	Թոշակց	Սլսունարո	—	—	ծցցցօն	№ 52	—
60 "	Թոշակց	Սլսունարո	—	Կար. a'demeure	urethrotomia ext.	№ 46	2 թ. ՑԵ. հացուղու
70 "	Թոշակց	Սլսունարո	—	—	ծցցօն	ցուսրուն	—
40 "	—	—	ծող. նախ. գուսր.	Կար. a'demeure	urethrotomia ext.	ցուսրուն	—
70 "	Թոշակց	Սլսունարո	ավաստից նախոլո	"	—	ցուսրուն	—
40 "	—	—	ծողվյանո	—	—	№ 52	—
37 "	Գայուն	Սլսունարո	ծողվյանո	—	—	№ 48	6 տ. ՑԵ. հացուղու
55 "	Գայուն	Սլսունարո	—	—	—	№ 50	8 տ. ՑԵ. հացուղու

კატეტერს a'demeure-თი ეპარება შარდი, რომელიც ცუდად მოქმედობს ჭრილობაზე არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც შარდი ჩირქიანია, არამედ მაშინაც, როდესაც ის ასეპტიურია. თუ შარდსადინარის დეფეკტი დიდია და ნაკერით მათი შეერთების შემდეგ დაეროო დაჩირქება და მით უმეტეს განგრენა, შეერთებული შარდსადინარის ნაწილები ერთი მეორეს უფრო დიდ მანძილზე დაშორდებიან, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი ოპერაციის წინ. ასეთ შემთხვევაში, ეჭვს გარეშეა, ჭრილობა თუმც, რომ გრანულაციით დაიხუროს შარდსადინარის შევიწროება აუცილებელ გართულებას წარმოადგენს და განმეორებითი ოპერაცია საქმის გამოსაკვთებლად უფრო რთული და ძნელი ხდება. რომ ასეთი ხითათი თავიდან ავიშოროთ და ჭრილობის შეხორცება საუკეთესო პირობებში ჩავაყენოთ, ასეთი ოპერაციის დროს საჭიროა შარდს მიუკეთ ხელოვნური გზა. ეს დებულება, რომ საფუძვლიანია ამას გვიმტკიცებს როგორც კლიოფერ-ის, აგრეთვე ჩვენი კლინიკის მასალის სტატისტიკა.

Кლიფე:

ოპერ.	urethrotomia ex.	კატ. a'demeur.	8	შემთ.	რეციდ.	3	შემ.	უდრის	38%.
"	"	"	"	ხელოვნ.	გზა 19	"	"	O	O%.

ჩვენი კლინიკის სტატისტიკა:

ოპერ.	urethrot.	ex.	კატ.	a, demeure	27	შემთ.	რეც.	11	შემთ.	უდრის	40%.
"	"	*	ხელოვნური	გზა 2	"	"	"	O	"	O%	0%.

ზემო აღნიშნული ლიტერატურული ცნობებით და აგრეთვე ჩვენი კლინიკის მასალის მიხედვით ნებას ვაძლევ ჩემ თავს გამოვიტანო შემდეგად დასკვნა:

1) იმ ფორმებში, სადაც შარდსადინარის შევიწროება აუცილებლად საჭიროებს ოპერატიულ დახმარებას, უპირატესობა ყველა მეთოდებს შორის უნდა მიენიჭოს urethrotomia exther.-ს ნაწილურების ამოკეთით—შარდის ხელოვნური გზა.

2) Urethrotomia ext. კატეტერით a'demeure შეიძლება იყოს მიღებული, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შარდსადინარის შევიწროება არის მარტო ზორისის არეში და არ აღემატება 1—2 სანტიმეტრს.

3) შარდის ხელოვნური გზის მიცემა უფრო მიზანშეწონილია პირდაპირ შარდის ბუშტიდან, ვიდრე შარდსადინარის პროჭისიმალურ ნაწილიდან.

4) თუ ავადმყოფი ძლიერ მოხუცებულია და მასთან ძლიერ სუსტია, ოპერატიული დახმარება იშვიათად იძლევა სასურველ შედეგს.

ლიტერატურა.

- Burkhardt und Polano—Die untersuchungsmethode und Erkrankungen der männlichen und Weiblichen Harnorgane 1908.
- Sultan—Speziell Chirurgie 1923.
- Wullstein und Wilius. Lehrbuch der Chirurgie 1923.
- Дэирне—Оперативная урология.
- Guyon—Клиническая лекция о болезнях мочевых путей.
- Brugsch und Schittenhelm—Руководство Клиническим



методом исследования. 1921 г. 7) Kümmell—Хирургия муж. половых органов. 8) Casper—Энциклопедия практ. мед. Том. II. 9) Lejars—Хирур. помощь в неотлож. случаях, Т. II. 10) Михайлов—Диагностика мужских и женских половых органов. 11) Тихов—Частная хир. Том III. 12) Ключарев—Вопрос о пластике мужского мочевода—Хирургия, Т. XXX III. № 193. 13) Файн—Радикальное оперативное лечение стриктур мочеиспускательного канала. XV Съезд Рос. Хир. 1922 г. 14) Михайлов—О гоноройных стриктурах, ibid. 15) Михельсон—Хирургическое лечение стриктур мочеиспускательного канала, вызванных огнестрельными ранениями, ibid. 16) Воскресенский—Хирургия мочеиспускательного канала и проч. Рефер. Медиц. жур. 1921 г. 17) Михаринский—78-е заседание Росс. Урологического общества в Ленинграде 5 апр. 1922 г. 18) Хольцов—Коренное лечение мочеиспускательного канала изсечением суженной части его. Русс. врач. 1909 г. № 3—4. 19) Это же—Отведение моча, как необходимое условие успешного результата пластических операции мочеиспускательного протока и проч. Русс. врач. 1912 г. № 35. 20) Сидоренко—Об оперативном лечении о промежкостных губовидных свищах мочеиспускательного протока. Русс. врач. 1913 г. № 8 21) Клопфер—О результатах изсечения мочеиспускательного притока и о значении отведения моча при этой операции, Русс. врач. № 33. 1914 г. 22) ნათეშვილი— ადამიანის ნორმალური ანატომია. 1922 წ.

४. ४६५ ल १८८.

कल्यनिकास नवदिनांतरण.

EPIDIDYMITS GONORRHEICA-स GONO-VACCINA-मा ७१८- लॉडोस श्वेताखेडः*).

(साक्षेल्लियोग उन्निवेर्सिटीस कानिसा दा व्हेन्वेरियुल नेश्वलेदाता कल्यनिकिला).

वाक्यप्रिनिन्नतेरावा प्राप्ता निग्लिस्येलमा गामोक्टिनिलमा Wright-मा द्वाविद्यु-
श्वास तेवर्त्रियुलाद दा मिस त्राक्टिक्युलाद झारते गाव्हर्प्रेलेदास मिक्रोफो शा-
श्वुष्ट्वेलि राज्यारा.

ज्वार कीद्वे 1895 फ्रेल्स Denys-मा दा Leclef-मा श्वेताखेडः मिक्रोफो सान्नत्ये-
र्जसा त्वास्येदा द्वाक्तिस श्वासीस, रोमेलियुप योग इम्बुनियुरा स्त्रियुलेप्रोक्योस चौ-
न्नालम्भेव. अल्निश्वेल्लि श्वासी श्वेताखेडः त्रेव्वेलेदास लेव्वप्रियत्वेदेस; श्वासास्वेत्त-
लेदेमा द्विद्वा अक्टिव्वेदा गामोक्टिनेस, इसिना मिक्रोस द्वाव्वात्वेदात स्त्रियुलेम दा अन्नालग्नु-
लेदेव त्रियुलेप्रोक्योदेस इम श्वेताखेडः श्वेताखेडः, तजु स्त्रियुलेप्रोक्योस सान्निनालम्भेव
श्वासी तान्नदार्तत्वादि इन्नेदेव. असेत मोव्वेनास अर्क्केन्द्रा अद्विद्वा नोर्माल्युरा
श्वासी द्वारा.

1902 फ्रेल्स अम साक्षित्वेम भूम्बोद्वा Leishmann-०, श्वेताखेडः का Wright-० दा
Duglas-०, रोमेलेहमाच अल्मोक्टिनेस नोर्माल्युरा स्त्रियुल्लूमि गान्नास्वेताखेडेव
त्रेव्वेलादिल्ल्युरा निव्वतियेर्वेदा „त्रेस्वेन्निश्वेदेव“, रोमेलेदेव इल्लेदेव अस्व-
देव द्वारा दा इम्बेन्दाद अस्वेत्वेदेम द्वाक्टियेदेस, रोम श्वासास्वेलेम अद्विद्वाद
श्वेताखेडेव लेव्वप्रियत्वेदेव.

त्रेस्वेन्निश्वेदेव राम्भेन्देवास Wright-० अद्विद्वेस द्वाव्व श्वेताखेडेवास. मिसी अट-
रित श्वासाल्पत्वात झात्वेदा द्वारा ए. ए. रोम्पा त्रेस्वेन्निश्वेदेव अद्विद्वेव
त्रेव्वान्निश्वेदेव वाक्यप्रिन्निस श्वेत्वान्ना श्वेत्वेलेदेव इमित्रेम, रोम अम द्वारा त्रेव्वान्निश्वेदेव
अर्किस द्वास्वेत्वेदेव दा ज्वार श्वेत्वेलेदेव चिन्नाल्लेवेवास गाव्वेव श्वेत्वान्निल
श्वेत्वान्नी श्वेत्वान्ना श्वेत्वेलेवास निव्वतियेर्वेदेवास.

रात्र श्वेत्वेदेव द्वाव्वेदेव झात्वेदा ए. ए. रोम्पा त्रेस्वेन्निश्वेदेव अद्विद्वेव
माश्वेदेव, माश्वेदेव त्रेव्वान्निश्वेदेव श्वेत्वेदेव अन्त्रियेश्वेलेदेव अन्त्र त्रेस्वेन्निश्वेदेव दा
गाव्वेवान्न श्वेत्वान्ना द्वाव्वेव द्वाक्टियेर्वेदेवास अन वाक्यप्रिन्निस, रोमेलियुप त्रावेदेव श्वेत्वेदेव
श्वेत्वेदेव त्रेस्वेन्निश्वेदेव श्वेत्वेदेव, सासार्वगेदल्लो त्रेव्वान्निश्वेदेव इत्वेव
अमित्रेम—अम्भेन्देव त्रेव्वान्न. व्लोटोगोरोव-०, Wright-० त्रेव्वेलेवास वाक्यप्रिन्निस गाव्वेव-
र्वेदेव श्वेत्वान्नास माश्वेदेव, रोम्पा श्वासाल्पत्वात झात्वेदेव गाव्वेव अर्क श्वेत्वेलेव
मिव्वायेवास त्रेव्वान्निश्वेदेव त्रेव्वान्निश्वेदेव श्वेत्वेदेव.

अक्टिलान्न त्रेव्वान्नाद गामोम्भेन्देवान्नेवास इस, रोम एक्टियेम श्वेत्वेदेव अद्विद्वेव
निव्वेवास गामोक्युलेवा, चिन्नाल्लेव श्वेताखेडेवास श्वेत्वेलेव श्वेत्वेलेव
दा सार्वगेदल्लोदेव माश्वेदेव अव्वेव अव्वेव श्वेत्वेलेव श्वेत्वेलेव व्वेवास.

* रोम्पस्वेन्द्रा त्रेव्वेलेवास व्वेत्वेलेव श्वेत्वेदेव—५.II 1925 फ्रेल्स.

გავიდა რამდენიმე ხანი და Wright-ისა და მისი სკოლის თეორია გააკრიტიკეს და გასინჯეს როგორც კლინიკურად, ისე ლაბორატორიულად.

ოპსონური ინდექსის გამოკვლევამ შემდეგი სპეციალისტებისა და კლინიკისტების ხელში ვერ გაამართლა ის მნიშვნელობა, რომელსაც Wright-ი და მისი თანამშრომლები მას აწერდენ. თუმცა მეთოდი ოპსონური ინდექსის გამოკვლევისა ვრცლად და დაწვრილებით იყო დაძუშვებული, მაგრამ სხვადასხვა საიმედო და კარგი სპეციალისტების ხელში მუდამ იძლეოდა ერთი მეორის საწინააღმდეგო შედეგს.

Kolle ამას შესახებ ამბობს: „პრაქტიკული თვალსაზრისით ბაქტერიოთერაპიაში ოპსონური ინდექსის გამოკვლევა დღეს არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას მეთოდის სიძნელისა და შეუთანხმებელი შედეგების გამო“. თვით Wright-ის ასისტენტი Matheus-ი სწერს (1908 წელს). „ძალიან ადვილად შეიძლება ოპსონური ინდექსის გამოკვლევის აუხვიოთ გვერდი სტრეპტოკოკების, სტაფილოკოკების და გონოკოკების მიერ გამოწვეული გართულებათა წამლობის დროს“-ო.

აშკარაა, როგორი საჭიროება იყო სხვა გზის გამოძებნაში. აქ კლინიკაში გაუწია მეცნიერებას დიდი დახმარება. პირველმა დაამტკიცა, რომ ოპსონური ინდექსის გამოურკვევლად შეიძლება კარგი შედეგებით გავატაროთ ვაკცინოთერაპია.

მთელი რიგი ავტორებისა (Aronstan-ი, Ballinger-ი, Jack-ი, Michaelis-ი, Welde, Arikinkin-ი და სხვა) სთვლიან ოპსონურ ინდექსის გამოკვლევის აუცილებელ საჭიროდ რაციონალური და სიმედო ვაკცინოთოვანების თვალსაზრისით.

Reiter-ი ჯერ იყო მოშჩრე ინდექსის გარკვევისა, მაგრამ შემდეგ შრომაში ამ მეთოდს იხსენიებს, როგორც არა საიმედო მეთოდს და დასძენს: „ის მუდამ იძლევა ტენიკურ შეცდომას“-ო. Whitmouppi-ი, Меркуриев და Золбенбер-გი პირველად იყვნენ მომხრე ინდექსის გამორკვევისა, მაგრამ შემდეგში სამივე წინააღმდეგ წავიდენ.


აქ ჩვენ ვხედავთ ერთგვარ თანდათანობას. თუ ზოგიერთი ნაწილი ავტორებისა დარჩენ მომხრენი ამ მეთოდისა, მეორენი, იმავე დროს, გადუღდენ მას და შეჩერდენ კლინიკურ დაკვირვებებზე. „შემდეგში, — ამბობს პროფ. Фропищевი, ინდექსის გამორკვევის მოწინააღმდეგებთა ხმა გაძლიერდა და უმრავლესობა ავტორებისა დღეს დღეობით არის მოწინააღმდეგე ინდექსის გამორკვევის“-ო.

Citron-ი, Sligenberg-ი და სხვები არიან მოწინააღმდეგები ინდექსის გამორკვევისა. თავის აზრს ისინი იმით ხსნან, რომ ოპსონური ინდექსის მომატებას ან დამცირებას არ აქვს პირდაპირი დამოკიდებულება ივაღმყოფის მდგომარეობის გაუმჯობესობასთან ან გართულებასთან. Thomas-ი პირდაპირ აცხადებს, რომ ოპსონურ ინდექს მივყენართ ყალბ შედეგებამდისო.

Rovsing-ის აზრით მეთოდი იძლევა 20% შეცდომას.

Вербов-მა და Дебская მ უარყვეს ინდექსის გამორკვევა არეული შედეგების მიღების გამო.

Теребинская-Попов-მა იხმარა 13 შემთხვევაში გონოვაკუინა ოპსონური ინდექსის ხელმძღვანელობით და ვერ მიიღო ვერც ერთ შემთხვევაში გამომრთელება.



თითქმის ფრონშტეინ-იც წინააღმდეგია ინდექსის გამორკვევისა. ის ამბობს: „უგარდა ტენიკური შეცდომებისა, რომლის თავიდან აცილება არის ძალიან ძნელი, ასეუბობს კიდევ მრავალი წყარო შეცდომებისა, რომელიც მუდაშ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში“. მხოლოდ ცირენსკის-ის აზრით Wright-ის ტენიკა არის მრავალ უცნობის შეფარდება.

ყოველივე ზემოდ ნათქვანიდან სჩანს, რომ უმრავლესობა ავტორებისა არიან წინააღმდეგი ოპსონური ინდექსის გამორკვევისა ვაქცინოთერაპიაში ეჭიმის ყოველდღიური მოღვაწეობის დროს.

„გონოვაქცინის ხმარების დროს ჩვენ უნდა ვცდილობდეთ გავაუმჯობესოთ სისხლის მიმოსვლა და ამით ხელი შევუწყოთ სისხლთან ერთად ანტისხეულების გამრავლებას დაზიანებულ ორგანოში“-ო, ამბობს ფრონშტეინ-ი. ამ მიზნით ხმარობებ სითბოს, Bier-ის ჰიპერემიას, სხვადასხვა გამაღიზიანებელ ნივთიერებას და სხვა.

ფრონშტეინ-ი უკანასკნელ შრომაში (1920 წ.) მომხრეა სითბოსი და კატეგორიულად აცხადებს: „ადგილობრივ სიცივე ან ყინვა ვაქცინოთერაპიის დროს დაუშვებელია“-ო.

Граменецкий-ს მოყავს მაგალითი, როცა ორმოცი წლის კაცმა (ქრონიკული გონიტი სუსუნატის ნიადაგზე) ვერ შეამჩნია გაუმჯობესება მარტო გონოვაქცინით; ეს შემთხვევა აიხსნება იმით, რომ სახსარში არსებული სისხლის მიმოსვლა შეწებების გამო იყო შეკვეცილი; ამიტომ ანტისხეულების რაოდენობა არ იყო საკმაო ტოქსინების ნეიტრალიზაციისათვის. Bier-ის ჰიპერემიამ გააუმჯობესა სისხლის მიმოქცევა, მოუმატა რიცხვი ანტისხეულებისა და გამოიწვია გამრთელება.

Saynisch-ი ხმარობდა Epididymitis დროს ადგილობრივ ყინვას და ყოველთვის დანამატში რჩებოდა მაგარი ინფილტრატი.

Simon-ი იმავე epididymitis-ის დროს ხმარობდა გონოვაქცინას და სითბოს და ლებულობდა მშვენიერ შედევებს ინფლიტრატის სრული გაქრობით. მან დაუნიშნა ერთსა და იმავე ავაღმყოფს ლოგინში წოლა და ყინვა. ამ დროს გაუსივდა მეორე დანამატი, რომლის წამლობა მან დაიწყო გონოვაქცინითა და სითბოთი. წამლობა და ინფილტრატი. პირველი დანამატისა დიდი ხნით გაგრძელდა, მაშინ როდესაც გამომრთელება მეორე დანამატისა სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ.

სრულიად წინააღმდეგი აზრის არის ხოლცივ-ი. ის ამბობს: „ჩემის დაკვირვებით ყინვის ხმარების დროს ძალიან იშვიათად რჩება სიმაგრე და უკანასკნელი არის უფრო ნაკლებად გამოხატული, ვიდრე სითბოს ხმარების დროს. ამასთანავე უმრავლესობა ავაღმყოფებისა ვერ იტანს სითბოს, რომელიც არ იწვევს ტკივილების დაკლებას; პირიქით სითბო აძლიერებს ტკივილს. ავაღმყოფებს ძალიან კარგად გადააქვთ სიცივე ანუ ყინვა; რომელიც იწვევს ტკივილების მოფუნებას და დაკლებას“-ო. და შემდეგ განაგრძობს: „როცა მწვავე მოვლენები ყინვის საშუალებით დაიკლებენ ან სრულიად გაქრებიან, შეიძლება დაუნიშნოთ სითბო; მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სითბოს ზეგავლენით ანთებით პროცესი კვლავ განახლდება და მაშინ იძულებული ვართ განმეორებით დაუნიშნოთ ყინვა“-ო.

Zieler-ი ურჩებს სათბურ კომპრესს ან ცხელ სველ სადებს და წინააღმდეგია ყანვისა, რომელიც, მისი აზრით, მავნებელია და აბრკოლებს ინფილტრატის შეწოვანს.

ნატევამილან ცხალია, რომ აზრი ავტორებისა სიცივისა და სითბოს ხმა-
რების შესახებ ძალიან განხსნავდება ერთიმეორისაგან.

ინექციისათვის მიჩნეული არის კანქვეშა ცხიმი, კუნთებ შეა არე დუნ-დულებში და ვენა. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ადგილი სჯობია ინექ-ციისათვის, დღემდის გადაუჭრელია.

თვით Wright-ი უპირატესობას აძლევს კანქვეშა მეთოდს ზურგზე ბეჭებ შორის; Финкелшtein-ი მუცლის კანქვეშა ცხის; Bruck-ი დუნდულებს; Штейн-berg-ი ამჯობინებს ბარძაყის ზედა ნაწილს (შიგნითა ზედაპირს).

Reiter-ი ურქევს არ გააკეთონ ინიექტია მცლავში ან წინა ძნარში იმიტომ, რომ აქტიური მოძრაობაა ვაღმყოფს მიაყენებს ტკივილებს; მისი აზრით უფრო კარგია მუცლის კანქვეშა ცხიმი.

Neisser-ის დავალებით Bruck-მა პირველად იხმარა ვაქცინა ვენაში. შესხმა ვაქცინისა სწარმოებს იმავე წესით, როგორც Ehrlich-ის პრეპარატებისა („606“, „914“). ამ მეთოდის მომხრენი (Frank, Topolansky) მივიღენ იმ დასკვნამდე, რომ ამჯობინეს ინტრავენოზური გზა, ვიდრო კანკეკვეშა ან კუნთებზე უძა.

ვაქცინის კანქეც ინიექციის დროს მუდამ ნახულობდენ ადგილობრივ შე-შუპებას და სიწითლეს; იმას თან ერთოდა გრძნობა სიკეთისა და ქავილი.

Asch-ის შემთხვევაში შეშუბება მტკიცნეული იყო, სივდებოდა იღლიას ჯირყვლები და t^0 -აც აღიოდა 40% .-მდე. იმვე ავტორის აზრით კუნთებში გაკეთებულმა ინიექციამ გამოიწვია მხოლოდ ოდნავი ადგილობრივი რეაქცია.

Klause ՀԱՐ ԲՈՂԵՐԸ ԾԿԱ ԿԱՆՔՎԵՇԻ ՄԵԴԱԼՈՒՍԱ, ՄԵԴԱԳ ԿՈ ՑԱԾՎՈՒԾԱ ԿՄՆ-
ԵՑՑ ՑՈՐՈՒՍ ԾՆՈՅՔՎԱԾԵ.

რაც შეეხება ინტრავენოზურ მეთოდს, აქ მოწინაღმდევებს მოყავთ უფრო თვალსაჩინო დებულებანი. Mosos-ი და Volk-ი ვერ ნახულობენ ინტრავენოზური მეთოდის უპირატესობას სხვა დანარჩენ მეთოდთან იმიტომ, რომ შედეგი ყველგან ერთია, შესლოდ საფრთხე ავალმყოფისათვის უფრო შეტია პირველი მეთოდის დროს (ინტრავენოზური).

Asch-ი წინააღმდეგია ინტრავენოზური შეთოლისა, იმიტომ, რომ უკცრივი აქვთ t^0 -ისა ძალიან ართვლებს ავალყოფის მრავმარეობას.

Hamburger-ის დაკვირვებით ინტრავენოზური ინიექცია ვაქცინისა იწვევს თვეს ტენის, t^0 39°—40°-მდე, ციგბას, პირისლებას, გულის ცემას, მცირე და რბილ პულს და t^0 მოულოდნელ დავარდნა 35°-მდე.

ამრიგად ლიტერატურის მიხედვით უპირატესობა უნდა მიენიჭოს ჩამოთვლილ სამ მეთოდში კანქეშა და ინტერმუსკულარულ მეთოდს—ვაქცინოთერაპიის დროს.

გონოვაქცინის დოზისა და ინიექციის რიცხვის შესახებ არსებობს იმდენი აზრი, რამდენიც ავტორია, რომლებიც მას ხმარობენ.

მინიმალური დოზა სხვადასხვა იგტორებისათვის არის 500,000-დან დაწყებული ერთ მილიარდამდე, მხოლოდ მაქსიმალური კი 5 მილიონიდან დაწყებული 10 მილიარდამდე. ვაქცინის დამზადებისა და მისი ხარისხისაგან არის დამოკიდებული როგორც თერაპევტიული ეფექტი, ისე რეაქცია. ამიტომ საჭიროა დიდი სიფრთხილე უპრობი ვაქცინის ხმარების დროს.

ყველასათვის ცხადია, რომ ვაქცინის შეშხაპუნების შემდეგ დაიწყება სხვადასხვა ფორმის რეაქცია: ბუდობრივი, ტემპერატურული, ალგილობრივი და ზოგადი.

იბადება საკითხი საჭიროა თუ არა ავაცდინოთ ავადმყოფი ბუდობრივსა და ტემპერატურულ (ზოგადს) რეაქციას?

წინააღმდეგ Wright-ისა, Bruckი მომხრე იყო ბუდობრივი და ზოგადი რეაქციისა იმიტომ, რომ მისი აზრით რეაქცია არის შედეგი ანტისეულების მომატებული პროდუქციისა ორგანიზმში. Reiter-ს უკავია საშუალო ადგილი ამ ორ აზრთა შორის. ის ფიქრობს, რომ მკაფიოდ გამოხატული რეაქცია არის მავნებელი ორგანიზმისათვის. ხოლცის-ი წინააღმდეგია რეაქციის; ამიტომ ის ინიექციას იწყებს პატარა დოზიდან და თუ ამ უკანასკნელს რეაქცია არ მოყვა, მაშინ უძინებს დოზას. იმ შემთხვევაში, როცა პირველად ალგილო დოზა რეაქციას იწვევს ხოლცის-ი მეორედ იმავე დოზას იღებს და მას უძინებს მაშინ, როცა ორგანიზმი აღნიშნულ დოზას აღარ უპასუხებს რეაქციით.

Фромштейნ-ის აზრით ბუდობრივი და ტემპერატურული რეაქცია უნდა გამოჩნდეს, რომ მივიღოთ კარგი შედეგი. „ბუდობრივი რეაქცია,—ამბობს ის,— არის ფიზიოლოგიური რეაქცია, რომელიც უნდა გაჩნდეს ინიექციის შემდეგ. თუ ის არ გაჩნდა, მაშინ ჩვენ გვაქვს საქმე შემდეგი ერთ-ერთ ფაქტორთაგანთან: ან დოზა იყო პატარა, ან და ორგანიზმა ვერ უპასუხა შეშხაპუნებულ ანტიგენს, ან კიდევ ანტიგენმა ვერ მიატანა დასწეულებულ ბუდებულებულ“.—ო. ამ მოსაზრებით ავტორი თხოულობს დასწეულებული ორგანო ჩაყენებულ იქნეს ისეთ პირობებში, რომ სისხლის მიმოქცევის კარგად წარმოება ხელს უწყობდეს ბუდობრივი რეაქციის გამოჩენას. Reiter-ი და Wolfson ი ამბობენ: „ბუდობრივი რეაქცია გვაძლევს საშვალებას ვიქონიოთ იმედი თერაპიის კარგ შედეგზე“.

ამრიგად ლიტერატურის მიხედვით უმრავლესობა ავტორებისა სთვლიან ორგანიზმისათვის სასარგებლოდ, ყოველ შემთხვევაში, ბუდობრივი რეაქციის გამოჩენას.

t^0 აწევა, მოქანცულობის გრძნობა, თავის ტკივილი, ზოგადი სისუსტი, მოღუნება, ძილიანობა და სხვა შეაღვენს. სიმპტომის ზოგადი რეაქციისას, მაგრამ



მრავალი ავტორი და მათ შორის პროფ. ფრონშტეინიც, სამართლიანად კონკურსის კანკურსის ზოგადი რეაქციის დანარჩენი სიმპტომებისა-გან იმიტომ, რომ ხშირად ნახულობენ ისინი ტემპერატურულ რეაქციას განსა-კუთრებულად, როცა ზოგადი რეაქცია არ არსებობს და წინააღმდეგ.

ტემპერატურული რეაქცია ჩვეულებრივად განხდება ხოლმე 4—6 საათის შემდეგ კანკურსი ან კუნთებ შორის ვაქციის შეშხაპუნებისას და 12—36 საა-თის შემდეგ დაიწევს ნორმამდე.

Schindler-ი ფიქრობს, რომ ტემპერატურული რეაქცია არის სიმპტომი ორგანიზმის უჯრედების მომატებული მოქმედებისა.

Simon-ის აზრით, თუ ტემპერატურული რეაქცია არ გამოჩნდა, მაშინ აქაც თერაპევტიული ეფექტი შეშხაპუნებული ვაქციისაგან არის მოსალოდნელი. Bruck-ის, Solbert-ის, Меркуриев-ის და სხვების დაკვირვებით რამდენად მაღა-ლია t° ინიექციის შემდეგ, მით უფრო კარგია ვაქციითორაპიის შედეგიც. M. Sezary ამბობს: „საჭიროა განმეორება ვაქციის ინიექციისა აღმატებითი დოზით, რომელმაც უსათუოდ უნდა გამოიწვიოს t° აწევა 38—39°-მდე, წინა-აღმდეგ შემთხვევაში მოქმედება ვაქციისა იქნება სუსტი“-ო. ილნიშნულ და-კვირვებას არ ეთანხმება ფრონშტეინ-ი. მან საუკეთესო შედეგები მიიღო იქ, სადაც ვაქციითორაპია ჩატარა t° -ის აუწევლად. მაშინ კი, როცა ორგანიზმი უპასუხებდა ხოლმე გონოვაქციის პატარა დოზას მკაფიოდ გამოხატული სიც-ხით, შედეგი ყოველთვის არ იყო სასურველი.

ადგილობრივი რეაქცია იწყება ხშირად ინიექციის 5—6 საათის შემდეგ და ხსიათდება კანის სიწითლით, შეშუპებით, ტკივილებით და ქავილით. არა იშვიათია ისეთი შემთხვევაც, როცა შეშხაპუნებას თან ერთვის ინფილტრატი, რომელიც 3—4 კვირა არ ქრება.

თუ ვაქცინა შეტანილ იქნა ვენის გზით, მაშინ ადგილობრივ რეაქციის გამოჩნას ადგილი არა აქს; რაც შეეხება ინტერმუსკულიარულ შეშხაპუნებას, ის იწვევს ტკივილებს მხოლოდ ხელით შეხების დროს, წინააღმდეგ კანკურს შესხმისა, როცა ადგილობრივი რეაქციის ყველა სიმპტომები ჩნდებიან.

სპეციფიურია თუ არა ადგილობრივი რეაქცია? — ამ საკითხში ერთი აზრი არ არსებობს. მაგალითად Brandveini-ი და Hoch-ი მას სთვლიან არა სპეციფიუ-რად, ვინაიდან მას ნახულობენ ისინი არა სუსუნატის მიერ გამოწვეულ გართუ-ლების დროსაც. პირიქით Stenberg-მა ნახა ადგილობრივი რეაქცია მხოლოდ სუსუნატის შემთხვევებში.

ეს უთანმოება აისხება როგორც ინიექციის შეცდომით, ისე ვაქცინის დამზადების და დოზის ამორჩევის სხვადასხვაობით. ზოგადი რეაქცია ავტორთა უმრავლესობის აზრით იწყება ინიექციის 3—6 საათის შემდეგ და გრძელდება 12—18 საათი.

გართულების შესახებ გონოვაქციის შესხმის შემდეგ ლიტერატურაში ვნა-ხულობთ ძალიან ცოტა შემთხვევებს, ისიც ყოველთვის არ მიეწერება გონო-ვაქცინას.

მკაფიოდ გამოხატული ყოველგვარი რეაქცია ისტერიით (შემთხვევა Fischer-ისა) და ეპილეპსიით (შემთხვევა Foecler-ისა) დასწულებულისა არ შეიძლება



აიხსნას გონოვაქცინით ამ შემთხვევაში გონოვაქცინის და მის მიერ გამოწვეულ მაღალ ტემპერატურას შეეძლო ხელი შეეწყო ისტერიისა და ეპილეპსიის სიმპტომების მკაფიოდ გამოხატვაში.

Басилиев-ის შემთხვევა, სადაც ვითომც ნეფრიტი უნდა ყოფილიყოს გამოწვეული გონოვაქცინის მიერ, ფრონშტეინ ის აზრით არ შეეფერება სინმდვილეს; მისი აზრით, „იმავე დროს მიღებულ gonosan-ს, რომელიც იწვევს ნაწლევებისა და თირკმელების გაღიზიანებას, შეეძლო გამოეწვია ნეფრიტი“.

სამაგიეროდ გრამენცკია-მ ორჯერ ნახა გართულება თირკმელების მხრივ გონოვაქცინის ხმარების შემდეგ, რაც დამტკიცდა მით, რომ შარდში აღმოაჩინეს, ცილა და თირკმელის ეპიტელიუმი.

ანალოგიური შემთხვევა უნახავს Klause-ს.

საინტერესო არის გრამენცკია-ის ავადმყოფი, რომელიც იყო ავად არტრიტით (სუსუნატისაგან გამოწვეული) და ფილტვების ტუბერკულოზით. შეოთხე ინიექციის შემდეგ მას დაეწყო პირიდან სისხლის დენა.

Семенов-ი აღნიშნავს ფალარათობას ვაქცინინის შემდეგ, Яковлев-ი და Ясницკიან კი --ყაბზობას. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა გონოვაქცინის შემდეგ, კანზე გამოყრასაც ჰქონია ადგილი, Müller-ს უნახავს herpes labialis, Гершен-ს და Финкелшტეინ-ს ერიტემატოზული პარტახტი მთელ ტანზე, რომელიც იწვევდა ქავილს. Kensberg-ს ჰქონია შემთხვევა, როცა 15 ინიექციის შემდეგ ნანემსარის აღვილზე გაჩენილა პაპულები პატარა ბუშტუკებით ცენტრში, რომელიც მაღვე გამჭრალა.

აქ მოყვანილი ლიტერატურული მასალის მიხედვით არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თითქოს არსებობდეს მკაფიოდ გამოხატული სნეულებანი, როცა გონოვაქცინის ხმარება აკრაბალული უნდა იყოს. თუმცა ფრონშტეინ-ი მაინც ფიქრობს, რომ „ თუ ორგანიზმი დავადაფებულია ჭლექით, მაშინ გონოვაქცინის შეშხაპუნება უნდა აღიკრძალოს, თირკმელების დასნეულების დროს კი—საჭიროა გონოვაქცინის ხმარება დიდის სიფრთხილით“.

გონოვაქცინას ხმარობენ გონორეისა და მისი გართულების დროს. ავტორების დაკვირვებით ყველაზე უკეთესი შედევი გონოვაქცინამ მოიტანა epididymitis gonorrhoeica-ს წამლობის დროს.

ეპიდოდიმიტების დროს გონოვაქცინის ხმარებას აქვს სამი მიზანი: მოსპობა ტკივილებისა, გაქრობა დანამატის სიმსივნისა და დანამატის ადგენა aidintegrum იქ მოსაზრებით, რომ აღდგენილ იყოს გასავალი გზა სპერმატოზოიდებისათვის და მით მოსპობილი მომავალში მოსალოდნელი უშვილობა. რაც შეეხება პირველ საკითხს ე. ი. ტკივილების მოსპობას, აქ ავტორებმა თითქმის ერთნაირი შედევი მიიღეს: ტკივილები იკლებდა და ხანდახან სრულიად ქრებოდა რამდენიმე დღის შემდეგ ხშირად მეორე დღესაც.

Volfsen-ის აზრით ტკივილები უფრო მაღვე ნელდება ან სრულიად ქრება გონოვაქცინით, ვიდრე ანთების სხვა რომელიმე საწინააღმდეგო საშვალებით. ფრონშტეინ-ი სწერს: „მრავალი ავტორი გონოვაქცინას epididymitis დროს სთვლის ტკივილების მოსაღუნებელ საშუალებად“.



Herman-ის და Reili-ს აზრით ინფილტრატი ჩვეულებრივად იწყებს და-კლებას პირველი ინიციატივის შემდეგ. Somon-ს ჰქონია დაკვირვება, როცა 3—4 ინიციატივის შემდეგ ინფილტრატს დაუშუა დაკლება.

რაც შეეხება სათესლე გზების აღდგენას სპერმოტოზოიდის გასავლელად, ამის შესახებ ავტომობილი სხვადასხვა აზრის არიან. Foecler-ი ამბობს, რომ მას უნახავს ინფილტრატის სრული შეწოვნა 49 ავადმყოფთა შორის. 8 შემთხვევაში Klause-ს დაკვირვებით ინფილტრატი 30% გამჭრალა სრულებით, დანარჩენ შემთხვევებში კი ინფილტრატი დაპატარავებულა, მხოლოდ გაცილებით უფრო, ვაღრე ჩვეულებრივი წამლობის დროს ვევდებით.

Фронштейн-ს უნახავს ინფილტრატის სრული გაქრობა ეპიდიდიმიტების დროს გონოვაქციის ზეგავლენით 12-ჯერ, მხოლოდ კლინიკური განკურნება 22 შემთხვევაში 50 ავადმყოფთა შორის.

უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ანტისხეულებს, რომელიც ჩნდებიან სისხლში გონოვაქციის ზეგავლენით, აქვთ ერთგვარი სპეცი-ფიური თვისება; ამიტომ აუტოგენური (მონოვალენტური,) ვაქციით უნდა ვე-ლოდეთ უფრო კარგ შედეგებს.

ამას გარდა ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტსაც, რომ ერთი და იგივე ჯგუფის მიკრობები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ვირულენტობით, ბიოლო-გიური თვისებით და სხვა... ხელმძღვანელობენ რა ამ აზრით ზოგიერთი ავტო-რი (Hollen-ი, Reiter-ი, Allon-ი და სხვა) არის მომხრე აუტოგენური ვაქციისა. ცხადია, პრაქტიკულად ცხოვრებაში ამის გატარება ყოველთვის არ შეიძლება. რაც შეეხება ბიოლოგიურ თვისებას და მიკრობების ერთი მეორისაგან განსხვა-ვებას, რომელიც უნდა ვიქმნიოთ მხედველობაში ვაქციოთერაპიის დროს, უნდა ითქვას, რომ ამ თვისებების გავლენა ადვილად შეიძლება შევამციროთ, თუ პოლივალენტურ გონოვაქციისაში შედის მრავალი რიცხვი განხავებული გო-ნოკონკრეტული იყო. ამიტომ ვლითორის-ი ამბობს: „პოლივალენტურ ვაქციისა, რომე-ლიც იყიდება ბაზარზე, თამამად შეუძლია გასწიოს აუტოგაქციის მავიერობა“.

მნიშვნელოვანია ვაქციის დამზადების დროც. Wright-ის აზრით, ვაქცი-ნა შეიძლება დიდხანს იყოს შენახული უნებლად. Klause-ს აზრით კი ვაქცინა არ უნდა იყოს სამ თვეზე ძველი. ვლითორის-ი ადრე იყო მომხრე 2 თვის ვაქ-ციისა, ეხლა კი ეს ვადა მან გააგრძელა 6 თვემდე. Matheus-ი ლებულობდა კარგ შედეგებს ვაქცინით, რომელიც იყო თითქმის ერთი წლის დამზადებული.

აზრთა ამნაირ სხვადასხვაობას ფრონშტეინ-ი იმით ხსნის, რომ ავტომო-ბის უმეტესობა ხმარობდა ნაყიდ გონოვაქციის; ეს გარემოება არ აძლევდათ მათ საშვალებას შეედარებით მოქმედება ახალი და ძველი ვაქციისა.

ლიტერატურული მიმოხილვის შემდეგ ჩვენ გადავაღთ ჩვენი ავადმყოფების გარჩევაზე. ვაქცინოთერაპია ჩვენს კლინიკაში ჩატარებული იყო ამბულატო-რიულ ავადმყოფებზე. ყოველგვარ გართულებაზე, რომელსაც ადგილი შეიძლება ქმნოდა ვაქცინის შეტანის შემდეგ, ავადმყოფები წინასწარ გაფრთხილებულნი იყვნენ. გარდა ამისა, ჩვენი თხოვნა იყო, რომ მათ მეტის ყურადღებით მოქცე-ოდენ ვაქციის შემდეგ გამოჩენილ ყველა მოვლენებს და გართულებებს და არაფერი არ დაემალათ ჩვენთვის. 40 ავადმყოფიდან ჩვენ გასარჩევად გამოიყა-

ვით მხოლოდ 28, ჩაღვან მხოლოდ ამათ შეასრულეს ჩვენი მოთხოვნილება.

შველა ავადმყოფმა მიიღო პოლივანტური გონოვაქცინა, რომელიც იყო დამზადებული ს. ჯ. კ. ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში. თითო ამჟულა შეიცვდა 1 c. c. ვაქცინას ანუ 200 მილიონ დახოცილ გონოვაქცინას.

ჩვენ ვიხმარეთ ვაქცინა 2—4—6—8 თვისა და არავითარი განსხვავება თერაპევტიულ შედეგში არ გვინახავს. ამიტომ შაში ზოგიერთებისა, რომლებიც გონოვაქცინის ვადას საზღვრავდენ 2—4 თვით, არის გადაჭარბებული. საცვებით ვეთანხმებით ვლითოგორის-ს და მიგვაჩნია საუკეთესოდ 6 და 8 თვის გონოვაქცინა.

ვაქცინოთერაპიის დროს ჩვენ არ გვიწარმოებია ოპსონიური ინდექსის გამორჩევა. ვერაციოლდებოდით მხოლოდ კლინიკური მოვლენებით ე. ი. ორგანიზმის რეაქციით შესძლულ ვაქცინაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ინდექსის გამორჩევა დაედო საფუძვლად ვაქცინოთერაპიას, მისი ხმარება ამბულაგტორიულ პრაქტიკაში მისი ტეხნიკის სირთულის გამო არ არის მისაღები. რადან ოპსონური ინდექსის გამოკვლევას ვერ ვახტერხებდით, ამისათვის ვცდილობდით დიდის სიფრონთილით გვეწარმოებია ვაქცინოთერაპია და ჩვენ არცერთ შემთხვევაში არ გვინახავს გართულება, რომელიც ოპსონიური ინდექსის გამოუტკვევლობით უნდა ახსნილიყო.

ორგანიზმისათვის ზიანის მიყენების მხრივ სუსტ რეაქციას დიდ შნიშვნელობას არ ვაძლევდით; რაც შეეხება ძლიერ რეაქციას, (38°—39°, თავის ტკივილი და სხვა), რომელიც ავადმყოფს ცუდ მდგომარეობაში აყენებს, ჩვენ ვცდილობდით ავადმყოფისათვის აგვეცილებია. ამიტომ ჩვენ ვიწყებდით მუდამ გონოვაქცინის ინიექციას 0,2—0,3 და იშვიათად 0,5, (ე. ი. 40, 60 და 100 მილიონი დახოცილი მიკრობით), რათა შემდეგი რეაქციებით გამოგვერდია დამოკიდებულება ორგანიზმისა იმა თუ იმ დოზასთან. „არ არის ორი პიროვნება, — ამბობს Jamelson-ი, ჯანსაღი ან ავადმყოფი, რომელიც თანაბარი რეაქციით უპასუხებდეს ვაქცინის ერთსა და იმავე დოზას“—ო.

ჩვენ, როგორც სხვა ავტორებს, სახეში ვვქონდა სამი შესაძლებლობა და ამისდა მიხედვით ვძლიერდებდით: 1) თუ რეაქცია არ იყო, დოზას ვაორეცებდით; 2) თუ რეაქცია საშვალოდ იყო გამოხატული, (38°, თავის ოდნავი ტკივილები და სხვა), იგივე დოზა მეორდებოდა და 3) თუ რეაქცია იყო მკაფიოდ გამოხატული, პირვანდელი დოზა შუაშე იყოფოდა.

შველა შემდეგი ინიექცია სწარმოებდა რეაქციების გაქრობის შემდეგ, რათა ვაქცინა არ შეგვეყვანა ორგანიზმში უარყოფითი ფაზეს დროს და ამით არ გამოგვიწვია პროცესის გართულება.

მიუხედავათ იმისა, რომ ვაქცინოთერაპიას სწავლობენ და დიდის წარმატებით 20 წელზე მეტია კარგი შედეგებით ხმარობენ, მაინც „ჩვენ დღემდე უერ შევთანხმდით იმის შესახებ, თუ როგორია არსეიბთად მექანიზმი ვაქცინის მკურნალობისა—“ ამბობს ვლითოგორსკი.

ერთია უდაოა, ეს ის რომ გონოვაქცინა არის ბაქტერიოციდული საშუალება, ის ორგანიზმები მოქმედობს იმნაირად, რომ გონოვაქცინისათვის ქმნის ცხოვრებისათვის გასაჭირ პირობებს და მით, ვითომც ახდენს დროებით იმუნიზაციას.

ამას ადასტურებს შემდეგი შემთხვევა, რომელიც დებრსკია-ის მიერ იყო აწერილი. საქმე ეხებოდა პარამეტრით და ოფორიტით დასწრულებულ ქალს, რომელსაც ძლიერი ჩირქის დენა ქონდა. გონივაჭურინის შემდეგ ავადმყოფი საგრძნობლად გამოკეთდა. მაგრამ ამ დროს მან დასასეულა ძუძუმწოვარა ბავშვი, რომელსაც გაუჩნდა კონიუნკტივიტი ჩირქის დენით; უკანასენელი იქნა გადათესილი სადაც გაიზარდენ გონივაჭური, მრავალი შემთხვევა არის აწერილი ლიტერატურაში, როცა ერთი დანამატის წამლობის დროს გასივდა მეორე დანამატიც.

ესევე მტკიცდება ჩვენი მასალითაც. ოცდა რვა ავადმყოფთა შორის ერთს გაუსივდა მეორე დანამატი პირველის წამლობის დროს, მხოლოდ ორს 5—10 დღის წამლობის გათავების შემდეგ გაუსივდათ განმეორებით იგივე დანამატები.

აქედან ცხადია, რომ გონივაჭურინას არ შეუძლია გამოიწვიოს არამც თუ მუდმივი, არამედ ხანგრძლივი იმუნიტეტი და მაშასადამე, როგორც პროფილაქტიკური საშუალება არ არის ნდობის ღირსი და არ იძლევა იმედს გადაარჩინოს ორგანიზმი განმეორებითი და ახალი დასწრულებისაგან.

სითბოსა და სიცივის ხმარება არის დიდი ჟურალების ლირსი მუსიკალისაგან. 28 ავადმყოფიდან 20 ვიზმარეთ სათბური კომპრესი, 7-მა კი—არაფერი. ოც ავადმყოფში ოთხმა ერთჯერ ან ორჯერ ხმარების შემდეგ მიატოვა ცივი სა-დები და გადავიდა სათბური კომპრესჩე*—იმიტომ, რომ ცივმა სადებმა გამოიწვია პროცესის გართულება დაზიანებულ დანამატში (ტკივილი, უსიამოვნო გრძნობა და სხვა) მაშინ, როდესაც სათბური კომპრესისაგან შემდეგში თავს გრძნობდენ ბევრად უფრო კარგად. იმ ავადმყოფებში, რომელებმაც თავიდანვე დაიწყო სათბური კომპრესების ხმარება, არც ერთს არ განუცხადება საყვედური ამის შესახებ.

საბოლოო თერაპიული შედეგი სათბური კომპრესის ხმარებისა გამოიხატა შემდეგში: 8 ავადმყოფის დანამატი დაუბრუნდა ნორმას ე. ი. ყოფილი ინფილტრატისაგან არ დარჩა ნიშანიც; ოთხი ავადმყოფის დანამატში დარჩა ოდნავი ინფილტრატი და 8 ავადმყოფს ინფილტრატი დარჩა კარგად გამოხატული.

შვიდ ავადმყოფში, რომელებმაც არ იხმარა არც სითბო და არც სიცივე, შედეგი იყო შემდეგი: 3-ს დაურჩა საგრძნობი ინფილტრატი, 2—ოდნავი და ერთს სრულიად გაუქრა. (ერთის არ არის აღნიშნული).

ამრიგად ჩვენი მასალის მიხედვით ჩანს, რომ ცივსადებს შეუძლია გამოიწვიოს გართულება და მიაყენოს ავადმყოფს ზედმეტი უსიამოვნება. რაც შეეხება სათბურ კომპრესს, ის ძალიან კარგად გადააქვთ ავადმყოფებს წამლობის ყოველ დროს. არც ერთხელ არ გაგვიგონია ჩვენი ავადმყოფებისაგან საყვედური სათბური კომპრესისაგან ტკივილების მიმატების შესახებ, როგორც ამას ქონდა ადგილი ხოლცის შემთხვევებში.

საინტერესოა ვიცოდეთ სათბური კომპრესის დროს უფრო ხანგრძლივია და მეტი ოდენობისაა ინიექცია, თუ მაშინ, როცა არც სათბურ კომპრესს, და არც ცივ სადებს არ ვხმარობთ?

* , ამიტომ ამ ოთხ ავადმყოფს ჩევნ განვიჩილავთ იმ ჯგუფში, რომელმაც იხმარა სათბური კომპრესი ვაქცინო-თერაპიის დროს.



თუ გაესინჯავთ ჩვენ მასალის დავინახავთ, რომ ხანგრძლივობა წამლის შესახებ საშვალოდ იმ შემთხვევაში, როცა არაფერი არ იყო ნახმარები, უდრიდა 5—6 კვირას, მხოლოდ ინიექციის რიცხვი წამლობის დასრულებამდე უდრიდა საშუალოდ 7—9 მაშინ კი, როცა ავადმყოფები ხმარობდენ სათბურ კომპექციის რაორესს პირველი ვადა გრძელდებოდა 3—4 კვირა (ხშირად ორი კვირაც) და ინდენობა უდრიდა 4—6 საშუალოდ.

აქედან ცხადად ჩანს უპირატესობა სათბური კომპრესისა და აგრეთვე ისიც, რომ უმჯობესია ვახშაროთ სათბური კომპრესი, ვიდრე არაფერი.

ინიექციას ვაკეთებდით კანქვეშ მუცლის ქვედა ნაწილში და კუნთებშორის დუნდულები, ინტრავენოზური მეთოდი ჩვენ არ გვიხმარია სტაციონალური განყოფილების უქონლობის გამო.

ჟველა იმ შემთხვევაში, როცა გონოვაქცინას ვუშხაპუნებდით კანქვეშ სიმსივნეს, სიწითლეს და მტკიცნეულობას ჰქონდა ადგილი ინიექციის ადგილზე— (ადგილობრივი რეაქცია) და ავადმყოფებს აყენებდა არა სასიამოვნო მდგომარეობაში. ინიექცია კუნთებ შორის ძალიან იშვიათად იშვევდა ტკივილებს, მხოლოდ სიწითლესა და სიმსივნეს არასოდეს ადგილი არა ქონია.

ჩვენი დაკვირვების მიხედვით უპირატესობა უნდა მიეცეს კუნთებ შორის ინიექციის მეთოდს.

მინიმალური დოზა გონოვაქცინისა, რომელსაც ჩვენ ვხმარობდით, იყო 40,60 და იშვიათად 100 მილიონი დახოცილ მიკრობისა, მაქსიმალური კი ერთი მილიარდი. იმ შედეგების მიხედვით, რომელიც მივიღეთ აღნიშნული დოზების ხმარებისაგან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დიდი დოზების დანიშვნა არ არის მაინც და მაინც აუცილებლად საჭირო ავადმყოფისათვის. 28 ავადმყოფში, რომელმაც დაასრულა წამლობა, მივიღეთ შემდეგი: 9-ს სრულიად გაუქრა ინფილტრატი, 7—დარჩა ოდნავი, და 10 კი მკაფიოდ გამოხატული ინფილტრატი, 1—უშედეგოდ და 1 არ არის აღნიშნული.

გავარჩიოთ ცალ-ცალკე ბუდობრივი და ტემპერატურული რეაქცია.

28 ავადმყოფიდან ბუდობრივი რეაქცია სხვადასხვა სახისა აღინიშნა 6-ში; დანარჩენს 22 სრულიად არა. რაც შეეხება ტემპერატურულ რეაქციას, აქ ჩვენ ვნახეთ წინააღმდეგა მოვლენა: 2 სრულიად არ ქონია ტემპერატურული რეაქცია, 26 კი ქონდა.

იმ 22 ავადმყოფიდან, რომელთაც ბუდობრივი რეაქცია არა ჰქონდათ შედეგი მივიღეთ ასეთი: 8-ჯერ ინფილტრატი გაქრა, 6-ჯერ დარჩა ოდნავი და 8-ჯერ ინფილტრატი უცვლელი დარჩა.

ორ ავადმყოფს, რომელსაც ტემპერატურული რეაქცია არა ჰქონდა, ინფილტრატი არ გაუქრა.

აქედან ცხადია, რომ ბუდობრივი რეაქციის მიღება არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროების კარგი თერაპევტიული შედეგისათვის. ტემპერატურული რეაქციის აცილება ძნელია.

ადგილობრივი რეაქციის სპეციფიური თვისების შესახებ შეიძლება არ დავეთახმოთ შტენბერგ-ს, რადგან ის დამოკიდებულია ინიექციის ადგილთან. (ადგილობრივ რეაქციას კანქვეშ ვნახულობთ, კუნთებ შორის კი არა). რაც შეეხება

თანამედროვე მედიცინა № 6-7. 1925.

ზოგად რეაქციას, არც მას ქონდა აღგილი ყველა ჩვენს შემთხვევაში; ის მოგვცა შეოლოდ ც ავადმყოფმა.

„თუ ერთდროულად არსებობს გონიკვისა და სიფილისის ინფექცია, გამომრთელება შეიძლება ვერ მივიღოთო“—ამბობს ფრონშტეინ-ი.

Гехт-მა 16 ავადმყოფიდან გამომრთელება არ მიიღო ვ-ში და ამას ის ხსნის მით, რომ აღნიშნული სამი პირი იყვნენ ავად სიფილისით. ამავე აზრისაა Холцов-იც.

Семенов-მა არტრიტით დასნეულებულ იყადმყოფზე, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული WR ქონდა, ვერ მიიღო ვერავითარი რეაქცია გონივაქცინაზე. Salvartsan-ის ხმარების შემდეგ ყველა რეაქცია დადგა. „ერთდროული არსებობა სიფილისისა და გვრად ამკირებს ორგანიზმის თავდაცვითი თვისებას და ხელს უშლის ანტისხეულების გამომუშავებას“ ამ—სწორს ფრონშტეინ-ი. ჩვენს. 28 ავადმყოფში 4 იყო სიფილისით დასნეულებული. ერთში სიფილისი გამოირკვა გონივაქცინით წამლობის შემდეგ. შანკირი დაჩირქებული ბუბონებით, რომლითაც ავადმყოფი გამოცხადდა ჩვენს კლინიკაში, ვერ იყო გამოცნობილი, ვინაიდან შანკირი ატიპიური ხასიათის იყო; ამას გარდა მრავალჯერ იყო გასინჯული იარის ნადენი მიკროსკოპით, მაგრამ ვერც ერთხელ spirocheta pallida ვერ იქნა აღმოჩენილი. კლინიკურმა სურათმა და მკაფიოდ გამოხატულმა WR მოგვცა საშვალება გამოვვეცნო სიფილისი მხოლოდ დანამატის განკურნების შემდეგ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში, მიუხედავად სიფილისის არსებობისა, დანამატის გამომრთელება მაინც მოხდა გონივაქცინის შეშხაპუნების შემდეგ, რადგან არ იყო ორგანიზმის უჯრედები საესებით დატვირთული სპიროხეტებით და ამასთანვე თვით ორგანიზმის თავდაცვითი თვისება ჯერ კიდევ ნორმალური იყო; წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ჩვენ მივიღებდით სასურველ შედეგს.

მეორე და მესამე შემთხვევა ეხება ლატენტურ სიფილისიანებს, რომლებიც წამლობდენ ჩვენთან. წამლობა გონივაქცინით ერთმა დაასრულა 4 ინიექციის, მხოლოდ მეორემ 6 ინიექციის შემდეგ. 12 დღის განმავლობაში ანთებითი პროცესის მოვლენებმა გაიარეს და დარჩა მხოლოდ პატარა ინფილტრატი.

მეოთხე ავადმყოფი იყო აქტიური სიფილისით შეპყრობილი, მიიღო 14 ინიექცია გონივაქცინისა და ვერ შეატყო გაუმჯობესება.

ამრიგად ჩვენ გამომრთელება მივიღეთ ლატენტურ სიფილისიანებზე და აგრედავ იმ ავადმყოფებზე, რომელთაც ჰქონდათ 3—4 კვირის შანკირი. რაც შეეხება აქტიურ სიფილის, აქ კამომრთელება არ მოხდა.

ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არ გვქონია ზემთანიშნული გართულებანი. ავადმყოფების $25\%_0$ -ში გაისენჯა შარდი და არც ერთში არ აღმოჩნდა თირკმელების დაზიანება. არც ფალარათობას, ყაბზობას, კანის მოვლენებს და სხვას ქონია აღვილი.

რაც შეეხება ცილტვების ტუბერკულოზს, ის დადასტურდა ორჯერ. ორივე ავადმყოფს მკაფიოდ ჰქონდათ გონიხატული რეაქციები გონივაქცინის შემდეგ. ინიექციის ვიწყებდით 0,2-ან და ავღიოდით 2—3 გრამატე და არც ერთ შემთხვევაში სისხლის პირიდან ლებას, რასაც ყველაზე უფრო საშიშ გართულებად აღნიშნავენ ჭლექის დროს, აღვილი არ ჰქონია. შედეგიც დამაკამაყოფილებელი



ზოგად რეაქციას, არც მას ქონდა ადგილი ყველა ჩვენს შემთხვევაში; ის მოგვცა მხოლოდ 6 ავადმყოფმა.

„თუ ერთდროულად არსებობს გონიკოვისა და სიფილისის ინფექცია, გამომრთელება შეიძლება ვერ მივიღოთ“ — ამბობს ფრონშტეინ-ი.

Гект-მა 16 ავადმყოფიდან გამომრთელება არ მიიღო 3-ში და ამას ის ხსნის მით, რომ აღნიშნული სამი პირი იყვნენ ავად სიფილისთ. ამავე აზრისაა Холцов-იც.

Семенов-მა არტრიტით დასნეულებულ ავადმყოფზე, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული WR ქონდა, ვერ მიიღო ვერავითარი რეაქცია გონიკოვაქცინაზე. Salvarsan-ის ხმარების შემდეგ ყველა რეაქცია დადგა. „ერთდროული არსებობა სიფილისისა ბევრად ამცირებს ორგანიზმის თავდაცვითი თვისებას და ხელს უშლის ანტისნეულების გამომუშავებას“ ამ — სწერს ფრონშტეინ-ი. ჩვენს. 28 ავადმყოფში 4 იყო სიფილისით დასნეულებული. ერთში სიფილისი გამოირკვა გონიკოვაქცინით წამლობის შემდეგ. შანკირი დაჩირქებული ბუბონებით, რომლითაც ავადმყოფი გამოცხადდა ჩვენს კლინიკაში, ვერ იყო გამოცნობილი, ვინაიდან შანკირი ატიპიური ხასიათის ყიყო; ამას გარდა მრავალჯერ იყო გასანჯული იარის ნადენი მიყროსკოპით, მაგრამ ვერც ერთხელ spirocheta pallida ვერ იქნა აღმოჩენილი. კლინიკურმა სურათმა და მკაფიოდ გამოხატულმა WR მოგვცა საშვალე ბა გამოგვეუნ სიფილისი მხოლოდ დანამატის განკურნების შემდეგ.

უნდა ვითიქროთ, რომ ამ შემთხვევაში, მიუხედავად სიფილისის არსებობისა, დანამატის გამომრთელება მაინც მოხდა გონიკოვაქცინის შეშხაბუნების შემდეგ, რადგან არ იყო ორგანიზმის უჯრედები საესებით დატვირთული სპიროხეტებით და ამასთანავე თვით ორგანიზმის თავდაცვითი თვისება ჯერ კიდევ ნორმალური იყო; წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ჩვენ მივიღებდით სასურველ შედეგს.

მეორე და მესამე შემთხვევა ეხება ლატენტურ სიფილისიანებს, რომლებიც წამლობდენ ჩვენთან. წამლობა გონიკოვაქცინით ერთშა დასრულა 4 ინიექციის, მხოლოდ მეორემ 6 ინიექციის შემდეგ. 12 დღის განმავლობაში ანთებითი პროცესის მოვლენებმა გაიარეს და დარჩა მხოლოდ პატარა ინფილტრატი.

მეოთხე ავადმყოფი იყო აქტიური სიფილისით შეცყრობილი, მიიღო 14 ინიექცია გონიკოვაქცინისა და ვერ შეატყო გაუმჯობესება.

ამრიგად ჩვენ გამომრთელება მივიღეთ ლატენტურ სიფილისიანებზე და აგრედავ იმ ავადმყოფებზე, რომელთაც ჰქონდათ 3—4 კვირის შანკირი. რაც შეეხება აქტიურ სიფილისს, აქ კამომრთელება არ მოხდა.

ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არ გვქონია ზემოაღნიშნული გართულებანი. ავადმყოფების 25%-ში გაისენჯა შარდი და არც ერთში არ აღმოჩნდა თირკმელების დაზიანება. არც ფალარათობას, ყაბზობას, კანის მოვლენებს და სხვას ჭონია ადგილი.

რაც შეეხება ფილტვების ტუბერკულოზს, ის დადასტურდა ორჯერ. ორივე ავადმყოფს შკაფიოდ ჰქონდათ გამოხატული რეაქციები გონიკოვაქცინის შემდეგ. ინიექციას ვიწყებდით 0,2-ან და ავდიოდით 2—3 გრამამდე და არც ერთ შემთხვევაში სისხლის პირიდან ლებას, რასაც ყველაზე უფრო საშიშ გართულებად აღნიშნავენ ჭლექის დროს, ადგილი არ ჰქონია. შედეგიც დამაკამაყოფილებელი



შივილეთ: ტკივილები გაქრენ, დარჩა მხოლოდ ოდნავი სიმაგრე დანამატში. აპ-გვარაღ წინააღმდეგ ფრონშტეინ-ის აზრისა, ტუბერკულოზის დროსაც შეგვიძლია თურმე ვიხმაროთ გონოვაქცინა epididymit. gonorrhoeica-ს სააქიმდ, მხოლოდ ამ საშუალების მიწოდება უნდა ხდებოდეს დიდის სიფრთხილით; იგივე შეიძლება ითქვას თირკმელების დაავადების დროს.

საერთოდ სიმსივნის დაკლების, ტკივილების გაქრობის და დანამატის აღდგენის მხრივ ჩვენ მივიღეთ შემდეგი შედეგი: სიმსივნემ დაიკლო პირველი ინიექციის შემდეგ 5 შემთხვევაში, მეორე ინიექციის შემდეგ 14-ში, მესამე ინიექციის შემდეგ 3-ში და მეოთხე ინიექციის შემდეგ 6 შემთხვევაში.

ტკივილებმა დაიკლო პირველი ინიექციის შემდეგ 10 შემთხვევაში, მეორე ინიექციის შემდეგ 13-ში, მესამე ინიექციის შემდეგ 3-ში და მეოთხე ინიექციის შემდეგ ერთ შემთხვევაში*).

რაც შეეხება დანამატის აღდგენას, აქ სრული გამომრთელება იყო 9 შემთხვევაში, კლინიკური გამომრთელება ე. ი. ინფილტრატის დარჩენით, 17 შემთხვევაში, ერთი უშედეგოთ დარჩა*).

უთანხმოება ავტორთა შორის არსებობს კიდევ იმის შესახებ, თუ როდის შეიძლება დაწყება გონოვაქცინის ხმარებისა ე. ი. მაშინ, როცა ანთებითი პროცესი ძალიან მძინარებს, თუ მაშინ, როცა პროცესი მიწყნარებულია. Hagen-ის აზრით, ახალი, მწვავე პროცესის დროს არ უნდა იხმარებოდეს გონოვაქცინა, რადგან ვაქცინის ზეგავლენით პროცესს შეუძლია უფრო გართულდეს. Вольсон-იც ამავე აზრისაა. ის მომხრეა გონოვაქცინის ხმარებისა მაშინ, როცა ციების ხანა გასულია, რათა შემდეგში იხელმძღვანელოს ტემპერატურული რეაქციით.

Butean-ი, Seynicch-ი და Bruck-ი მომხრენი არიან იხმარონ გონოვაქცინა მწვავე პროცესის დროსაც; ამ აზრს აღნიშნული ავტორები მის შემდეგ დაადგენ, რაც Bruck-ის მიერ დამტკიცდა, რომ ტემპერატურა გონოვაქცინის შემდეგ მწვავე ანთების დროსაც ნორმამდე იწევს.

ფრონშტეინ-იც უფრო კარგ შედეგებს იღებდა როდესაც აღრე იწყებდა წამლობას.

ჩვენი მასალის მიხედვით 9 ავადმყოფში, რომელნიც სავსებით გამომთელდა და დანამატში არ დარჩენილა სიმაგრე, 7-მა დაიწყო გონოვაქცინით წამლობა 1-3 დღის შემდეგ დანამატის გასივებისა ე. ი. მაშინ, როცა ანთებითი პროცესი ყველა თავის სიმპტომებით მკაფიოდ იყო გამოხატული.

აქედან ცხადია, რომ კარგი თერაპევტიული შედეგისათვის თავისუფლად შეიძლება გონოვაქცინით წამლობა დავიწყოთ სნეულების დასაწყისშივე.

ლიტერატურული მასალისა და ჩვენი კლინიკური დაკვირვების მიხედვით შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დებულებანი:

1. გონოვაქცინის ხმარების დროს შეიძლება ვიხელმძღვანელოთ, ოპსონიური ინდექსის გამოურკვევლად, მხოლოდ კლინიკური დაკვირვებით და ორგანიზმის რეაქციით.

2. როგორც პროფილაქტიური საშუალება გონოვაქცინა ვერ იძლევა კარგ შედეგს.

* ერთი აზ არის აღნიშნული აუადმყოფობის ფურცელში.



3. სითბოსა და სიცივეს შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს უსაბურო კომპრესს.

4. ინიექციისათვის უმჯობესად უნდა ჩაითვალოს კუნთებ შორის მეთოდი, ვიდრე კანქვეშა.

5. ღიდი დოზა ვაქცინისა, როგორც დასაწყისში, ისე შემდეგში არ არის საჭირო.

6. უმრავლეს შემთხვევაში ($70-80\%$) ჩენ შეგვიძლია მივიღოთ სრულიად დამაკმაყოფილებელი თერაპევტული შედეგი ბუდობრივი რეაქციის გამოუწვევლად.

7. ტემპერატურულ რეაქციას თითქმის მუდამ ვნახულობთ ($80-90$).

8. ადგილობრივი რეაქცია არ არის სპეციფიური, მას იშვიათად ვნახულობთ დურნდულშორის.

9. ტკივილი ან სიმსივნე კლებულობს ერთი ან ორი ინიექციის შემდეგ.

10. სრული ალდგენა დანამატისა ხდება 30% კლინიკური გამომრთელება კი 60% .

11. რაც ადრე დაიწყებთ გონოვაქცინის ინიექციას, მით უფრო კარგი იქნება თერაპევტული შედეგი.

12. ფილტვების ჭრების დროს შეიძლება გონოვაქცინის ხმარება, მხოლოდ დიდი სიფრთხილით *).

13. ლატენტურ და ახლად დასნეულებულ ($3-4$ კვირის) სიფილისიანებზე გონოვაქცინას შეუძლია მოგვცეს კარგი შედეგი, მხოლოდ აქტიური სიფილისის დროს კარგი შედეგის მიღება საეჭვო არის *).

დასასრულ გულშრეფელ მაღლობას ვუძლვნი კლინიკისა და საავადმყოფოს უფროს ამხანაგებს ექ. ექ. მ. დიასამიძეს, ა. ჯავრიშვილს და ლ. ფირცხალავას, რომლებმაც დახმარება გამოიწიეს რჩევითა და ლაბორატორიული გამოკვლევით.

აგრეთვე დიდი მაღლობას ვუძლვნი საავადმყოფოს თანამშრომლებს ექ. ექ. ვ. სარაჯიშვილს, ზ. ხუსკივაძეს და შ. უურულს, რომლებიც დიდის სიფრთხილითა და სისწორით ასრულებდენ ჩემს დავალებებს ვაქცინოთერაპიის დროს.

ფაქტურტეტის თერაპიული კლინიკის ოარდინატრს ი. პარმას ვუძლვნი მაღლობას რეფერატის ფრანგულ ენაზე თარგმნისათვის.

*) ჩენს მიერ მოყვანილი მასალა ჭლექისა და სიფილისის შესახებ მცირე არის საღოლო დასკვნისათვის, მაგრამ იმდენად, რამდენად ზემო ჩამოთვლილი ავტორები ეყრდნობან ჩენს უფრო მცირე მასალას, ჩენც ექვერდებით აღნიშნულ ორ დებულებაზე (12 და 13)-



3. სითბოსა და სიცივეს შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს საქართველოს კომპრენსის.

4. ინიექციისათვის უმჯობესად უნდა ჩაითვალოს კუნთებ შორის მეთოდი, ვიდრე კაქვეშა.

5. დიდი დოზა ვაქცინისა, როგორც დასაწყისში, ისე შემდეგში არ არის საჭირო.

6. უმრავლეს შემთხვევაში ($70-80\%$) ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ სრულიად დამაკმაყოფილებელი ორაპევტული შედეგი ბუდობრივი რეაქციის გამოუწვევლად.

7. ტემპერატურულ რეაქციას თითქმის მუდამ ვნახულობთ ($80-90$).

8. ადგილობრივი რეაქცია არ არის სპეციფიური, მას იშვიათად ვნახულობთ დუნდულშორის.

9. ტკივილი ან სიმსიცნე კლებულობს ერთი ან ორი ინიექციის შემდეგ.

10. სრული აღდგენა დანამატისა ხდება 30% კლინიკური გამომრთელება კი 60% .

11. რაც ადრე დავიწყებთ გონვაქცინის ინიექციას, მით უფრო კარგი იქნება ორაპევტული შედეგი.

12. ფილტვების ჭლექის დროს შეიძლება გონვაქცინის ხმარება, მხოლოდ დიდი სიფრთხილით *).

13. ლატენტურ და ახლად დასნეულებულ ($3-4$ კვირის) სიფილისიანებზე გონვაქცინას შეუძლია მოგვცეს კარგი შედეგი, მხოლოდ აქტიური სიფილისის დროს კარგი შედეგის მიღება საეჭვო არის *).

დასასრულ გულწრფელ მაღლობას ვუძლენი კლინიკისა და საავადმყოფოს უფროს ამხანაგებს ექ. ექ. მ. დიასამიძეს, ა. ჯავრიშვილს და ლ. ფირცხალავას, რომლებმაც დახმარება გვიძიშის რჩევითა და ლაბორატორიული გამოკვლევით.

ავტოვე დიდი მაღლობას ვუძლვნი საავადმყოფოს თანამშრომლებს ექ. ექ. ვ. სარაჯიშვილს, ზ. ხუსკივაძეს და შ. უურულს, რომლებიც დიდის სიფრთხილითა და სისწორით ასრულებდენ ჩემს დავალებებს ვაქცინოთერაპიის დროს.

ფაკულტეტის თერაპიული კლინიკის აორდინატრს ი. პარმას ვუძლვნი მაღლობას რეფერატის ფრანგულ ენაზე თარგმნისათვის.

*) ჩვენს მიერ მოყვანილი მასალა ჭლექისა და სიფილისის შესახებ მცირე არის საღოლოვ დასკვნისათვის, მაგრამ იმდენად, რამდენად ზემო ჩამოთვლილი აეტორები ეყრდნობიან ჩვენს უფრო მცირე მასალას, ჩვენც ვწერდებით აღნიშნულ ორ დებულებაზე (12 და 13).

3. კანდელატი

ინსტიტუტის ორგანიზორი.

რუდიგენტალურ რძაში ორსულობის ორი უმთხვევა*).

(სამონეო გინეკოლოგიური ინსტიტუტიდან. დირექტორი ე. სობესტიანსკი.)

დედაკაცის სასქესო ნაწილების ტერატოლოგიის შესწავლის ღროს, ჩვენ მარტო ანომალიების აღწერას კი არ უნდა მივაჭრიოთ ყურადღება, არამედ უნდა ვეძიოთ მიზეზი სასქესო ნაწილების მახინჯურ განვითარებისა ემბრიონალურ ცხოვრების ხანაში. ყოველგვარ სასქესო ნაწილების სიმახინჯეს დიდი მნიშვნელობა აქვს დედაკაცის ფიზიოლოგიურ ცხოვრებაში.

ჩვენ ვიცით, რომ მეოთხე კვირის ბოლოში ემბრიონალური ცხოვრების ხანისა ნაყოფს, ხერხემლის ორთავე მხრივ, ტანის ქვეითა მესამედ ნაწილიდან, უჩნდება პირვანდელი თირკმელები, რომელსაც უწურდებთ Wolff-ის ანუ Oken-ის სხეულს, მე-5 და მე-6 კვირაზე პირვანდელი თირკმელიდან იწყებს მსელელობას პირვანდელი სქესთა ჯირკვლები, რომელიც თუ თეთრ ხაზს წააგავს. ამასთანავე ერთად იწყებენ განცალკევებას Müller-ის ძაფები, რომლებიდანაც წარმოსდგება სასქესო ორგანოები.

Müller-ის ძაფები მეორე თვის ბოლოში იწყებენ შეერთებას შუა და ქვემო მესამედ ნაწილებიდან; ქვემო მესამედ ნაწილების შეერთება ხდება მე-9 კვირაში, საიდანაც წარმოსდგება საშო; მხოლოდ შუანაწილის შეერთება ხდება მე-5 თვის ბოლოში და წარმოსდგება საშვილოსნო. ზემო მესამედი ნაწილი Müller-ის ძაფებისა არ ერთდება და რჩება რწყვილ ორგანოებად, რომელსაც უწურდებთ ფალოპიუსის მიღებს, ანუ კვერცხსავალს. მაშასადამე, აშკარაა თუ Müller-ის ძაფების შუა ნაწილები ნორმალურად ერთი-ერთმანეთს არ შეუერთდენ, წარმოიშობება საშვილოსნოს სიმახინჯე.

Uterus unicornis—ერთ-რქიანი საშვილოსნო წარმოიშობა მაშინ, როდესაც განვითარდება Müller-ის მარტო ერთი ძაფი. როდესაც ძაფები სრულიად არ შეერთდება და განვითარდება ცალცალკე, მაშინ წარმოიშობა ორ-რქიანი, ორ-ჟელიანი საშვილოსნო—*Uterus didelfus*; და როდესაც ძაფები შეერთდება მარტო ქვევითა ნაწილში, ანუ ყელის მიღამოში, მაშინ წარმოიშობა ორ-რქიანი, ერთ ყელიანი საშვილოსნო თავის დანამატებებით—*Uterus bicornis unicollis*.

ორ-რქიანი საშვილოსნო შეგვხვდება ისეთი, როდესაც ორივე რქა თანაბრად აქვს განვითარებული, მაგრამ შესაძლებელია ისიც, როდესაც ერთი რქა

*) მოხსენებულია ქართველ ექიმთა და ბუნებისერტყველთა საზოგადოებაში 1924 წ. პარიზში.

ნორმალურად იყოს განვითარებული და მეორე კი ჩამორჩენილი—განუვითარებელი—რუდიმენტალური. ჩვენ გვაინტერესებს დღეს ეს უკანასკნელი საშვილოსნოს სიმახინჯე, რადგანაც შეეხება ჩვენს მაგალითებს და ვაჭცევთ მას განსაკუთრებულ ყურადღებას.

თუ რამდენად სარწმუნოა ის დებულება, რომ სასქესო ორგანოები წარმოსდგება პირვანდელი თირკმელებიდან და საზოგადოდ მათ აქვთ გენეტიური და ტოპოგრაფიული კავშირი ემბრიონალური ცხოვრების ხანაში, ამას დასაჯერებლად გვიმრჩიცებს Ballonitz-ის მოხსენება; მას 103 ცალმხრივ თირკმელის დეფექტის მაგალითებიდან მხოლოდ 30 შემთხვევაში აღმოუჩენია ნორმალურად განვითარებული სასქესო ნაწილები, ე. ი. მას 73 შემთხვევები აღმოუჩენია სასქესო ნაწილების სიმახინჯე: მათ შორის 28 მაგალითი ყოფილა მამაკაცისა, 41—დედაკაცისა და დანარჩენი 4 მაგალითი კი შეეხება სასქესო ნაწილების გამოურკვევლობას.

Миронова-ს 41 შემთხვევაში 18 მაგალითი შეხვედრია ცალ-მხრივი *Aplasia renis*, იმ მხრივ საითაც დედაკაცს ჰქონია რუდიმენტალური საშვილოსნოს რეა.

ზემოხსენებული ცნობებიდან სჩანს, რომ ანორმალური თირკმლების განვითარება ხშირად იწვევს საშვილოსნოს სიმახინჯეს.

საშვილოსნოს სიმახინჯე იშვიათი მოვლენაა. Stolper-ს 7400 შემთხვევაში შეხვედრია 16 მაგალითი, რაც შეადგენს $0,2\%$.

რუდიმენტალური რქა შეერთებულია საშვილოსნოსთან ფეხით, რომლის სიგრძე-სიგანე ყველა შეემთხვევაში ერთნაირი არ არის და ხშირად არხიც არა აქვს. Vehrt-ის სტატისტიკით, ამდაგვარი განუვითარებელი რქა შეგვხვდება 87—100 შემთხვევაში.

შესაძლებელია ამგვარი რუდიმენტალური რქა დაორსულდეს, მხოლოდ, როგორც აშბობს აბულაძე: „ეს საგანგებო და მასთან საშიშო ბუნების მოვლენა ხშირად იმსხვერპლებს ხოლმე უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეს“, მაგრამ, საბედნიეროდ ამდაგვარი ორსულობა ხშირი არაა. Schrenk-ს ექტოპიურ ორსულობის 617 შემთხვევაში შეხვედრია $3,1\%$. Verth-ის აზრით, რუდიმენტალური რქის ორსულობა გამოწვეულია იმით, რომ ის მოკლებულია მენსტრუალურ ფუნქციას, წინააღმდეგ შემთხვევაში რქაში ჰქონია განვითარებული გაჩნდება და ეს მოვლენა ჩასახვას ხელს უშლის.

ორსულობის მიმდინარეობა განუვითარებელ რქაში დამკიდებულია მის კედლების განვითარებაზე, თუ რქაში კუნთოვანი ელემენტები და ლორწოიანი გარსი ბლობმადა განვითარებული, მაშინ საიმედოა, რომ ორსულობა დრომდე იქმნეს მიტანილი. ექ. შალა მბერი იძემ თავის შრომაში მკაფიოდ აგვიწერა იშვიათი მოვლენის— რუდიმენტალურ რქაში დრომდე მიტანილი ორსულობის სურათი. მაგრამ უფრო ხშირად, რუდიმენტალურ რქაში გარსები არ არის ნორმალურად განვითარებული და ამიტომ განაყოფიერებული კვერცხი ვერ პოლობს ნიადაგს თავის განვითარებისათვის. ამ მხრივ რქის ორსულობა შეგვიძლია თამამად შევადაროთ საშვილოსნოს გარეშე—კვერცხსავალის ორსულობას, მთელი მისი არასასურველი შედეგებით.

ორსული ორდიმენტალური რქა ნეკმან-ის სტატისტიკით, სკდება 40% შემთხვევაში და უფრო ხშირად მე-4-ა თვეზე.

ამიტომ მე მეონია, არ იქნება ინტერესს მოყლებული, რომ წარმოგიდვინოთ ის ორი შემთხვევა, რომელთაც ჰქონდა აღაგი სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტში:

1) ავადყოფი ა. მ. 17 წ. სომები, მოიყვანეს ინსტიტუტში 21/III, 23 წ. გათხოვილა 15 წ. პირველი თვეური მოსვლია 14 წლისას 4-5 დღე, არეულად, ტკივილებით. უკანასკნელ წელს თვეური 6-7 დღე, ტკივილებით. უკანასკნელი თვეური 7 დღეებრის 22 წლისა, ე. ი. ა. 1/2 თვის წინად. ორსულად არ ყოფილა, არც სასექსონ ნაწილების ავადყოფობა ჰქონდა. ჩივი ტკივილებს პატარა მუცელში, განსაკუთრებით მარცხნივ. ტკივილებს გრძობს უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში. საშვილოსნო ოდნავ გადიდებულია და გარბილებული; მარცხნა თაღში ისინჯება ერთი მუჭის ოდნავ მორბილო სიმსივნე, რომელიც საშვილოსნოსთან არის შეერთებული. Diagnosis: Graviditas extrauterina. (Haematocele). გაუკეთეთ ოპერაცია (Laparotomy). 24/III 23 წლ. მუცელი გავკეთეთ თეთრ ხაზზე. მის სიღრუეში აღმოჩნდა ორ-ჩერანი საშვილოსნო, მარცხნა და ორსულებული რუდიმენტალური რქით. ორთავე რქას ჰქონდა თავის-სი დანამატები; კერცხსავალები იწყებოდა ორთავე რქის ზემო ნაწილებიდან. მარცხნა რგვალი იოგი იყო და ორსულებული რქის გარეშე მხარეზე. რადგანაც ორსული რქა შეერთებული იყო მეორესთან ფართო ფეხით, ამიტომ ტენიკური მოსაზრებით და შემდეგში ჩივათის აცდუნასათვის ამოკევეთეთ ორთავე რქა; საკვერცხები ჩატარებული სისხლი ამოკერდეთ და მუცელი შეეკერდეთ. ოპერაციის შემდეგი ხანა ნორმალური; გაწერა ჯანსაღად მე-20 დღეზედ.

ამოკევეთილი რქების მიყროსკოპიული სურათი იყო შემდეგი: არა ორსული რქა: წილა 110,0, სიგრძე 9 სანტ., კედლის სისქე 2 სანტ., ორსული რქა: სიგრძე—16 სანტ. სიგანგ 12 სანტიმ., კედლის სისქე—1/2 ს. შიგ. აღმოჩნდა 3^{1/2} თვის ნაყოფი. სამწუხაროდ მიკროსკოპიული ვანხილვა არ მოგვიძდებია.

2) ავადყოფი შ. გ. 37 წ. ებრაელი, მოიყვანეს ინსტიტუტში 17 იანვარს, 24 წელს. გათხოვილა 21 წლ. პირველი თვეური 15 წ. 3—4 დღე, ნორმლურად. უკანასკნელ წელს თვეური ტკივილებით. უკანასკნელი თვეური 7 კვირის წინედ. ერთი ნორმალური მშობიარობა და ერთი ხელორნური მუცელის მოშლა. უკანასკნელი ორსულობა 6 წ. წინედ. სქესთა ავადყოფობა არ ჰქონდა. ჩივის ტკივილება პატარა მუცელში, განსაკუთრებით მარცხნივ და ცოტა სისხლის მდინარეობას. ავადყოფი ფრერმკრთალია და სუსტი; მუცელი შებერილია და მტკივანი ხელის დადგით. საშობან ცოტა სისხლი მოსდის. საშვილოსნო გადიდებული და დარბილებულია. მარცხნა თაღში ისინჯება ქათმის კვერცხის დღენა მორბილო სიმსივნე, რომელიც შეერთებულია საშვილოსნოსთან. დილას ავადყოფს უუცრად ასტერია ტკივილები მუცელში და გულიც წასვლია, Diagnosis: graviditas tubaria sinistra.

გაუკეთეთ ოპერაცია (Laparotomy). მუცელი გავკეთეთ თეთრ ხაზზე; მის სიღრუეში ბლობად იყო ჩაქცეული სისხლი. აღმოჩნდა ორ-ჩერანი საშვილოსნო, მარცხნა რუდიმენტალური და გამსკდარი ორსული რქით. სურათი იყო შემდეგი: განვითარებული მარჯვენა რქა თავის კერცხსავალით, საკვერცხებით და მრგვალი იოგით; მარცხნივ რუდიმენტალური გამსკდარი ორსული რქა თავის კერცხსავალით, რომელიც იწყებოდა მის ზემო-ზაწილიდან, საკვერცხებით და მრგვალი იოგით, რომელიც მიჰყებოდა რქის მარცხნა მხარეს. სისხლის მილების გადასკვნის შემდეგ გადავკეთეთ მარცხნა მრგვალი იოგი და ამოკევეთეთ გამსკდარი, რუდიმენტალური რქა თავის კერცხსავალით და საკვერცხებით.

უკანასკნელი კი ამოკევეთეთ ტენიკური მოსაზრებით. მარჯვენა საკვერცხე ჩატარებული სიღრუეში. Amputatio cornu rudimentarii et salpyngo-oophorectomia sinistra. სისხლი ამოკერდეთ და მუცელი შეეკერდეთ. ოპერაციის შემდეგი ხანა ნორმალური. გაწერა ჯანსაღად მე-14 დღეზე.

იმ დღებულებას, რომ რუდიმენტალური რქის კედლები უმრავლეს შემთხვევაში ნორმალურად არ არის განვითარებული, კიდევ უფრო გვიმტკიცებს ჩერი პერპარატის მიკროსკოპიული სურათი.



რქის კედლები ყველგან თანამშრომი სისქისა არ არის, აღაგ უფრო სქელია, აღაგ კი ძლიერ თხელი.

1) პრეპარატის მარცხნა მზარის ამონაჭერში კედლი ოდნავ სქელია. აქ კარგად განირჩევა სამწყებად დაწყობილი კუნთოვანი გარსი; გარეგანი კუნთოვანი წყობილი სიგრძეშე მიღის. შუათანა — ცირკულარულად და შიგნითა — კიდევ სიგრძეშე; მხოლოდ კუნთოვანი ელემენტები ძლიერ მცირება და მათ შორის ბლომადა შემაერთებელი ქსოვილი, რომელიც ალაგა-ალაგ ფაშარია. გნახულობთ კიდევ ბლომად მომყოლის ქსოვილებს; ნაყოფის ხაოსების შუა ბლომად არის მოსავარდნი გარსის უჯრედები, რომელიც განსხვავდება სხვა უჯრედებიდან თავის სიდიდით და მკრთალი პროტობლაზმით. გნახულობთ აგრეთვე სეროზულ გარსს.

2) პრეპარატის წინა მზარის (გამსკარი აღაგის) ამონაჭერი: კედლი ძლიერ თხელია. კუნთოვანი ელემენტები ძლიერი მოიპოვება, შემაერთებელი ქსოვილებიც მცირება, ბლომად — სისხლი და მოსავარდნი გარსის უჯრედები.

3) პრეპარატის წინა მზარის (კვერცხსავალის მახლობლად) ამონაჭერი კუნთოვანი ელემენტები განირჩევა სამწყებად მდებარეობის, მხოლოდ შედარებით პრეპარატის, ძლიერ მცირება. გნახულობთ ბლომად მომყოლის და შემაერთებელ ქსოვილებს. ბლომად არის აგრეთვე მოსავარდნი გარსის უჯრედები.

4) პრეპარატის უკანა ამონაჭერი (კვერცხსავალის მახლობლად): კარგად განირჩევა კუნთოვანი ელემენტების სამწყებითი მდებარეობა. გნახულობთ მრავალ შემაერთებელ ქსოვილებს და რამდენადმე მომყოლის ქსოვილებსაც; მოსავარდნი გარსის უჯრედები მრავალია.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ პრეპარატის ყველა ამონაჭერში არსად არ არის გარები ნორმალურად განვითარებული. კუნთოვანი გარსი ალაგ შეგვხვდება, ხოლო ძლიერ მცირება და დაქაქეული მომეტებული შემაერთებელი ქსოვილებით; სეროზული გარსი მოინახება ყველა პრეპარატში. აგრეთვე ყველა პრეპარატში მრავალია მოსავარდნი გარსის უჯრედები.

ამოცვეთითი რქის მკროსკოპიული სურათი: სიგრძე — 7 სანტ., სიგანე — 5 სანტ., კედლის სისქე, მხოლოდ მარცხნი მზარისა 1/2 ს. ამოცვეთითი მარცხნა საკვერცხ გადიდებულია. მის განაკვეთის ზედაპირზე კარგად მოსჩანს *Corylus luteum verum*.

როდესაც სუბიექტიური და ობიექტიური გასინჯვის დროს ვნახულობთ საშეილოსნოსთან შეერთებულს სიმსივნეს და გვებადება რქაში ორსულობის ეჭვი, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ინტერსტეციალური ორსულობა, რადგანაც კლინიკურად ძლიერ ძნელია მათი გარჩევა. ამიტომ საყურადღებოა მკროსკოპიული და მიკროსკოპიული სურათი რქაში და ინტერსტეციალური ორსულობის დროს:

1. რქაში ორსულობის დროს კვერცხსავალის განაპირი იწყება კვერცხსაუდელის ზემო-მხარედან.

2. რქაში ორსულობის დროს მოსავარდნი გარსი ყოველთვის არსებობს. ჩვენს ორივე შემთხვევაში კვერცხსავალის განაპირი იწყება კვერცხსაუდელის ზემო მხარედან და პრეპარატში ყველგან ვნახულობთ მოსავარდნი გარსის უჯრედებს.

ამ დებულებას გვიდასტურებს ინტეცია-რინა-ს ორი შემთხვევის პათოლოგ-ანატომიური გამოკვლევა ინტერსტეციალური ორსულობის დროს.

ულეკო-სტროგანოვა-ც იმ აზრისაა, რომ ინტერსტეციალური ორსულობის დროს მოსავარდნი გარსი არ არის. თუმცა რა შეკვეთი თავის შრომაში ამტკიცებს, რომ ინტერსტეციალური ორსულობის დროს მას აღმოუჩნდა მოსავარდნი გარსი, მაგრამ Werth-ი კრიტიკას უკეთებს ამ შრომას, და ამტკიცებს, რომ „რაშეს რქაში ორსულობა მიუღია ინტერსტეციალურ ირსულობადა“.

Пიოს-მა ინტერსტეციალური ორსულობის დროს ვერ აღმოაჩინა მოსავარდნი გარსი (1912 წ.) Leopold-მა, Hensius-მა, Eromme-მა, Heimann-მა და Glae-

smer-მაც აგრეთვე ვერ აღმოაჩინის მოსავარდნი გარსი ინტერსტეციალური ორსულობის დროს.

მაშასადამე ჩვენი ორი შემთხვევის როგორც მიყროსკოპიული, ისე მაკროსკოპიული სურათი სავსებით გვიდასტურებს მას, რომ ჩვენ გვქონდა რუდიმენტალური რქაში ორსულობის შემთხვევა.

დასასრულ, უღრმეს მადლობას ვუძღვნი დიდად პატივცემულ ექ. ი. თუმანიშვილს, რომელმაც გამიშვია ხელმძღვანელობა ამ შრომაში. მაღლობას ვწირავ აგრეთვე პროფ. ვ. ყლენტს, რომელმაც ინება ჩემი პრეპარატების გადათვალიერება და განმარტება, და აგრეთვე ექ. გ. ხეჩინაშვილს, რომელმაც დიდის სიამოვნებით და ამხანაგური გრძნობით დამიმზადა პრეპარატები.

ლიტერატურა.

- 1) Verth. Die Nebenhornschnvagerschaft. Vinckel's. Handbuch der Geburtskülfie, B. IV, T. II. Viesbaden, 1904., 2) Б. Г. Бекман. К учению о беременности вrudimentarnom роге матки: Журнал акушерства 1911.. 3) დ. აბულაძე. К учению о беременности в т. наз. „зачаточном“ роге матки с описанием случая такой беременности доношенным плодом, распознанным до операции: Журнал Акушер. 1912. 4) С. М. Миронова—Случай гематометры в левомrudimentarnom роге матки: Журнал Акуш. и женск. бол. т. XXXIV, кн. I, 1923., 5) ე. შალამბერიძე.—დრომდე მიტანილი ორსულობა ორ-რქაზი საშვილოსნოს განუვითარებელ რქაში. ტფილისის უნივერსიტეტის მოამდე, IV. 1924. 6) Р. С. Образцова—Ривлина. К клинической и патолого-анатомической диагностике межуточной беременности. том XXXIV, книга, I, 1923 г.

II

რ ე ზ ე რ ა ს ტ ე ბ ი

ჟინაგანი სეულებანი

И. Е. Яхонтова—ამებური დიზენტერიის წამლობის საკითხისათვის (ქურ. „Врачебн. дело № 6.1925 წ.)

ფარმაკოლოგიის პროფ. В. И. Скворцов-ის წინადადებით—ამებური დიზენტერიის წამლობის მიზნით ავტორს უხმარია Kaliym cuprum-cyanatum, რომელსაც, როგორც მძიმე ლითონის ორმაგ მარილს, აქვს ბაქტერიოციდული თვისებები და რაღაც გმოყოფა ნაწლავებით, უფრო კარგი შედეგი უნდა მოეცა დიზენტერიის წამლობის დროს.

ამ მიზნით ავტორს შეჰყავდა ინტრავენოზურად 0,01,-0,015 Kal. cup. cyan. გახსნილი 20 კუბ. სან. ფიზიოლოგიურ ხსნარში 2—3 დღის გამოშვებით. საშუალოდ უკეთებდა 13 შეშხაპუნებას—შემდეგში ისევე დოზები შეჰყავდა 5 კუბ-სანტ. ფიზიოლოგიური ხსნარით საშუალოდ 5—7 შეშხაპუნებას შემდეგ ფალარათობა კლებულობდა. სისხლი იყარებოდა ამებები ჯერ ცოტავდებოდნენ და მერმე სრულად ჰქონდენ. წამლობის დროს მარტო ორმა ავადმყოფმა აღნიშნა სპილენძის გემოს გრძნობა, სხეაფრივ არავითარი მოვლენები გულის, თირკმელების და საერთოდ ორგანიზმის მხრივ იბიექტურად არ ყოფილა აღნიშნული. სისხლი, როგორც რაოდენობის, ისე თვისების მხრივ ნორმის ფარგლებში ყოფილა; მხოლოდ ტუბერკულოზიან ავადმყოფებზე ავტორს შეუმჩნევია ტემპერატურის და ადგილობრივ პროცესის რეაქცია, რომლებსაც მაღე გაუვლიათ.

ავტორს გაუტარებია ასეთი წამლობის 10 შემთხვევა და 8 შემთხვევაში, რომლებიც შემდეგშიაც დაკვირვების ქვეშ ჰყოლია და რექტო-რომანოსკოპითაც შეუმოწმებია დადგებითი შედეგი მიუღია. იგი წინადადებას იძლევა შემოწმებული იქნეს Kal. cupr. cyanat-ით ამებური დიზენტერიის წამლობა, მრავალ შემთხვევებზე, რათა გარკვეული იყოს მისი ჭეშმარიტი მოქმედება.

გ. დ.

Marchoux. Le Stovarsol guérit rapidement la dysenterie amébienne. Bull. Soc. Pathol. exot. 1923 ტომი XVI № 1 გვ. 79.

მას შემდეგ რაც Stovarsol-ისაგან (Acidum oxyaminophenylarsinicum) მიიღეს კარგი შედეგები ათაშანგის მეურნალობის დროს per os, ავტორმა ეს საშვალება სცადა დიზენტერიის ამიებების წინააღმდეგ და, როგორც სათაურიდანაც სჩანს, მიიღო კარგი შედეგები. სტოვარსოლის ტაბლეტა 0,25 ორჯერ დღეში, მიღებული რამდენიმე დღის განმავლობაში, კურნავს დიზენტერიის ახალ შემთხვევებს. სტოვარსოლი კარგად მოქმედობს განსაკუთრებით ცისტებზე.

ს. კანდელაკი-

Bubenthal et Jauzion. Traitement de la dysenterie amibienne par le Stovarsol. Paris Medical 1924, № 23 გვ. 538.

ავტორმა გაატარა სტოვარსოლით მკურნალობა ხუთ ამებიან დიზენტერიით შეპყრობილ ავაღმყოფებზე და გამოიტანა შემდეგი დასკვნა: სტოვარსოლი სავ-სებით კურნავს ამებიაზს და კარგი ასატანიკა; რაც შეეხება მის მოქმედებას (პარაზიტიციდურს) თვით პარაზიტზე პატარა ღოზები ($0,25 - 0,5$ დლეში) უფრო ნელია, ვინემ უფრო დიდი დღიური ღოზები ($1,5$). ხუთ შემთხვევაში მკურნალობის შემდეგ ცისტები არ იყო ნახული დიდი ხნის განმავლობაში მიუხედავათ ყოველ მხრივი გამოკვლევისა სხვადასხვა სეზონში. ემეტინთან შედარებით სტოვარსოლი დამოუკიდებლად იმისა, რომ ის პარაზიტიციდურია და ხელს უშლის ცისტების გაჩენას, არ აწყნარებს ტკივილებს და ამებიაზის გამწვავების დროს უთმობს ადგილს ემეტინს.

ს. კანდელაკი

M. A. G. Ponayotatou. Histoire de L'Amibiase bronchique en Egypte. Revue pratique des maladies des pays chauds, 1924 ტომი III, № 5 გვ. 361.

ავტორმა ალექსანდრიაში (ეგვიპტეში) 1923 წ. ერთი ავაღმყოფის ნახველის გასინჯვის დროს კოხის ბაცილებზე, იპოვა დიზენტერიის ამებები. ემეტინის შეშხაპუნების შემდეგ ავაღმყოფმა იგრძნო უკეთობა. ამის შემდეგ ავტორმა განაგრძო ძეველი დიზენტერიანი ავაღმყოფების ნახველის გასინჯვა ამებებზე და რამდენიმე შემთხვევაში კიდევ იპოვა ნახველში ნამდვილი დიზენტერიის ამებები მოძრავი, მკვდარი და ცისტები. ემეტინი ავაღმყოფებს უზდებოდა. ავტორის დაკვირვებით, ამებები ნახველში უფრო ბლომადაა და უფრო დამახასიათებელია, ვინემ დიზენტერიულ განავალში, რაღაც განავალში საჭმლის ნარჩენი ზოგჯერ ხელს უშლის მათ გარჩევას, მაშინ როცა ნახველის ლორწოში მცოცავი ამებები ნათლად ხსანან და ადვილი გასარჩევია 1) ამების კარიოზომული გულგულა 2) ცისტების მემბრანა 3) გულგულა 2-4 და ცისტების ხრომიდიები შეულებადაც კი.

ს. კანდელაკი

Prof. Dr. D. Antiè. Experimentelle Reproduktion der Malaria. Archiv f. Schiffs u. Tropen-Hygiene. 1925. ტომი 29 № 5, გვ. 203.

ავტორის მიზანი იყო გაერკვია ეკსერიმენტალური გზით მალარიის ინკუ-ბაციის დრო და პარაზიტების სხვადასხვაობის საკითხი.

პირველ შემთხვევაში Tabes dorsalis-ით შეპყრობილ ავაღმყოფს (62 წლ.) შეუშხაპუნა ვენაში ერთ და იმავე დროს vivax-ის პლაზმოდებით სისხლი 1 კუბ. სანტ. და Falciparum-ის პლაზმოდებით $\frac{1}{2}$ კუბ. სანტ. შეშხაპუნებიდან 48 სა-ათის შემდეგ ავაღმყოფის სისხლში აღმოჩნდა vivax-ის ბეჭდები და გამეტები, მე 8 დღებზე კი სისხლში გაქრა vivax-ის პლაზმოდები და სამაგიეროდ აღ-მოჩნდა Falciparum-ის ბეჭდები. შეშხაპუნებიდან მე 13 დღეზე ტკინის მოვლენების სიმპტომებით ავაღმყოფი გარდაიცვალა, გაკვეთისას მალარიისათვის და-მახასიათებელი ცვლილებები აღმოჩნდა.

მეორე შემთხვევაში პერნიციოზული მალარიით ახლად შეპყრობილ ავად-მყოფს, რომელიც 5 კვირის განმავლობაში ურიგოთ მკურნალობდა ქინაქინით per os და კაკოდალის და *Neosalvarsan*-ის შეშხაპუნებით და სიცხე დროებით განელებული ქონდა, სისხლში კი ბლომათ მოეპოებოდა *Falciparum*-ის გამეტებით და ბეჭდები, ავტორმა შეუშხაპუნა ორჯერ კუნთში მისივე (ავადმყოფის) სისხლი; არავითარი ცვლილება ამისაგან არ მიიღო. მაშინ ავტორმა შეუშხაპუნა ავადმყოფს ვენაში 2 კ. ს. *vivax*-ის გამეტებიანი სისხლი. შეშხაპუნებიდან მე 18 დღეზე პერიფერიულ სისხლში აღმოჩნდა *vivax*-ის პარაზიტები, მე 26 დღეზე *vivax*-ის მორულაციის ფირმებიც. ავადმყოფის მკურნალობა ავტორმა გაატარა ნეიისალვარსანით და ქინაქინით ნოხტის მეთოდით. სიცხე გაუნელდა, დარჩა *Falciparum*-ის გამეტები.

მესამე შემთხვევაში ტროპიკული მალარიით ახლად შეპყრობილმა ავად-მყოფმა მიიღო ქინაქინა პირველ ორ დღეს ვენაში შეშხაპუნებით, შემდეგ ორი დღე per os. ბეჭდების რაოდენობამ სქელ წვეთში საგრძნობლად იყლო, მებუთე დღეზე ბეჭდები გაქორა, დარჩა მხოლოდ გამეტები. ქინაქინის შეწყვეტის შემდეგ ავადმყოფმა მიიღო ვენაში *vivax*-ის დიდაღალი გამეტებიანი და შიზონტებიანი სისხლის 2 კ. ს. ათი დღის ინკუბაციის შემდეგ სქელ წვეთში აღმოჩნდა *Falciparum*-ის და *vivax*-ის გამეტები და ბეჭდები, ავადმყოფმა მიიღო ქინაქინა 0,25 t 5; მახლობელ დღეებში სისხლი გაქორა *vivax*-ის პარაზიტები, დარჩა მხოლოდ *Falciparum*-ის გამეტები და ბეჭდები.

ამ ავადმყოფის ასეთი გამეტებიანი სისხლის 2 კუბ. ს. ავტორმა შეუშხაპუნა კან ქვეშ მეოთხე ავადმყოფს (მეოთხე შემთხვევა), რომელსაც არ ქონდა მალარია და სჭირდა *Myelitis chronica*. შეშხაპუნების 4 კვირის შემდეგ პერიფერიულ სისხლში აღმოჩნდა *Falciparum*-ის პატარა ბეჭდები, 4 დღის შემდეგ მისივე გამეტებიც. *vivax*-ის პარაზიტები არ აღმოჩნდა. ავადმყოფს *Falciparum*-ის აღმოჩნდან 14 დღის შემდეგ ავტორმა შეუშხაპუნა ჰიპოდერმში *Vivax*-ის დიდაღ შიზონტებიანი და გამეტებიანი სისხლი— $2\frac{1}{2}$ კ. ს. ასეთი განმეორებული შეშხაპუნება დარჩა უშედეგობა, სისხლში მხოლოდ *Falciparum*-ის პარაზიტები იყო.

ავტორი ამ ცდებისა და თავის წინანდელი მუშაობის (1920 წ.) მიხედვით იძლევა ზოგიერთ დასკვნებს: მისი ცდები *Tertiana*-ს და *perniciosa*-ს პარაზიტებს ეკუთხნის (*Quartana*-ს შემთხვევები არ ქონია); ის თვისი ცდებით ექმრობა *Muhlens*-ის, *Kirschbaum*-ის და *Forschbach*-ის ცდებს, რომლებმაც მიიღეს აცრით იგივე პარაზიტი, რომელიც აუცრეს და წინააღმდეგია უნიტარულ (*Laveran-Pleta* და სხვ.) თეორიისა. უნიტარულ თეორიის საწინააღმდეგოა აგრეთვე სხვადა სხვანარი დამოკიდებულება ქინაქინისადმი და *Salvarsan*-ისადმი ამ ორ სხვადასხვაგვარ პარაზიტისა.

ექსპერიმენტალური მალარიის დროს ინკუბაციის ხანგრძლივობისათვის ავტორის აზრით მნიშვნელობა აქვს გარდა *Ziemann*-ის მიერ მოყვანილ ფუტორებისა, როგორიცაა 1) რაოდენობა სისხლთან ერთად შეშხაპუნებულ პარაზიტებისა 2) პარაზიტების სასიცოცხლო ენერგია, 3) ინდივიდუმის მიმღებლობისა, აგრეთვე იმას თუ როგორ არის ნაწარმოები შეშხაპუნება, წლის რომელ დროს და მიმღები უკვე მალარიანია, თუ თავისუფალია მალარიისაგან.

შეშხაპუნება ვენაში უფრო საიმედოა და ინკუბაციაც მოქლეა. ავტორის შემთხვევებში ინკუბაცია უდრიდა პერიოდიზას—8 და 16 დღე, Tertiana-ს—48 საათი 5, 10 და 18 დღე. კანქვეშ შეშხაპუნების დროს კი ინკუბაცია უფრო გრძელია.

ავტორის აზრით vivax-ის პარაზიტი უფრო სუსტია, Falciparum-ის კი უფრო გამძლე, შეუპოვარი და მავნე (მეტი სიკვდილიანობა).

ს. კანდელაკი.

ნერვების სრეულებანი.

Fischer. ნაძალადევი მოძრაობანი ეპიდემიური ენცეფალიტის დროს. (La Presse med. № 98).

მიოკლონიებს ეპიდემიური ენცეფალიტის დროს უნდა დაგუპირისპიროთ ავტომატიური მოძრაობანი, რომელნიც ავადმყოფის ნებისყოფას ემორჩილებიან ე. ი. ავადმყოფს შეუძლია მათ რამდენიმე ხანს წინააღმდეგობა გაუწიოს, ან ეს მოძრაობანი შეიძლება არ გამოერდენ, თუ ავადმყოფზედ ფსიქიურად ვიმოქმედებთ. უხშირესი ტიპი ამ ავტომატიური მოძრაობისას წარმოადგენს—Torticollis spasmodique. ეს მოძრაობა ჩამოგავს სხვა ავტომატიზმებს ეპიდემიური ენცეფალიტის დროს შენიშნულს. როგორც მაგალითად: სიტყვიერ ავტომატიზმებს (palilalie, paligraphie, écholalie), მოძრაობითი იმპულსებს (Hermann-ის ერთ ავადმყოფს კოშკის, ან რომელიმე ამაღლებულ ადგილის დანახვაზედ არ შეეძლო, რომ მაზედ არ ასულიყო და იქიდან არ გაღმოფრენილიყო; მეორე დაეცემოდა მიწაზედ და იძლეოდა სტერეოტიპულ მოძრაობას, მესამეს არ შეეძლო თავი შეეკავა, რომ არ ეკვნიტა თავის თითების ფრჩხილები.

Fischer-ს სამი შემთხვევა მოყავს:

პირველი—ელექტრონზედ მომუშვავე, 24 წლისა, დაავადებული ეპილემიური ენცეფალიტით 1919 წ. 4 წლის შემდეგ დაემართა კრუნჩხვა მარცხენა ხელში: აქ ხდებოდა ფლექსია მაჯისა, თითებისა და პრონაცია წინამხრისა. ეს მოძრაობა უახლოვდებოდა მოქმედებას, რომელსაც ავადმყოფი თავის მოვალეობის აღსრულების დროს აწარმოებდა და ჩამოგავდა პროფესიონალურ კრუნჩხვას. რამდენიმე თვის შემდეგ განვითარდა პარკინსონის სინდრომი გამომეტყველების დაკარგვით და კანქალით, რასაც დაემატა Torticollis spasmodique.

მეორე—ავადმყოფი ქალი, 22 წლისა, დასნეულდა ენცეფალიტით 1920 წ. 1923 წელს უკვე გამოაჩნდა ფსიქიური სინდრომი, კატატონიური მდგომარეობა, პერიოდებით, როცა მას, მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, არ შეეძლო ეთქვა ერთი სიტყვაც, ან როცა მას არ შეეძლო ეფიქრა თუ არა გერმანულად, მიუხედავად იმისა, რომ მისი დედა-ენა ჰუნგრული იყო. ან როცა მას არ შეეძლო ეჭვრა თუ არა უკულმა ე. ი. თითო სიტყვის პირველ ასოს დასვამდა უკანასკნელზედ და უკანასკნელს კი პირველ ადგილზედ. შემდეგში ეს ავადმყოფი წარმოადგენდა პარკინსონის სინდრომს (სახე გაშეშებულობა, კანქალი) სპაზმი-დიურ torticollis-ით.



მესამე დაკვირვება ყველაზე კურიოზულია. იგი ეხება 13 წლის ბავშვს, რომელიც 1920 წელს დასწეულდა ენცეფალიტით, რასაც მოყვა პარკინზონის სინდრომი სპასზოდიურ terticolis-ით.

როცა სთხოვდნენ ავადმყოფს გაევლო, იგი თავს და თვალებს მარჯვნივ წაიღებდა, იწყებდა მონეუისებურად ტრიალს თავის ტანის ღერძის ირგვლივ და ამგარად ხაზვედა წრეს დამტეტრით დახლოვებით ერთი მეტრისა. ეს ტრიალი გრძელდებოდა იქამდის, სანამ არ წაიქცეოდა გაშეშებული მარჯვენა გვერდზედ და ფეხზედ წამოდგომის უნარის მოსპობილი. მას შეეძლო ამ მინეუისებურ მოძრაობის შესუსტება, თუ მოსჭიდებდით ოდნავ ხელში, ან თუ კიბეზედ ასვლას სთხოვდით. ეს სიმპტომი მოგვაგონებს (დაკვირვებას) მოვლენას, რომელსაც ჩვენ ერთ მეორეზედ ლაბირინტის ან ნათხემის ნახევარ სფეროს ამოკვეთის შემდეგ მივიღებთ. ამ ავადმყოფს ნათხემი და ლაბირინტი არ ქონდა დაზიანებული, ამიტომ ასეთი მოძრაობანი უფრო უნდა ზოლიანი სხეულის დაზიანებას მივაწეროთ.

I 3. 8.

თვალის სეულებანი.

Stock. თვალის კაკლის ტუბერკულოზისათვის. (Ueber Tuberkulose des Augopfes—Medizinische Klinik № I, 1925 წ. გვ. 1—4.).

თვალის ავადმყოფობათა შორის ტუბერკულოზს უკავია არა მცირედი აღგილი. უფრო ხშირად ტუბერკულოზით ავადდება უვეა (uvea): თვალის სარტყელი (ირის), სხივებრივი სხეული, სისხლძარღვა გარსი. მაგრამ არც რქოვანი და ბაღებრივი გარსის ტუბერკულოზია იშვიათი. I უვეას ტუბერკულოზი. თუ მილიარი ტუბერკულოზით ავადმყოფი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში გაისინჯა ოფთალმოსკოპით, დაინახება თითქმის ყოველთვის (ზოგიერთი ავქსონების მიხედვით 95%-ში) არა მცეთრად განსაზღვრული მოყვითალო ბუდეები (Herde). ამ ბუდეების ანატომიური შენობა ტიპიური ტუბერკულოზიანია. მათი განაპოებულ კენტრონები სავსეა, მეტადრე სახლვრებზე, ტუბერკულოზის ჩხირებით. უფრო იშვიათია მილიარი ტუბერკულოზი თვალის სარტყლისა და სხივებრივი გარსისა. პროგნოზის მხრივ სისხლძარღვის გარსის მილიარი ტუბერკულოზი უნდა ჩაითვალოს ცუდ ნიშნად: თითქმის ყველა ავადმყოფი კვდება, თუმცა აქაც არის გამონაკლისი. მეორე სახე უვეას ტუბერკულოზის არის განცალკევებული ტუბერკული. ესეც თითქმის ყოველთვის ვითარდება სისხლძარღვა გარსში. ოფთალმოსკოპში იგი მოჩანს, როგორც მოდიდო მინისებრი გარსისკენ განიბრინილი ბუდე, რომელიც წააგავს ავტონებიან ხორცმეტს. უფრო ყურადღებიანი დაკვირვების შემდეგ ირკვევა, რო მისი ფერი უფრო ოთხრია, ვიდრე მაგ. მელანოსარკომისა, და რომ მისი გარშემო მოფანტულია წვრილი ბუდეები, რომელიც წააგავს მილიარ ტუბერკულოგს. ანატომიურად აქაც უეჭვო ტუბერკულოზიანი შენობაა. პროგნოზი ცუდი—თითქმის ყველა ავადმყოფი კვდება. თვით იგქსონის ხუთი შემთხვევა სიკვდილით გათავებულა. ამავე განცალკევებული ტუბერკულოზის სახეს ეკუთვნის აგრეთვე ის ტუბერკულოზიანი ათება მთელი თვალის კაკლისა (panophthalmitis), რომელიც მწვავედ იჩენს ხოლმე.

თავს. ერთი ამგვარი შემთხვევა ანატომიურად გაუსინჯავს ავტოსნოს და ჟანგის აღმოუჩენია იმდენი ტუბერკულოზის ბაცილები, რომ პირველ ხანებში ეჭვიც კი შეკპარვია—ლეპრასთან ხომ არა მაქს საქმეო. აქაც დასაწყისი სისხლგარსიდან ყოფილიყო. თვალის სარტყელშიაც აქს ალაგი სოლიტერი ტუბერკულუმის გა-
ჩენას. აქ ამ კვანძებს აქვთ მიღრეკილება შეერთებისა ისე რომ რამდენიმე ხნის შემდეგ თვალის სარტყელი წარმოადგენს ერთს რუხ გრანულაციან ქსოვილს, მასთანავე რქოვანი გარსის პარენქიმა იმღვრევა, აქ ვითარდება ახალი სისხლ-
ძარღვები, სკლერშიაც ჩნდება ხორკი, რომლის ზედაპირი დნება და ამნაირად შეიქმნება ნამდვილი ტუბერკულოზიანი წყლული ამ შემთხვევებში თვალი ამო-
კაკლული უნდა იქნეს. სიცოცხლისთვის ამ შემთხვევებში პროგნოზი არც ისე ცუდია. ზემომყვანილ შემთხვევებში ტუბერკულოზის დიაგნოზი, როგორც კლი-
ნიკურად, აგრეთვე ბაქტერიოლოგიურ-ანატომიურად არაა ძნელი. სულ სხვა იმ შემთხვევებში, როდესაც ტუბერკულოზი ქრონიკული მიმკრცვი უვეიტის სახეს დებულობს. დასაწყისში სუბიექტიური სიმპტომები მცირედია: თვალის წინ რაღაც სიმღვრივეები დადიან, არც დიდ ტკივილებს გრძნობს, არც ანთებითი მოვლე-
ნებია შესაჩინევი. გასინჯვის დროს შეიძლება აღმოჩნდეს აქ-იქ თვალის სარტყე-
ლი კიდეები ნიშვებებული თვალის ბროლის წინა კაფსულასთან, თვალის სარტყელ-
ზევე გაფანტულია აქ-იქ წვრილი კვანძები, რუხი ნალექები რქოვანი გარსის უკანა ზედაპირზე, აგრეთვე მინისებრი გარსის სიმღვრივენი, ხანდახან ახალი ბუდეებიც სისხლძარღვ გარსზე. ეს ავადმყოფობა თანდათნ შეპარვით შიდის წინ და ბოლოს თვალი ბრმავდება. ხშირად პროცესში მონაწილეობას დებულო-
ბებ რქოვანი გარსი ან სკლერა. ანატომიურად ამ შემთხვევებში ტიპიური ტუ-
ბერკულოზის სურათს არ გევდავთ. რომ ამგვარი ავადმყოფობა შეიძლება გამო-
წვეული იყოს ტუბერკულოზით მტკიცდება ცხოველებზე ცდებით. უვეას ტუბერ-
კულოზის დიაგნოზის დასასმელად ჯერ ივადმყოფს ყოველმხრივ გასინჯვავენ, მერე მიმართავენ ტუბერკულინით გასინჯვას. თუ კი ტუბერკულინმა გამოიწვია ზოგადი
რეაქცია, უკვირდებიან ადგილობრივ, თვალის, რეაქციას. თუ ამ რეაქციამაც იჩინა თავი, მაშინ ტუბერკულოზიანი ხასიათი დაავადებისა უნდა ჩაითვალოს დამტკიცებულად, თუ არა—შესაძლოდ. რაკი ერთხელ დაავადების მიზეზად ტუბერკულოზი იქნა მიღებული მაშინ უნდა იყოს დაწყებული სათანადო წმილო-
ბა ადგილობრივი და ზოგადი. ადგილობრივად ატროპინი. რადგან ატროპინი უნდა იხმარებოდეს მთელი წმილობის დროს. ე. ი. თვეობით, ან შეიძლება წელიწადი—ავადმყოფს უნდა მიეცეს შესაცერი სათვალეები (აკემიდაცია ხომ დალუნებული ექნება ატროპინისაგან) სამუშაოდ. სოსანი სინათლისათვის,
როგორც უშედეგოსთვის, ავქსონს თავი დაუნებებია. უფრო მეტ იმედებს ამყა-
რებს იგი რენტგენის სხივებზე. აქ კი ძრიელ სითრთხილეა საჭირო, ზოგადი წამლობის მიზნით უნდა მიეცეს დიდი ყურადღება კვებას—რომელიც უნდა იყოს ნომირი და არა გადაჭარბებული. სტომაქის მოქმედება უნდა იყოს რეგუ-
ლიარი, მუცილის შეკვრა უნდა იყოს უსათუოდ აცილებული—უნდა იყოს გატა-
რებული, თუ შესაძლოა მზით წამლობა, მაღლობის მზით კურნება და ყოველ შემთხვევაში—ტუბერკულინით წამლობა. ავქსონს 25 წლის განმავლობაში უსინჯვია ძველი ტუბერკულინი, ახალი ტუბერკულინი, როზენბერგის ტუბერკულინი, კანის



აცრა Moro, Petruschky, Ponndorf-ის წესებით და მისულა იმ დასკვნამდე, რომ ყველა ეს ტუბერკულინები საერთოდ კარგებია. ნაწიბურის შექმნის გასაძლიერებლად ხმარობს სილისტერნს.

II. ბადებრივი გარსის ტუბერკულოზი. ოცი წლის შინ ფიქრობდენ, ვითომც ბადებრივი გარსი ტუბერკულოზისადმი იმმუნი ყოფილიყოს. ეხლა ცნობილია, რო ბადებრივი გარსში აქვს ალაგი პირველად ტუბერკულოზს ამ შემთხვევებში კლინიკური გასინჯვის ღროს ბადებრივი გარსში ემჩნევა მოდიდო ან წვრილი სისხლჩაქცევანი, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ ჰქონდებიან, და ხელახლავ ჩნდებიან ამ მოვლენის მიზეზს ვპოულობთ ვენების დაავადებაში. ოფთალმოსკოპით ვენებს აქ-იქ ემჩნევა თეთრად შებურვ-შემოსვა, სხვა ალაგებს ან და ამ შესამოსის შუაში ხშირი ხორქლიანი გამსხვილებანი. ანატომიური გამოკვლევა ადასტურებს მათ ტუბერკულოზიან ხასიათს. ამ დაავადებას ხშირად მისდევს ცუდი შედეგები (Retinitis proliferans და სხ.), ზოგიერთი შემთხვევა თავდება სრული განსაღებით. წამლობა იგივეა როგორც მიმკოცავ ირიდოციკლიტის ღროს. რომ სისხლი უფრო ადვილად შედედეს ავქსონი აძლევს ჟელატინას — პუდდინგის სახით. როგორც ქრონიკული ირიდოციკლიტის ღროს, აგრეთვე ტუბერკულოზიან ბადებრივ გარსში სისხლ-ჩაქცევის ღროს ხშირად მინისებრი გარსის სიმღვრივენი. ამ ბოლო ღროს აწერილი იქმნა აგრეთვე ტუბერკულოზი მხედველობის ნერვისა. ავქსონის ერთს შემთხვევაში მხედველობის ნერვის ტუბერკულოზი გადასულა მენინგებზე და გამოუწვევია სიკვდილი. რაღაც ძნელია კაცის თვალის ტუბერკულოზის წამლობის ავ-კარგიანობაზე მსჯელობა, ავქსონს მიუმართავს ცხოველებზე ექსპერიმენტებისათვის. რაღაც ეს ექსპერიმენტები ძვირად ჯდებიან და ბევრს ღროს მოითხოვს ამისათვის იგი სთხოვს ყველას, ვის ხელშიც ცხოველების დიდი მასალაა, შეუდგენ ამგვარსავე ექსპერიმენტებს.

ა. შ.

მალარია ტერციანას წაგლობა.

E. Marchonix. განსაკუთრებული მოქმედება Stovarsol-ისა მალარია ტერციანას ღროს (Ann. Inst. Pasteur, t. XXXIX, mars 1925, pp. 197-208).

ავტორი მოკლედ აღწერს თუ რა სიძნელეს. წარმოადგენს მაღარიასთან ბრძოლა, განსაკუთრებით იქ, სადაც იგი ძალიან არის გავრცელებული. აღნიშნავს აგრეთვე, რომ დღემდის ერთად-ერთი საუკეთესო საბრძოლველი საშუალება, როგორც თერაპევტიული ისე პროფილაქტიური მიზნით, არის ქინაქინა. ამასთანავე ავტორი დასძენს, რომ სიძოირე ამ უკანასკნელისა და სიმცირე მისი რაოდენობისა აიძულებს კაცობრიობას ეძიოს ისეთი ნივთიერება, რომელიც ქინაქინის მაგივრობას გავვიწევს და ამავე ღროს შეიძლებოდეს მისი დამზადება განუსაზღვრელი რაოდენობით. შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ ქინაქინასთან ერთად საპატიო ადგილი ეჭირა დარიშხანს და მის პრეპარატებს, რომელთაც მხოლოდ ნაწილობრივ გაამართლეს მოლოდინი.

ავტორი გადადის რა Stovarsol-ის ხმარებაზე აღნიშნავს, რომ E. Fourneau-ს მიერ იყო შესწავლილი დარიშხანის სიმუვეები და მის მიერ იყო დამზადებული.

ლი ორი პრეპარატი: ოქსიამინოფენილ დარიშხანის სიმჟავე ანუ 189 და მეორე 190 აცეტილიანი წარმონაქმნი ამ სიმჟავისა. პირველი აღმოჩნდა მერყევი და ადვილად იჩენდა ტოქსიურ თვისებებს, მეორემ კი, Stovarsol-ის სახელით, მოახვეჭა ყურადღება. ეს უკანასკნელი ნაცადი იყო მრავალი ავტორის მიერ სხვადასხვა პროტოზოებით დაავადების დროს (ამიბიაზი, ლამბლიოზი და სხვა) და ყველას მიერ იყო მიღებული დადგებითი შედეგი.

შემდეგ ავტორი მოვკითხრობს თუ, როგორ მიეცა მას საშუალება ეწარმოებინა პირველი ცდები. მან ისარგებლა Auguste Marie-ის მასალით, რომელიც მაღარიით ატარებდა მკურნალობას წარმატებით მავალ სიღამბლავით დაავადებულებზე; აქვე აღნიშნავს, რომ Auguste Marie-მ, როგორ სხვა ავტორებმა, მიიღეს დადებითი შედეგი იმ მხრივ, რომ ავადმყოფების მდგომარეობა უმჯობესდებოდა და ადგილი ჰქონდა ხანგრძლივ რემისიებს. ამის გარდა ავტორი აღნიშნავს, რომ მას საშუალება ჰქონდა თვალყური ედევნებინა პარაზიტების განვითარებაზე და დასძენს, რომ წინააღმდეგ უნიტარული მოძღვრების მიმდევრებისა, მაღარიის ერთი ფორმის მეორე ფორმაში გადასვლას ადგილი არ ჰქონდა.

ამ მიმართულებით ავტორის მიერ წარმოებული ცდების შედეგები იყო შემდეგი: 7 ავადმყოფს, რომელთაც ქინაქინის წამლობის შემდეგ ისევ ჰქონდათ შეტევები, შეუშხაპუნა ვენაში 1,0 Stovarsol-ისა. Stovarsol-ს ხმარობდა არა აცეტილამინოფენილ დარიშხანიან სიმჟავეს, არამედ ნატრიუმის მარილს, რომლის ერთი გრამი იხსნება 8 კ. ს. წყალში. ავტორი 1,0 ნატრიიან Stovarsol-ისას ხსნდა 10 კ. ს. წყალში და ისე უშხაპუნებდა. ყველა მათგანს შეუშხაპუნა მხოლოდ ერთხელ და 24 საათის განმავლობაში პარაზიტები გაჰქრენ.

დაშლა პარაზიტებისა არ ხდებოდა ერთიაშად, არამედ თანდათანობით. ნაცხები იღებოდა ყოველ საათს და იშინჯებოდა. უპირველეს ყოვლისა ჰქონდოდენ პიგმენტიანი პარაზიტები. უკვე 6 საათის შემდეგ პიგმენტიანი პარაზიტები აღარ იშინჯებოდენ. ყველაზე დიდ გამძლეობას იჩენდენ ახალგაზრდა ფორმები, სწორედ პირიქით, რაც ხდება ქინაქინით წამლობის დროს. ავტორი აღნიშნავს, რომ ადგილი ჰქონდა არა ფრაგმენტაციის პროცესს, არამედ პარაზიტის პროტოპლაზმის კონდენსაციას, უმთავრესად კი ხრომატინისას. შემდეგ პროტოპლაზმა ჰქარგვდა უნარს სალებავის შეთვისებისას, ლნვებოდა და ჰქონდა. ბირთვი, პირიქით, იყო მკვრივი, კარგად იღებებოდა, თითქოს მოცულობით უფრო დიდი, ვიდრე ნორმალურ ჰქმატოზორისა და იყო ოდნავ გარშემორტყმული პროტოპლაზმის ჩრდილით. ბოლოს და ბოლოს ბირთვიც დნებოდა.

ყველა ამ დაკვირვებიდან ავტორი დასძენს, რომ ღირსშესამჩნევია ერთის მხრივ ის, რომ Stovarsol-ით მკურნალობის დროს მგრძნობიარობას იჩენენ პიგმენტიანი პარაზიტები, კერძოთ გამეტები, რომელზედაც ქინაქინა ძნელად მოქმედობს და მეორე ის, რომ ეს მოქმედება ძალიან სწრაფია. ავტორი იმედს გამოსთქვას, რომ Stovarsol-ის ხმარება პროფილაქტიური მიზნით მოგვცემს საუკეთესო შედეგს.

როგორც დასკვნა ზემო აღნიშნულ ცდებისა ავტორი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია შივილოთ რეციდივი მხოლოდ ერთ შესამედ შემთხვევაში, ისიც არ უძღვეს ორი თვისა და რომ დიდ მიღწევებს წარმოადგენს დაავადებულთა რიცვის ორი მესამედის შოსპობა Stovarsol-ის ერთი შეუშხაპუნებით.



ავტორმა მოიხმარა Stovarsol-ი აგრეთვე ალქირის ერთ პარარა ქალაქში, სადაც ავტორის გამოკვლევით მაღარიით დავადება უდრის 60%, სისხლში პარაზიტები კი ნახული იყო $\frac{1}{3}$, შემთხვევაში. აქ ავტორმა იხმარა Stovarsol-ი 44 შემთხვევაში (12 შემთხვევა იყო mal. tertiana-სი, 19—mal. quartana-სი და 13—mal. tropica-სი).

Mal. tertiana-ს დროს ავტორი ხმარობდა Stovarsol-ს per os, როგორც გაუხსნელს, ისე გახსნილს, გახსნილს აგრეთვე ხმარობდა კანქვეშ, კუნთებში და კენაში. რანაირიც არ უნდა ყოფილიყო საშუალება ხმარებისა, კუელგან ავტორი ილებდა ერთნაირ, უკვე ზემოთ აღწერილ, დადებით შედეგს.

რაც შეეხება Mal. tropica და quartana-ს დროს Stovarsol-ს ხმარობდა იგივე დოზებით და სხვადასხვა საშუალებით, მაგრამ არავითარ შედეგს არ იღებდა. პარაზიტები ჩვეულებრივ განვითარდებოდნ თავით განვითარების ციკლს. ერთ შემთხვევაში, სადაც ავტორს ორმაგ დასწრებოვანებასთან ჰქონდა საქმე, სახელდობრ mal. tertiana და quartana-სთან; Stovarsol-ის ხმარების შემდეგ ავადმყოფი განთავისულებული იყო mal. tertiana-სგან, mal. quartana-ს პარაზიტები კი დარჩა უცვლელი.

ავტორი განიხილავს რა Stovarsol-ს აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი უნდა ჩაითვალოს სპეციფიურ საშუალებად Mal. tertiana-ს დროს და როგორც დამხმარე mal. quartana და tropica-ს დროს.

დასასრულს ავტორს გამოჰყავს შემდეგი დასკვნანი:

1. Stovarsol-ის ერთი გრამი (მოზრდილთაფის) და 0,37 (ბავშვთაფის), რომელიც ძალიან დაშორებულია ტოქსიურ დოზასთან, რანაირადაც არ უნდა იყოს ნახმარი, სწრაფად სპობს mal. tertiana-ს პარაზიტებს. ეს უკანასკნელნი დნებიან როგორც შაქარი ჭყალში.

2. პარაზიტების დაზღვიანი იშვება პიგმენტიანი ფორმებით.

3. ახალგაზრდა ფორმები უფრო გამძლენი არიან, მაგრამ 24 საათის განვილობაში ესენიც ისპობიან.

4. ერთი შეშაბუნების შემდეგ რეციდივს აქვს ადგილი მხოლოდ ერთ მე-საბედ შემთხვევაში, ისიც არ უადრეს ორი თვისა.

5. Mal. quartana და mal. tropica-ს დროს მარტო Stovarsol-ი არავითარ შედეგს არ იძლევა.

6. ვინაიდან P.vivax-ი ერთად ერთია, რომელიც იძლევა ელენთის უაღრეს გადიდებას, ამიტომ პრაქტიკაში ექიმებს შეუძლიანთ უმიკროსკოპოთ, პალპაციით დასვან დიაგნოზი და იხმარონ Stovarsol-ი.

7. მერქნობიარობა P. vivax-ისა დარიშხანის პრეპარატებისადმი და ამავე დროს არავითარი მერქნობიარობა P. malariae და P. falciparum-ისა, კიდევ მეტ საბუთს იძლევა, რომ მაღარიის სხვადასხვა ფორმა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთ ფორმად, არამედ იგინი შარმოადგენენ სამ ერთი ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ფორმას.

III

გიგლიორგჩიაშვილი.

Mayer, Martin. Exotische Krankheiten. (ეკზოტიური ავაღმყოფობანი). მოკლე სახელმძღვანელო პრაქტიკისათვის 210 სურათით და 2 ტაბულით. ბერლინი, 1924 წ. 304 გვ. ფასი 24 მარკა, შეკ. 25 მარკა.

ამ ახალი სახელმძღვანელოს ავტორი, პროფ. მ. მაიერი, ჰამბურგის ტროპიკული ინსტიტუტის ერთი ხელმძღვანელთაგანია და ტროპიკული მედიცინის დარგში ცნობილია თავისი შრომებით. ეს სახელმძღვანელო, ისე როგორც ამავე ავტორის და ნოხტის მაღარია (ეხლა უკვე თარგმნილი ქართულად ბ. ოქროპირიძის მიერ) უმთავრესად თბილ ქვეყნებში მომუშავე ექიმებისთვისაა დანიშნული. ავტორს პირველ რიგში მხედველობაში ყავს ის მრავალი უცხო ექიმები, რომლებიც ყოველ წლივ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული, ისმენენ ჰამბურგის ტროპიკული ინსტიტუტის კურსებს; თავიანთ სამშობლოში დაბრუნებისას მათ სჭირდებათ პრაქტიკული მუშაობის დროს მოკლე თანამედროვე სახელმძღვანელო ტროპიკული ანუ ეგზოტიური მედიცინისა და ეს სახელმძღვანელოც უმთავრესად ამ მიზანს ემსახურება.

ავტორი, როგორც ჩვეულებრივად თავის ლექციებზე, ისე ამ სახელმძღვანელოშიც, ცდილობს საგნის უცხოელებისათვის გასაგები ენით გადმოცემას და ეს მას ზედმიწევნით ეხერხება.

მოკლეთ, თეორიულ მსჯელობების შეზღუდვით, ავტორს მოყვანილი აქვს ჩველა თანამედროვე მთავარი ლირსტესანიშნავი ცნობები ტროპიკულ ავაღმყოფობათა ეტიოლოგიდან, კლინიკიდან, პათოლოგიიდან და თერაპიიდან.

სახელმძღვანელოს 11 ნაწილში აღწერილია ყველა ის ტროპიკული სეულებანი, რომლებიც გამოწვეულია პროტომოქებისაგან, სპიროხეტებისაგან, ბაქტერიებისაგან, ჭიებისაგან, ართროპოდებისაგან, სოკოებისაგან (კანის ავაღმყოფობანი) და სხვა მიზეზებისაგან.

წიგნი საუცხოვოდაა გამოცემული და მშვენიერადაა დასურათებული.

ყველა ქართველ ექიმს, ვისაც კი შეუძლია ცოტად მაინც სარგებლობა გერმანული ენით, ჩვენ ვურჩევთ ამ წიგნის შეძენას. ის მათ ბევრჯერ გაუწევს დიდ დახმარებას იმ ძნელ საკითხებში, რომლებიც ხშირად ძნელ მდგომარეობაში აყენებს ექიმს პრაქტიკული მუშაობის დროს, მით უმეტეს, რომ ტროპიკული მედიცინის დარგი ჩვენში თანდათან ფართოვდება ახალ-ახალი ეკზოტიური ავაღმყოფობათა აღწერით.

ს. კანდელაკი.

IV.

კორესპონდენციები.

ქართველ ექიმთა საზოგადოების 8/1 1925 წ. სხდომის ოქთ.

დაესწრო წევრი 33, სტუმარი 48. თავმჯდომარეობს პროფ. გ. მუხაძე.

მოხსენება პირველი: ექ. გ. ლორთქიფანიძე. „წვივის ძვლის თანდაყოლილი გადატეხილობის შემთხვევა“.

მომხსენებელი აჩვენებს საზოგადოებას შემთხვევის რენტგენის სურათს ბავშვისას, რომელსაც გადატეხილი ჰქონდა დიდი წვივის ძვალი და არ ჰქონდა განვითარებული სრულიად უკანა ტერფის ძვლები, გარდა ქუსლის ძვლისა, რომლის სხეულის მკვლევარია სიანდა მხოლოდ მისი ჩანასახი მორგვალო ღანდის სახით. დიდი წვივის გასწრივ მოსახანს მცირე ნაწიბურები. მომხსენებლის აზრით დიდი წვივი გადატეხილია ჩანასახოვან ხანაში და ასაბუთებს იმით, რომ წვივზედ გარედან ხელის შეხებით კორძი—calpus ეტყობა, რომელიც ძველი ნაწიბურის შთაბეჭდილებას სტოვებს. ავტორის აზრით ამ ნაწიბურების წარმოშობის ომონარების ძაფების შესახებ აზრს არ გაიზიარებს, ვინაიდან ნაყოფის გარემო წყლები მის შემთხვევაში ნორმალური რაოდენობისა იყო. ავტორის აზრით ნაწიბურები აიხსნება გადატეხილ ძვლის მახვილი ნაწილით, რომელმაც ახლო მდებარე ნაზი ქსოვილები დააზიანა.

კ დ მ ა თ ი:

მ. კილოსანიძე—იმის გარდა, რომ ბავშვს სრულიად არა აქვს მარჯვენა ფეხზედ მცირე წვივი და უკანა ტერფის უმრავლეს ძვლების ჩანასახიც არა სჩანს, ბავშვს მკაფიოთ აქვს გამოხატული pes valgus. ამასთან ერთად რენტგენის სურათი ამასაც გვიჩვენებს, რომ დიდი წვივის ძვალი საკმაოდ არ არის განვითარებული და მასთან გადატეხილა დაბარებამდე და შეხორცებულა არანორმალურად. ასეთი შემთხვევა იშვიათია, და მე მქონდა შემთხვევა როდესაც ბავშვს ორთავე ფეხზებზედ არ ჰქონდა წვივები და ტერფები მიკრული ჰარძაყის ძვლებზედ. ასეთ შემთხვევაში შეიძლება დახმარებაც აღმოუჩინოთ შემდეგნაირად: მეორე წვივიდან გადავნერგოთ ძვალი, რომლის ერთი ბოლო უნდა ჩაისას წვივზედ გაკეთებულ ზემო ხერელში და მეორე ბოლო ტერფის უკანა ძვლებში თუ ეს ძვლები განვითარდენ, რასაცვირველია გადატეხილობის წინასწარი გასწორების შემდეგ.

პროფ. გ. მუხაძე—ჩემთვის არ არის აშკარა რომ მომხსენებლის შემთხვევაში უთულ გადატეხილობასთან გვაქვს საქმე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სურათზედ ნაჩვენები მოვლენები არის შედევი ძვლების არანორმალური განვითარებისა.

პროფ. ი. თიკანაძე. იცავს მომხსენებლის აზრს გადატეხილობის შესახებ და ამის საბუთად მოჰყავს ის ფაქტი, რომ საღ ფეხზედ არავითარი ცვლილება არ იყო, გადატეხილ წვივის ძვალს მახვილი კუთხის ფორმა ჰქონდა და მასზედ გადაკრულ კანს ნაწილურის სურათი აშკარად განირჩეოდა მახლობელ ნაწილების კანის სურათებისაგან.

მოხსენების შემდეგ ექ. გ. ლორთქიფანიძე აჩვენებს საზოგადოებას ნააღრევიდ დაბადებული მახინჯი ბავშვის გავამს—„ციკლოპს“.

სიმახინჯე შემდეგი ფორმისაა: ბავშვის სახე პირველი შეხედვით ბრტყელია, ცხვირი არა აქვს განვითარებული; შუაზედ აქვს ერთი თვალი, რომელიც მთელი glabella-ს მიღამოს იყავებს. ეს თვალი ნორმალურ თვალთან შედარებით უფრო დიდია, ქუთუთოები მცირეა და თვალის კაკალი წინიდან არ ჰქონდავნ, საცრემლე კორდი კენტრა და ქვემო ქუთუთოს ცენტრალურ ნაწილშია მოთავსებული. თვალის ზევით, შუა ხაზზედ შუბლის მიღამოში არსებობს რბილი წარწილულება ხორთუმივით, 3 cm. სიგძისა და 1 cm. სისქისა. მომხსენებელს ეს დანამატი განუვითარებელ ცხვირად მიაჩინა.

სიმახინჯის ეტიოლოგიის შესახებ მომხსენებელი იზიარებს პროფ. ტარასევიჩის აზრს ამნიონურ და ანთებითი თეორიის შესახებ. გვამის გარდა მომხსენებელი უჩვენებს საზოგადოებას მახინჯის რენტგენის სურათს.

პროფ. ა. ნათიშვილი. წარმოდგენილი შემთხვევა საინტერესოა იმით, რომ სრულიად განვითარებულ თავზედ წმინდა ციკლოპის ანატომიური სურათია განვითარებული. უფრო საინტერესო იქნებოდა ეს შემთხვევა, თუ დაუყონებლივ მხანინჯის რბილი ნაწილების გამაგრება მოხდება საკონსერვაციო სითხის ინიციატივით თავის ტვინის თავისებურობის გამოსარკვევად.

მოხსენება მეორე.

ექ. გიგინეოშვილი. „ქალის სასქესო ორგანოების ორმაგი სიმახინჯის კაზუისტიკისათვის“.

მომხსენებელი აღწერს ოთხ თავის შემთხვევას გატარებულთ დოკ. ლოლობერიძის განყოფილებაში.

შემთხვევა პირველი: Uterus bicornis unicolis cum vagina solida.—ქალშული, 30 წლისა, ხშირი სისხლის დენა აქვს უკვე 13 წლის განმავლობაში. ერთი წლის წინათ გაკეთებული ჰქონდა სხვაგან პოლიპის ამოჭრია საშვილოსნოს ყელიდან. გამოკვლეულამ აღმოაჩინა ორი საშვილოსნო ერთი ყელით. ორივე საშვილოსნო ამოფხეკილია. განაფეხების გასინჯვის შედეგი პოლიპოზური ენდონეტრიტი.—ავადყოფი გაეწერა კარგ მდგომარეობაში.

შემთხვევა: Uterus pseudodididelphus cum vagina separativa. ქალი 36 წლ. უჩივის უშვილობას და dysmenorhea-ს. სქესობრივად ცხოვრობს 13 წელს. გასინჯვა: გარეუნულებდ კარგი განვითარებისაა. საშო გაყოფილია ტრეარის ორნაწილად, ყოველ ნაწილს აქვს კარგად განვითარებული portio vaginalis uteri; საშვილოსნოს ტანი ორია და განცალკევებული და საკუთარი დანამატი აქვთ. მარცხენა საშვილოსნოს ლრუ=7 სანტ. მარჯვენასი=5 $\frac{1}{2}$ სანტ. გაუკეთდა ორივე საშვილოსნოს გამოფხევა, ტიხარი გაკვეთილია შუაში და გაკერილი განუწყვეტლივი ნაკერით.

თვიური ისევ ტკივილებით აქვს.

შემთხვევა მესამე—Uter. bicularis bicervicalis cum vagina dupl.— ავად-
მყოფი უჩივის სისხლის დენას და ტკივილებს. სქესობრივი ცხოვრება აქვს 6 წე-
ლი. გასინჯვამ აღმოაჩინა: საშო გაყოფილია ტიხარით ორად. ორივეში განვითა-
რებულია parti vagin. ut. უკანასკნელი ზემოთ გადადის განიერ მაგარი კონსი-
სტენციის სხეულში რომელიც შუაში ჩაზღებილია. ზონდის გატარებამ აღმოა-
ჩინა ყოველ ყელში განცალკევებული არხი და საშვილ. ლრუ. გაუკეთდა გამოფხე-
კა. სისხლის დენა მაინც აწუხებს.

**შემთხვევა მეოთხე—Uter. in corn. rudimentary. cum atresia canalis cer-
vicalis—** ქალი 32 წლ. ივიური არასოდეს არ ჰქონია. უკანასკნელ ორ წელს
აწუხებს ტკივილები ყოველ 3,4 კვირაში უფრო მარჯვენა მხარზე, რომელიც სა-
თანადო ფეხზედ ვრცელდება.

ბიმანუალური გასინჯვით აღმოჩნდა: საშვილოსნო ზომიერი, მარჯვენა კუთ-
ხეზედ სიმსივნე, მაგარი, მოძრავი. დანამატი მკაფიოდ არ ისინჯვება, ყელის
არხში ზონდი $\frac{1}{2}$ სანტიმეტრზედ შედის.

ლაპარატომია. აღმოჩნდა რულიმეტრალური რქა, მის და საშვილოსნოს ღრუ.
ამოცსებულია შედედებულ, 3 კოვზის რაოდენობის სისხლით ყელის არხში ზონ-
დი არ გადის. საშვილოსნო ამოცვეთილია. შედეგი დამაქმაყოფილებელი.

მომხსენებელი აღნიშნული შემთხვევების წარმოშობას აშუქებს ემბრიოლო-
გიის თვალსაზრისით.

კამათი:

მ. მგალობლიუმი. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფს ორჯერ
გამოფხეკის შედეგ სისხლის დენა მაინც არ უწყდება, შეიძლება კარგი შედე-
გები მივიღოთ რენტგენის სხივებით და ნაჭილობრივ რეზექციითაც ვისარგებლოთ.

პროფ. ი. თიკანაძე. მე უნდა გისაყველუროთ, რომ თქვენ თქვენს მოხსე-
ნებაში არ მოყავსთ ის შემთხვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მშობლიურ
უნივერსიტეტის კლინიკებში და რომელთა შესახებ მოხსენებები იყო და გამო-
ქვეყნებულიც არის. ამის გარდა, მე მონია, რომ თქვენს მეოთხე შემთხვევაში
ამპუტაციის მაგივრად გაკეთებული უნდა ყოფილიყო საშვილოსნოს ყელის ალ-
დგენა და ოპერატორს პირველ ყოვლისა ეს უკანასკნელი უნდა ეცადა.

ექ. გიგინერიუმი. ყელის აღდგენის ცდა ამათ იქნებოდა და სასურველ
შედეგს ვერ მივაღწევდით, ვინაიდან ყოველ ეჭვს გარეშეა რომ იგი ისევ შე-
ხორციელდებოდა და სისხლი კვლავ შეგუბდებოდა.

დოც. ბ. ლოლობერიძე. ამ საკითხში მომხსენებელს ეთანხმება და უმატებს:
რქიდან ზონდის გატარება ვსცადეთ და გასაგალი გზა დახურული აღმოჩნდა.

ვ. კანდელაკი. რულიმეტრალურ რქაში hematometria-ზე ლაბარაკი ზედ-
მეტია, ვინაიდან ასეთი რქა მოკლებულია მენსტრუალურ ფუნქციას და მისი
ლორწოვიანი გარსი ატროფიას განიცდის. მე ვეთანხმები პროფ. თიკანაძის აზრს
იმის შესახებ, რომ საშვილოსნოს ყელის არხი უნდა გაფართოვებული ყოფილი-
ყო და გამოშვებული სისხლი.

დოც. ბ. ლოლობერიძე. Hematometri-ს წარმოშობის წყარო შეიძლება იყოს
როგორც საშვილოსნო ისე რულიმეტრალური რქაც.

პროფ. ს. გოგიაშვილი. ხელოვნურად გაკეთებული საშვილოსნოს ყელის არხი ავადმყოფს არ შერჩება.

მ. მალობლიშვილი. შესაძლებლად სთვლის ამოეჭრათ მთელი ყელი და საშვილოსნო და პირდაპირ მიეკერებიათ საშოტე.

დოც. ბ. ლოლობერიძე. ეხება შემთხვევის დიაგნოზს და განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში საბაბი არ ყოფილა, hematometria-ზე გვეფიქრა, ვინაიდან საშვილოსნო არ იყო გადიდებული. იყო ეჭვი ფიბრომის და დამატებითი რეის შესახებ.

პროფ. გ. მუხაძე. იმეორებს პროფ. ი. თიკანაძის აზრს და გამოსთვევას სურვილს, რათა საზოგადოთ მომხსენებლებმა იქნიონ სახეში არა მხოლოდ უცხოელ ლიტერატურის ცნობების მოყვანა, არამედ გაუწიონ ანგარიში და მოიხსენიონ აგრეთვე ქართულ ლიტერატურაში უკვე აღწერილი შემთხვევები და ნასალები.

ტფილისის ქართველ ექიმთა საზოგ. სხდომის 15/1 1925 წ. ოქმი.

დაესწრო 54 წევრი და 50 სტუმარი.

თავმჯდომარე პროფ. ალ. ნათოშვილი.

მოხსენება პირველი.

ექ. ჯავრიშვილი. „Tuberculosis cutis fugosa“. მომხსენებელი საზოგადოებას ავადმყოფს უჩვენებს, რომელსაც მარჯვენა ტერფზედ და კოჭ-ჭვივის სახსრის მიღამოს კანზედ აქვს სოკოსებრივი შეზრდილობანი, რომელთა შორის დაწყლულებულია. საერთოდ ფეხი გასიებული აქვს და სპილოს ფეხს მოგვაგონებს (Elephantiasis). მომხსენებელი აჩვენებს პოოლოგ-ანოტომიურ პრე-პარატებს და რენტგენის სურათსაც და აგრეთვე მოკლე ლიტერატურული ცნობებიც მოჰყავს. ამგვარი დაავადება პირველი აუწერია 1891 წელს Herr Custor Kiehl-ს, მეორე შემთხვევა აწერილი აქვს Poncet-ს. მომხსენებელი დიფერენციალურ დიაგნოზს ატარებს შემდეგ სხეულებათა შორის: blastomycosis, sporotrichosis; ორივე ამ ავადმყოფობას იგი უარყოფს, ვინაიდან ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას უარყოფითი შედეგი მოუცია; Syphilis vegetans-ს ავტო-ო უარყოფს, რაღაც სპეციფიურ წამლობამ არავითარი გავლენა არ იქნია პროცესზედ. თავის დიაგნოზს ავტორი ასაბუთებს ანამნეზზე, პროცესის კლინიკურ მიმდინარეობაზე, პათოლოგ-ანატომიურ და რენტგენის სურათებზედ.

კამათი.

კ. ტყეშელაშვილი. მოხსენებაში არა ასეუმარისი ცნობები იმის შესახებ თუ რა ცვლილებები განიცადა კანის სხვადასხვა შრებმა. თერაპიის მხრივ უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილ შემთხვევაში მხოლოდ ამპუტაციაზე შეიძლება ლაპარაკი, ვინაიდან პროცესი შორს არის წასული. უფრო მსუბუქ შემთხვევაში უფრო შესაძლებელი იქნებოდა მოგვეხმარა სხვა საშუალებანიც, რომელიც ხანდახან კარგ შედეგებს იძლევიან: მაგ., კოვზით ამოფხევა, პაკელენით ანუ რძე მძავის სითხით ამოწვა, იმდოფორმის ემულსით სარგებლობა და სხვა.



ნ. გავრცელობი. საინტერესოა თუ რამდენად გავრცელებულია კანის ტუბერკულოზი საქართველოში და ადვილია თუ არა ხსენებული დაავადების ღროს Koch-ის ჩიტორების აღმოჩენა.

ილ. ახმეტელი. მარტო გიგანტური უჯრედების არსებობა არ ამტკიცებს ჩეულებრივ, რომ ჩენ ტუბერკულოზთან გვაქვს საქმე. ამიტომ საჭიროა გავიგოთ იყო თუ არა პათოლოგ-ანატომიური კვლევის ღროს აღმოჩენილი endoarterit-i.

ვლ. ცეცხლაძე. ჰქონდა ავადმყოფს თუ არა ჭლექის მოვლენანი შინაგანი ორგანოების მხრივ.

გ. კილოსანიძე. თერაპიის შესახებ არაფერი არ იყო ნათქვამი და ამიტომ საინტერესოა თუ რა ზომებს მიმართავს მომხსენებელი.

ალ. ჯავრიშვილი. ავადმყოფს შინაგანი ორგანოები საღი აღმოჩნდა. საქართველოში ამ ავადმყოფობის გავრცელების შესახებ არავითარი სტატისტიკა არ არსებობს. ჩემი პირადი დაკვირვების მიხედვით კანის ტუბერკულოზი საკმაოდ არის გავრცელებული საქართველოში. Koch-ის ჩიტორების აღმოჩენა პათოლოგ-ანატომიურად ამ შემთხვევაში ძნელ საქმეს წარმოადგენს. ავადმყოფს კანზედ შეშუცება ჰქონდა უჯრედებს შორის. Stratum Spihosum ზედმეტად ჰქონდა გასქელებული; endoarterit-i მცავიოდ იყო გამოხატული; სხვა ცელილებები კანში არ მინახავს. თერაპიის მხრივ მხოლოდ ამპუტაციას შეიძლება მიემართოთ.

მოხსენება მეორე.

პროფ. თიკანაძე. „მუცლის მოწყვეტა საექიმო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით“ *).

ბ. მგალობლიშვილი. რატომ უნდა სწარმოებდეს მუცლის მოწყვეტა მხოლოდ სახელმწიფოებრივ დაწესებულებაში და აკრძალულ უნდა იქმნას იგი კერძო სამშობიაროში. საინტერესოა თქვენი აზრი იმის შესახებ თუ რატომ გამრავლდა მუცლის მოწყვეტის შემთხვევები ლეგალიზაციის შემდეგ, და რატომ უკავია თქვენს დებულებებში უკანასკნელი იდგილი სოციალურ საკითხს.

დოც. გ. ლოლობერიძე. ეწინააღმდეგება თუ არა აბორტის გაკეთება სოციალური მოსაზრებით სამკურნალო თვალსაზრისს.

ე. მრევლიშვილი. საკმაო იქნება თუ არა აბორტების საწარმოებლად ქალაქში მყოფი საავადმყოფოებში საწოლების რიცხვი.

ექ. ზალაშბერიძე. ყველა ბავშვები რომ სოციალურად უზრუნველყოფილი იყვნენ მაშინაც საჭირო იქნება აბორტების გაკეთება თუ არა?

გ. ნათაძე. რით აიხსნება ის მოვლენა, რომ მდიდრებში უფრო ხშირ მოვლენას წარმოადგენს აბორტის ვინებ ღარიბებში.

გ. ჩხეიძე. თქვენი სტატისტიკური ცნობებიდან სჩანს, რომ აბორტი მეტად გახშირებულია. არ შეიძლება ვიფაქროთ, რომ წინეთ მეტი კეთდებოდა აბორტი, მაგრამ ჩენ საკმარისი ცნობები არ გვქონდა?

*) დაბეჭდილია „თანამედროვე შედიცინის“ 1925 წ. № 1-ში.

დოც. ბ. ღოლობერიძე. აბორტის ღროს ვინ უნდა იყოს დასჯილი ექიმი თუ დედა.

პროფ. ი. თიკანაძე. სახელმწიფო დაწესებულებაში უნდა გაკეთდეს აბორტი იმიტომ, რომ საჭიროა ცხადი იყოს მიზეზები ოპერაციის გაკეთებისა, რომ ოპერაციას არ მიეცეს ფარული ხასიათი, რომ ეს ხდებოდეს მაშინ, როდესაც მას მოითხოვს ნამდვილი საქმის გარემოება და მას არ ჰქონდეს მდაბიო ანგარიშის ხასიათი. ამჟამად კანონი არ სჯის ამ ოპერაციისათვის მაშინაც კი, როდესაც ქალის მდგომარეობა მას სრულიადაც არ მოითხოვს და ამით აიხსნება ის, რომ ყველა თამაბა ეტანება ამას, სოციალური საკითხის პირველ რიგში დაუწენება შეიძლება, მაგრამ საქმისათვის მას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

სოციალური მოსაზრებით აბორტის გაკეთება საექიმო თვალსაზრისს ეწინააღმდეგება, მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ ანგარიში გაუწიოთ აწინდელ საზოგადოებრივ მდგომარეობას. საწოლების რიცხვის საქმარისობა აბორტის სიხშირეზე დამოკიდებული. ბავშვების უზრუნველყოფა ახლო მომევალში საეჭვოა. ღარიბები უფრო ნაკლებად ეტანებიან აბორტს, ვინაიდნ მათვის ოჯახობას ნივთიერი ლირებულობა აქვს. ჩემ მიერ მოყვანილი სატრისტიკა აშენებულია საავადმყოფების მასალებზედ. აბორტისათვეს უნდა დაისაჯოს როგორც ექიმი ისე ქალიც.

ბ. მგალობლიუმიშვილი. მუცულის მოშლის გავრცელების მიზეზი მძიმე ეკონომიური პირობები არის უფრო, ვანებ სხვა. თუ სოციალური და ეკონომიური პირობები არ შეიცვალა—მარტო მეტად ზომებით ამ საქმეს არაფერი ეშველება. ძველად აბორტის შეზღუდვას კანონის ძალით მოქმედია სეპტემბრი მოვლენების შედეგები და სხვა გართულებანი, რაღაც აბორტი სარდაფებში და ძნელ აღგილებში აწარმოებდა. ახლაც ის გარემოება შეიქმნება თუ ჩვენ ანგარიში არ გაუწიეთ ხალხის სულიერ და ნივთიერ განცდას.

მომხსენებლის მიერ წამოყენებულ დებულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ აღსანიშნავია, რომ ამ დებულებებში დაცულია სახელმწიფოს და ოჯახის ინტერესები. მხოლოდ ქალის პიროვნება სრულებით დავიწყებულია.

3. ნაციონალისტი. სოციალურ პირობებს აბორტის საკითხში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ოდესაში ჩემ ყოფნის დროს მშობიარობა იმდენად შემცირდა, რომ სტუდენტებისათვის კლინიკებში საკურაციო მასალა იარა იშოვებოდა. თუ ბავშვი ჩასახვისთანავე სახელმწიფოს განძია, სახელმწიფომ უზრუნველ უნდა ჰყოს იგი და მაშინ აბორტი არ იქნება ისე გავრცელებული. დღეს სახელმწიფო დაბადებულ ბავშვებსაც ვერ პატრონობს და აუარებელი მათი რიცხვი აღრევე ესალმება წუთისოფელს.

დოც. ბ. ღოლობერიძე. სამოქალაქო ოში, სიმშილობა და მრავალი სხვა გაჭირებანი—აი ის მიზეზები, რომლებიც აბორტის გავრცელებას ხელს უწყობენ.

სოციალურ პირობების გაუმჯობესებას აბორტის რიცხვის შემცირებაც მოჰყვება. მხოლოდ მე ვფიქრობ, რომ აბორტი არის ერთად ერთი შენაძენი კულტურისა. აბორტის ბოროტმოქმედებად გამოცხადება სრულიად შეუძლებელია, ვინაიდნ აბორტის წარმოება მაინც მოხდება ძნელ და შეუფერებელ პირობებში,

სიგვიანის გამო კამათი გადადებულია შემდეგი სხდომისთვის.



ქართველ ექიმთა საზოგადოების 29/1 1925 წ. სხდომის ოქმი.

დაესწრო 57 წევრი 51 სტუმარი. თავმჯდომარე პროფ. ალ. ნათიშვილი.

ექ. ალ. ჯავრიშვილი. უჩვენებს საზოგადოებას ათაშანგით დაავადებულ ავადყოფს, რომელსაც ვენერის შემაღლების არეში 14 მავრი შანკირი აქვს, რაც მეტად იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მოხსენებას წინასწარი ხასიათი აქვს და საზოგადოების ზოგიერთ დამსწრეთაგანს წამოყენებული შემოხვევა დიაგნოზის შერიც საქმაოდ დასაბუთებულად არ მიაჩინათ.

კამათში მონაწილეობას იღებენ დ. ჯავახიშვილი, კ. ტყეშელაშვილი, შ. მიქელაძე და დოც. ვ. ულენტი.

შემდეგ გრძელდება კამათი პროფ. ი. თიკანაძის მოხსენების შესახებ.

6. მრევლიშვილი. ყველა აბორტების წარმოება საავადმყოფოებში შეუძლებელი იქნება და ამიტომ უხერხულად მიმაჩინა დებულებათა შორის დატოვებულ იქმნას ისეთი მუხლი, რომლის ცხოვრებაში გატარება ვერ მოხდება.

7. კანდელაკი. მე არ მესმის, რატომ უნდა ხდებოდეს აბორტები საავადმყოფებში და მშობიარობა კი არა. მზრუნველობის სავნაც უნდა იყოს არამც თუ ბავშვი, არამედ დედაც. ძალის დატანება ქალზედ მშობიარობის საკითხში მიუღებელია. ქალს უნდა მიეცეს უფლება დაიცვას თავისი პიროვნება მით უფრო, რომ მამაკაცს დიდი დანაშაული მიუძღვის ქალის გაცირვებაში.

8. მიქელაძე. მუცლის მოწყვეტას ეტანებიან ხშირად შეძლებულ წრეებიდან და მათ შორის ისეთები, რომელიც ერიდებიან თავის შეწუხებას და უფრო მეტად თავის გარეგნობაზე ფიქრობენ. ერის გამრავლება პირადი ინტერესის მაღლა უნდა იდგეს.

ერთად ერთ კანონიერ საბაბად უნდა ჩაითვალოს ქალის ავადმყოფობა. ქართველი ერთ პატარა ერია და აბორტის საყოველთაო გავრცელება შეიძლება ერის უბედურებად გარდაიქცეს. უწენეობა, პროსტიტუცია, ფუფუნება, ყალბი კულტურის გავლენა და ბევრი სხვა რამ არის მიზეზი აბორტების გავრცელებისა ამ მოვლენის შესწავლა მოითხოვს დიდ წინახედულებას.

ა. წულუკიძე. არ მწამს, რომ აბორტებს მხოლოდ ბურჟუაზიულ წრეებში აქვს აღვილი. ქალის დანიშნულებას ბოლოსდაბოლოს არ შეადგენს შვილების გაჩენა და აღზრდა.

